სს „თიბისი დაზღვევა“

მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგებები

31 დეკემბერი, 2021 წ.

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია 2

საქმიანობის მიმოხილვა 4

ფინანსური მაჩვენებლები (მილიონი ლარი) 9

გენერალური დირექტორის მიმართვა 10

რისკის მართვა 13

ჩვენი გუნდი 15

კორპორაციული მართვა 16

საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 17

„თიბისი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს ბიოგრაფიები 20

ზოგადი ინფორმაცია

„თიბისი დაზღვევა“ არის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წევრი „თიბისი ბანკთან“ ერთად, რომელიც საქართველოს უმსხვილესი საბანკო ჯგუფია მძლავრი ფინანსური მაჩვენებლებით, უმაღლესი დონის მომსახურებით, ძლიერი ბრენდითა და ყველაზე დახვეწილი ციფრული არხებით. ეს უკანასკნელი „თიბისი დაზღვევისთვისაც“ ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული არხია.

სს „თიბისი დაზღვევა“ (ყოფილი სს „სადაზღვევო კომპანია კოპენბური“) 2014 წლის 8 მაისს დაფუძნდა. 2016 წლის 1 ნოემბერს სს „კოპენბური“ შეისყიდა საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფმა, რის შედეგადაც მისი იურიდიული სახელწოდება გახდა სს „თიბისი დაზღვევა“.

„თიბისი დაზღვევა“ არის ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანია არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე. ეს მიღწევა ახალგაზრდა, ერთგული თანამშრომლებისა და მრავალფეროვანი მმართველი გუნდის დამსახურებაა.

ჩვენ ვაგრძელებთ სიახლეების დანერგვას და ვავითარებთ უნიკალურ ციფრულ პროდუქტებს, რათა გავხდეთ სადაზღვევო ბაზრის ლიდერი, ამავდროულად, ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად მომხმარებელთა კმაყოფილება რჩება. ჩვენ ვაღიარებთ პასუხისმგებლობას ჩვენი ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ და ორიენტირებულები ვართ ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების მიღწევასა და აქციონერთა უკუგების მაქსიმიზაციაზე, ასევე ჩვენი მომხმარებლებისთვის, თანამშრომლებისთვის, საზოგადოებისა და გარემოსთვის ღირებულების შექმნაზე.

„თიბისი დაზღვევის“ მოიცავს ყველა ბიზნესსექტორს, მათ შორის საცალო, მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორატიულ სექტორებს. ჩვენი კარგად განვითარებული მრავალარხიანი ქსელის მეშვეობით მომხმარებლებს საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს ვთავაზობთ. 2019 წლის მეორე კვარტალში ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაც დავამატეთ და 2021 წლის ბოლოსთვის საქართველოს მასშტაბით გვყავდა 29 ათასით მეტი დაზღვეული კლიენტი და გვქონდა 341 პროვაიდერი კლინიკა.

2021 წლის განმავლობაში კომპანიას ჰყავდა ერთი შვილობილი საწარმო: შპს „რედმედი“:

1. 2019 წელს თიბისი დაზღვევამ დანერგა პირველი ციფრული ჯანდაცვის ეკოსისტემა საქართველოში - რედმედი. შპს „რედმედი“ არის საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე 2019 წლის 21 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის კაპიტალშიც სს „თიბისი დაზღვევამ“ საანგარიშგებო თარიღამდე 4,426 ათასი ლარის მთლიანი შენატანი განახორციელა. შპს „რედმედის“ ერთპიროვნული მფლობელი არის „თიბისი დაზღვევა“.

რედმედი არის სამედიცინო მომსახურების მოძიების ციფრული კომპანია, რომელიც მომხმარებლებს უბერის მსგავს სერვისს სთავაზობს, კერძოდ, მათ საშუალებას აძლევს სწრაფად მოიძიონ, დაჯავშნონ და მიღონ სამედიცინო მომსახურება. აპლიკაცია მარტივი გამოსაყენებელია - მომხმარებელს მხოლოდ მოეთხოვება რედმედის ანგარიშის შექმნა, სისტემაში შესვლა, ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით სასურველი ექიმის არჩევა და შემდეგ ვიზიტის დაჯავშნა. ამისათვის მას ერთ წუთზე ნაკლები დრო დასჭირდება.

ვინაიდან ეკოსისტემური სერვისების მოდელი სულ უფრო პოპულარული ხდება, მიგვაჩნია, რომ მომსახურების ეს მოდელი წარმატებული გამოდგება და შესაძლებლობას მოგვცემს:

- უკეთ შევძლოთ მონაცემების შეგროვება, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ჩვენი ანდერაიტინგის ეფექტურობას;
- შევამციროთ არასაჭირო ამბულატორიული ვიზიტები კლინიკებში, რის შედეგადაც იკლებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარჯები და, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ზარალიანობის კოეფიციენტზე;
- მოვახდინოთ პროცესების ავტომატიზაცია და დაუყოვნებლივ განვსაზღვროთ და ავანაზღაუროთ დამდგარი ზარალი.

ჩვენი ხედვა

გავხდეთ ბაზრის ლიდერი სადაზღვევო კომპანია საქართველოში.

სტრატეგიული პრიორიტეტები

- გაყიდვების არხების და პროცესების გაციფრულება
- მოთხოვნების გამჭვირვალედ და დროულად ანაზღაურება

- წმინდა კომბინირებული კოეფიციენტის პროაქტიული მართვა[1]
- ცნობადი, თანამედროვე ბრენდის შექმნა
- მომხმარებელთა მომსახურების მაქსიმალურად გაუმჯობესება

საქმიანობის მიმოხილვა

2021 წელს პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოიხსნა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა, ბიზნესსექტორი და მოსახლეობა სწრაფად მოერგო ახალ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს. 2020 წელს პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა არეულობამ და სახელმწიფო შეზღუდვებმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს მყიფე ეკონომიკაზე. 2021 წელიც გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა, მიუხედავად კოვიდ-19-ის სხვადასხვა შტამის გავრცელებისა, შეზღუდვები მოიხსნა, რამაც ეკონომიკური გარემოს მეტი სტაბილურობა განაპირობა.

პანდემიამ ძირითადად სამოგზაურო და ავტო დაზღვევის მიმართულებები დააზარალა. სამოგზაურო დაზღვევის ბაზარი 2020 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და 6,124 ათას ლარს მიაღწია, თუმცა 2019 წელს, როდესაც კოვიდთან დაკავშირებული შეზღუდვები არ მოქმედებდა, სამოგზაურო დაზღვევის ბაზარი 8,416 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2021 წლის ბაზარზე 37.0%-ით მეტია. ავტოდაზღვევის ბაზარი 2021 წელს გამოცოცხლდა, რადგან ბაზარი 2020 წელთან შედარებით 23.2%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 25.2%-ით გაიზარდა.

„თიბისი დაზღვევისთვის“ 2021 წელიც გამოწვევებით აღსავსე გამოდგა. ინფლაციის ზრდის ფონზე, „თიბისი დაზღვევამ“ მაინც შეძლო სირთულეების დაძლევა და თავისი მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა.

კომპანიამ შეინარჩუნა საბაზრო წილის მიხედვით მეორე უმსხვილესი კომპანიის პოზიცია ჯანმრთელობის დაცვის ბაზარზე. თუ არ ჩავთვლით მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომელმაც 22.9 მილიონი ლარის ბაზარი შექმნა მოზიდული პრემიების სახით (რომელიც თანაბრად განაწილდა აქტიურ სადაზღვევო კომპანიებზე), არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი 17.5%-ით გაიზარდა (6.6% 2020 წელს) მაშინ, როცა „თიბისი დაზღვევის“ წლიურმა ზრდამ 23.6% შეადგინა (4.3% 2020 წელს).

[1]წმინდა სადაზღვევო მოთხოვნებს დამატებული აკვიზიციური და ადმინისტრაციული ხარჯები და შეფარდებული წმინდა გამოუმუშავებელ პრემიასთან

ამასთან, არაჯანმრთელობის დაზღვევის (მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარდა) მოზიდული პრემიები ქართულ სადაზღვევო ბაზარზე 63.3 მილიონი ლარით გაიზარდა (2020 წლის 362.4 მილიონიდან 2021 წელს 425.6 მილიონამდე). ახალი ბაზრის აბსოლუტური უმრავლესობა მოდის კორპორატიულ და საცალო სექტორზე, ხოლო სახელმწიფო სექტორი თითქმის უცვლელი დარჩა.

საცალო სექტორი

2021 წელს „თიბისი დაზღვევის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევებია:

- საცალო დაზღვევის ბაზარზე პირველი ადგილის შენარჩუნება
- 2021 წელს ციფრული მონაცემების გადატვირთვის 70.4%-იანი კოეფიციენტის მიღწევა, 2020 წლის 68.8%-იან მაჩვენებელთან შედარებით.[2]
- 2021 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში სიცოცხლის დაზღვევის ახალი პროდუქტი დაინერგა; ჯერჯერობით 730 პოლისია გაყიდული
- კასკოს ელექტრონული პოლისის განახლების მაჩვენებლის გაუმჯობესება 2020 წლის 60.1%-დან 2021 წლის 69.5%-მდე.

2021 წელს „თიბისი დაზღვევამ“ საცალო სეგმენტის გაყიდვების არხების აქტიური გამოიყენებით, რომლებიც მოიცავს ციფრული არხებით მოზიდულ მომხმარებლებს, თიბისი ბანკის 48 ფილიალის კლიენტებს, სააგენტოების ქსელის (ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა და ქუთაისში არსებული ფილიალების ჩათვლით) მასობრივი საცალო გაყიდვების მომხმარებლებს, მერჩანტების მომხმარებლებს და ვიპ-კლიენტებს, 65,622 ათასი ლარის პრემიები მოიზიდა, რაც, 2020 წელთან შედარებით, 25.5%-იანი ზრდაა. საცალო ბაზარი 25.4%-ით გაიზარდა. ამის შედეგად, „თიბისი დაზღვევის“ საბაზრო წილი დარჩა 37.3% – იგივე, რაც 2020 წელს (37.3%).


ციფრული არხები

კორონავირუსი მიწისძვრასავით მოულოდნელად დაგვატყდა თავს. მისმა თანმდევმა ბიძგებმა სამყარო სამუდამოდ შეცვალა და უფრო ციფრული გახადა. საყოველთაო

[2]ციფრული არხების მეშვეობით მოზიდული საცალო პოლისების რაოდენობა შეფარდებული ნებაყოფლობითი მოზიდული საცალო პოლისების რაოდენობაზე


შეზღუდვებისა და სავალდებულო სოციალური დისტანცირების გამო ზოგიერთი სფერო უფრო მეტად დაზარალდა, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ის კომპანიები, რომლებმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ყურადღება გაამახვილეს თავიანთ დისტანციურ ციფრულ შესაძლებლობებზე, უფრო იოლად მოერგნენ ახალ რეალობას.

2017 წელს „თიბისი დაზღვევამ“ საფუძველი ჩაუყარა სადაზღვევო ბიზნესპროცესებში ციფრული შესაძლებლობების აქტიურ დანერგვას, მომხმარებლებისთვის სამოგზაურო და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის შეთავაზებით შემდეგი არხების მეშვეობით: თიბისი ფეი, ბი ბოტი (ფეისბუქის მესენჯერის ჩატბოტი), თიბისის ინტერნეტ ბანკი და „თიბისი დაზღვევის“ ვებგვერდი და ასევე სხვადასხვა სადაზღვევო პროცესის გაციფრულებით (პოლისის შეძენა, ზარალის ანაზღაურება და სხვა), რამაც დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ ასევე ბიზნესპროცედურების ოპტიმიზაციაში. 2018 წელს „თიბისი დაზღვევამ“ კიდევ უფრო აითვისა ციფრული პოტენციალი და მომხმარებლებს უფრო კომპლექსური პროდუქტები, მაგალითად, კასკო, მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა და ქონების დაზღვევა შესთავაზა სხვადასხვა ციფრული არხით. ამის შედეგად მონაცემების გადატვირთვის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2021 წელს 70.4% (2020 წ.: 68.8%) შეადგინა:



2019 წელს „ბი ბოტი“ (ფეისბუქის მესენჯერის ჩატბოტი) განახლდა, რის შედეგადაც არა მხოლოდ არაჯანმრთელობის დაზღვევის, არამედ ჯანმრთელობის დაზღვევის კლიენტების მომსახურებაც შეძლო და, შესაბამისად, გახდა ჯანმრთელობის დაზღვევის პირველი ბოტი საქართველოში. 2020 წელს კომპანიამ შეიმუშავა ჯანმრთელობის დაზღვევის საკუთარი აპლიკაცია, რითაც კიდევ უფრო გაუმარტივა მომხმარებლებს ჯანმრთელობის დაზღვევის

სხვადასხვა პროცედურის გავლა (ოჯახის ექიმი - ვიზიტის დაჯავშნა/აუდიო კონსულტაცია, ზარალის ანაზღაურება და სხვა). „თიბისი დაზღვევამ“ გააგრძელა აქტიური მუშაობა კასკოს დაზღვევის პოლისის ციფრულ განახლებაზე - ინიციატივა, რომელიც წარმატებული და მოსახერხებელი აღმოჩნდა სახელმწიფო შეზღუდვების და სოციალური დისტანცირების პირობებში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ პოლისების 58.6% ციფრულად განახლდა.



2021 წლისთვის ჩვენი ციფრული პროდუქტების და არხების პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებულია:

PRODUCT/CHANNEL	WEB	MOBILE & INTERNET BANK	BOT	PAY
AUTOMINI	✓			
CASCO	✓			
MTPL	✓	✓	✓	✓
D1	✓		✓	
PROPERTY	✓			
TRAVEL	✓	✓	✓	✓
FOREIGN STUDENT HEALTH	✓			


მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიული სექტორი

2020 წლის ანალოგიურად, 2021 წელიც მძაფრი კონკურენციით გამოირჩეოდა მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორატიულ ბაზარზე. მიუხედავად ამისა, „თიბისი დაზღვევამ“ 28,363 ათასი ლარის მთლიანი პრემია მოიზიდა, რაც, 2019 წლის მაჩვენებელზე, დაახლოებით, 21.7%-ით მეტია. ამის შედეგად, თიბისი დაზღვევის წილმა მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიულ ბაზარზე 12.4% შეადგინა. გარდა ამისა, "თიბისი დაზღვევამ" დააზღვია რამდენიმე უმსხვილესი კომპანია ბაზარზე, მათ შორის კავკასუს ონლაინი, აჭარა ჯგუფი, ელიტ ელექტრონიქსი, სილქნეტი, თეგეტა მოტორსი და სხვები.

2018 წელს ჩვენ ასევე დავნერგეთ პორტალი „SME Bancassurance“ (პროდუქტებისა და სერვისების გაყიდვა მცირე და საშუალო საწარმოებზე საბანკო დაწესებულებების მეშვეობით), რომელიც „თიბისი ბანკის“ კლიენტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს. 2021 წელს „SME Bancassurance“ პორტალმა 5,399 ათასი ლარის შემოსავალი აჩვენა, რაც 2020 წელთან შედარებით, 91.5%-იანი ზრდაა.

ფინანსური მაჩვენებლები (მილიონი ლარი)

[საბაზრო წილი წარმოდგენილია მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის გამოკლებით]



გენერალური დირექტორის მიმართვა[3]

მიმოხილვა

პანდემიის გაგრძელების გამო 2021 წელიც 2020 წელზე არანაკლებ რთული აღმოჩნდა „თიბისი დაზღვევისთვის“. ვინაიდან პანდემიამ ჩვენს ყოველდღიურობაზე იმოქმედა, ჩვენს პროცესებს გამუდმებით ვარგებდით არსებულ რეალობას, რა დროსაც ჩვენს მთავარ პრიორიტეტად ჩვენი თანამშრომლები და მომხმარებლები რჩებოდნენ.

მთავარი მიღწევები

ასეთ რთულ ვითარებაში ჩვენ მოვახერხეთ საბაზრო პოზიციის შენარჩუნება და 2021 წლის ბოლოსთვის „თიბისი დაზღვევას“ არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის საცალო სეგმენტის საკმაოდ დიდი - 37.3%-იანი წილი და მთლიანი არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის 22.2% წილი ჰქონდა.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის კლიენტთა ბაზამ წლიური 93.0%-იანი ზრდა აჩვენა და 2021 წლისთვის დამზღვევთა რაოდენობამ 29 ათასს გადააჭარბა. ეს თავისთავად აღსანიშნავი მიღწევაა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად გაჯერებულია კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი.

კოვიდ-19-ის ახალი შტამის გავრცელების ფონზე ჩვენი ციფრული სტრატეგია არაჯანმრთელობის ბიზნესში უფრო აქტუალური აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე. ჩვენ მნიშვნელოვნად გავზარდეთ საცალო სეგმენტში ციფრული გაყიდვების წილი, და ასევე ავტოდაზღვევის მოთხოვნების დისტანციურად რეგულირების წილი. ამასობაში ჩვენმა ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაციამ პოპულარობა მოიპოვა დამზღვევთა შორის, რასაც ახლდა გაზრდილი შეღწევადობა და მომხმარებელთა უფრო მაღალი ჩართულობა.

თანამშრომლებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევაში“ წარმატება იწყება ჩვენი კოლეგებით!

ჩვენი თანამშრომლების ჩართულობისა და მოტივირების მიზნით ჩვენ გავაგრძელეთ თანამშრომლებში ინვესტიციების განხორციელება, რათა მათ მიეღოთ საჭირო ცოდნა და შეეძინათ უნარები, რომლებიც საჭიროა ანდერაიტინგის, საოპერაციო და გაყიდვების სფეროებში მაღალი დონის პროფესიონალიზმის მისაღწევად.

ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ჩვენ გავაგრძელეთ დისტანციური მუშაობის პრაქტიკა. ჩვენ წარმატებით შევქმენით

[1] მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი 2021 წლის თებერვალში შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა

დისტანციური მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა პანდემიის დაწყებისთანავე და დღემდე ვაძლევთ ჩვენს თანამშრომლებს საშუალებას ნაწილობრივ დისტანციურად იმუშაონ.

ამ ჰიბრიდული მოდელით, თანამშრომლებს აქვთ მოქნილი გრაფიკი, რათა უკეთ დააბალანსონ სამსახურებრივი და პირადი დრო, რისი შედეგიც არის უფრო მაღალი პროდუქტიულობა, კმაყოფილება და ჩართულობის მაღალი დონე. ამ ჰიბრიდული მოდელის შესანარჩუნებლად დავხვეწეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და ვიზრუნეთ მათ გამართულ და დაცულ ფუნქციონირებაზე.

ამის შედეგად, 2021 წელს თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსმა 95%-ს მიაღწია, ხოლო თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი 57%-ს გაუტოლდა.

კლიენტებისა და მოსახლეობისთვის შექმნილი ღირებულება

მსოფლიო სწრაფი ტემპით განიცდის ცვლილებას, შესაბამისად იცვლება ჩვენი კლიენტების მოლოდინები და ხედვა, ამიტომ ჩვენ ამ ცვლილებებს ფეხი უნდა ავუწყოთ.

დღესდღეობით კლიენტები მოელიან ეფექტურ ციფრულ გადაწყვეტებს, ინფორმაციის გაცვლის სისწრაფეს, მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომებს და ამომწურავ ინფორმაციას.

2021 წელს ჩვენი მომხმარებლების მხარდასაჭერად გარკვეული ინიციატივები განვახორციელეთ. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ საცალო და კორპორატიული კლიენტების მომსახურების პროცესების გაციფრულებაზე, მათი განახლებისა და ავტომატიზირების მიზნით, ამრიგად შევამცირეთ ხელშეკრულების ადმინისტრირების ხარჯი, გავამარტივეთ პოლისის შესყიდვის პროცესი და შევამცირეთ მოთხოვნების ანაზღაურების დრო სხვადასხვა პროდუქტისთვის.

ვინაიდან კოვიდ-19 ჯერაც მაღალი რისკის შემცველია ჯანმრთელობისთვის, მომხმარებლები სულ უფრო მოხერხებულად იყენებენ ციფრულ ჯანდაცვის მომსახურებას. მათი მოლოდინები რომ გაგვემართლებინა, განვაახლეთ ჩვენი მობილური აპლიკაცია, გავხადეთ მოხმარებისთვის უფრო მარტივი და უფრო ყოვლისმომცველი იმ მომსახურებათა სპექტრის თვალსაზრისით, რომლებზეც მომხმარებლებს ახლა უკვე ხელი მიუწვდებათ აპლიკაციის მეშვეობით.

ჩვენი საცალო პროდუქტების შეთავაზებების გამრავალფეროვნების მიზნით, 2021 წელს ინდივიდუალური სიცოცხლის დაზღვევა დავნერგეთ. გვჯერა, რომ ამით ჩვენს მომხმარებლებს თავიანთი ფინანსური რისკებისგან დაცვის უკეთეს შესაძლებლობას ვაძლევთ, ჩვენ კი ეს გვეხმარება იმაში, რომ მომხმარებელთა ახალ სეგმენტებზე გავიდეთ და მოვახდინოთ ჩვენი პორტფელის დივერსიფიკაცია.

ჩვენ გვეამაყება, რომ ჯანმრთელობის და ავტოდაზღვევის მომხმარებლებს გამორჩეულ მომსახურებას ვთავაზობთ, რაზეც მეტყველებს მომხმარებლის ლოიალურობის 65%-იანი[4] and 64.4%-იანი[1] ინდექსები, შესაბამისად.

ლოგისტიკურ ბიზნესში ჩართული ჩვენი კორპორატიული კლიენტებისთვის შევიმუშავეთ სრულიად ციფრული და ინოვაციური პლატფორმა Logista, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ციფრულად დაუკავშირდნენ ყველა მსხვილ გადაზიდვის ხაზს და რამდენიმე წამში შეისყიდონ კონტეინერის დაზღვევის პოლისები.

ისეთმა ციფრულმა ინსტრუმენტებმა, როგორიც არის ავტოდაზღვევის პოლისების განახლება ელექტრონულად, აპლიკაცია, რომელიც ავტომობილის ფოტოს მეშვეობით ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებას იძლევა და Logista, მნიშვნელოვნად გაზარდა ონლაინ შესყიდული, მართული და განახლებული პოლისების წილი. ამის შედეგად, ჩვენი ციფრული გაყიდვების გადატვირთვის კოეფიციენტი[2] 2021 წელს 70.4%-ს გაუტოლდა, როცა წინა წელს 68.8% იყო.

ზარალების ადმინისტრირებისა და დარეგულირების პროცესი კიდევ უფრო დაიხვეწა და გაციფრულდა. ამის შედეგად, ავტოდაზღვევის ზარალების ანაზღაურების მოთხოვნების დარეგულირების საშუალო დრო შემცირდა და მოთხოვნების 85.0% ათ სამუშაო დღეში დაკმაყოფილდა. ასევე მკვეთრად გაიზარდა ავტოდაზღვევის ზარალების ანაზღაურების ციფრულად დარეგულირებული მოთხოვნები და 2021 წლის დეკემბერში ციფრული გადატვირთვის კოეფიციენტმა 83.6%, ანუ წინა წელთან შედარებით 14.4 პროცენტული პუნქტით მეტი შეადგინა.

ვინაიდან „თიბისი დაზღვევას“ კარგად ესმის განათლების და გაციფრულების მნიშვნელობა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობაა, შევქმნათ ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობისთვის. „ჩართესთან“ თანამშრომლობით დავასპონსორეთ პროექტი, რომელიც ინტერნეტზე წვდომას და კომპიუტერებს უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის. პროექტს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალოდ ინტერნეტზე წვდომაა, ვინაიდან იგი მოსწავლეებს ეხმარება ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაში, რითაც უმჯობესდება სკოლის საგნებში მიღებული საშუალო ნიშნები და, შესაბამისად, განათლების ზოგადი დონე ქვეყანაში.

ინვესტორებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევა“ ზრუნავს მფლობელთა ღირებულების მაქსიმიზაციაზე და მათი ინტერესების დაცვაზე. 2021 წელს ჩვენმა წმინდა მოგებამ 14.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც

[4] მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი 2021 წლის თებერვალში შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა

40.6%-ით მაღალი წლიური მაჩვენებელია და ჩვენს მფლობელებს 7.0 მილიონის დივიდენდები გავუნაწილეთ.

ჩვენი ფინანსური სიმტკიცე და სტაბილურობა გამოხატულია გადახდისუნარიანობის და კომბინირებული კოეფიციენტებით, რომლებმაც, შესაბამისად, 165% და 86.2% შეადგინა.

პროგნოზი

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მომავლის პროგნოზირება უაღრესად რთულია. ეკონომიკაზე პანდემიის გავლენის გარდა, არსებობს პოლიტიკური დაძაბულობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რის გამოც გვიხდება შემდგომი ნაბიჯების საგულდაგულოდ აწონ-დაწონვა, რათა დავიცვათ ბალანსი ეკონომიკის მერყეობასა და ჩვენს ამბიციურ მიზნებს შორის.

ამის მიუხედავად, ჩვენი თავდაუზოგავი შრომა ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების კეთილდღეობისთვის, ჩვენი მუდმივი ინვესტიცია ციფრულ განვითარებაში და ჩვენი მტკიცე ფინანსური დისციპლინა საფუძველს მაძლევს დაბეჯითებით განვაცხადო, რომ „თიბისი დაზღვევა“ გაუძლებს ქარტეხილებს და უახლოეს მომავალში უფრო ძლიერ კომპანიად მოგვევლინება.

პაატა ღაძაძე
გენერალური დირექტორი

[2] მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი 2021 წლის თებერვალში შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა

რისკის მართვა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის

პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ხელმძღვანელობის შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

„თიბისი დაზღვევა“ ახორციელებს ფიზიკური და იურიდიული პირების ზარალის რისკის შეფასებას, რომლებიც უკავშირდება სიცოცხლეს, ავტომობილებს და სხვა სეგმენტებს ჯანდაცვის გარდა, მაგალითად, ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებისგან დაზღვევას, რომლებიც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოიშვას. „თიბისი დაზღვევა“ წინასწარ ვერ განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს. „თიბისი დაზღვევას“ ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო.


„თიბისი დაზღვევა“ ამ რისკებს ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერაიტინგით. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. „თიბისი დაზღვევა“ ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის პროდუქტისთვის: ავტო, სიცოცხლის, ქონების, ტვირთის და პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის.

„თიბისი დაზღვევის“ ხელმძღვანელობა ყოველთვიურად გადახედავს საწარმოს საკრედიტო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკებს:

1. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ჯგუფი გარკვეულ რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეყრდნობა, ძირითადად, კონტრაჰენტის გადახდისუნარიანობასთან, საიმედოობასთან და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.
2. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. „თიბისი დაზღვევის“ ლიკვიდური აქტივები 2020 წლის დეკემბრისთვის თავისი მთლიანი აქტივების 50%-ს აღემატება. გარდა ამისა, 165%-იანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი იმაზე მეტყველებს, რომ „თიბისი დაზღვევას“ შეუძლია ხანგრძლივ კრიზისსაც კი გაუძლოს. ამასთან, „თიბისი დაზღვევას“ არ აქვს სესხები ან სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები.

ჩვენი გუნდი

„თიბისი დაზღვევაში“ რეგიონის ყველაზე მაღალი დონის პროფესიონალები არიან დასაქმებულები. 2021 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების რაოდენობა 10.0%-ით გაიზარდა და 319-ს მიაღწია. მიგვაჩნია, რომ ჩვენს წარმატებაში თითოეული თანამშრომელი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, ამიტომ თანამშრომლების შენარჩუნება ჩვენთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო. სწორედ ამიტომ ვცდილობთ მათ შევთავაზოთ კონკურენტული პირობები ბაზარზე, მხარს ვუჭერთ მათ პროფესიულ განვითარებას და ვუქმნით საუკეთესო სამუშაო გარემოს.



59% 41%

„თიბისი დაზღვევა“ თანასწორი შესაძლებლობების პრინციპის მატარებელი დამსაქმებელია. ჩვენ არ ვახდენთ ადამიანების დისკრიმინაციას მათი რასის, ეთნიკური წარმოშობის, აღმსარებლობის, სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ჩვენ ვემხრობით სქესთა თანასწორობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენთან დასაქმებულ ქალებს. გვეამაყება, რომ 2021 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების 59%-ს ქალები შეადგენდნენ.

2021 წელს თანამშრომლებს შორის ჩავატარეთ ჩართულობის გამოკითხვა (95%-იანი შედეგი), ხოლო მმართველი გუნდის წევრებისთვის - 360-გრადუსიანი შეფასება. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ წამყვანი უნივერსიტეტებისა და ადამიანური რესურსების საკითხებზე საკონსულტაციო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ვაკანსიათა ბაზრობებზე, რათა ზრდის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე საუკეთესო კანდიდატები შეგვერჩია.

ჩვენი კორპორატიული კულტურის განუყოფელი ნაწილია მუდმივი კომუნიკაცია თანამშრომლებთან. ყოველ წელს ვცდილობთ, „თიბისი ჯგუფის“ შესახებ უახლესი ინფორმაცია და მოვლენები დროულად გავაცნოთ ჩვენს გუნდს.

კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება „თიბისი დაზღვევა“ არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსებული საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ შვილობილი კომპანია (შემდგომში, ერთობლივად „ჯგუფი“). ჯგუფი აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

„თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება სამი წევრისგან, რომლებიც ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი კომპანიის გრძელვადიან წარმატებაზე და აქციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე კომპანიის სტრატეგიული მიმართულების და საქმიანობის განსაზღვრითა და ზედამხედველობით. საბჭო არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კომპანიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. მაგალითად, საბჭოს მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს ისეთი საკითხები, როგორიცაა კომპანიის სტრატეგია, გრძელვადიანი მიზნები, რისკის დასაშვები დონე, წლიური საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტები, ცვლილებები კომპანიის კაპიტალში, აქციების გამოსყიდვა, შესყიდვის და/ან შერწყმის მსხვილი ოპერაციები, წლიური ანგარიშები და ანგარიშგება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

ვახტანგ ბუცხრიკიძე

თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძემ 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. „თიბისი ბანკს“ შეუერთდა 1993 წელს კრედიტების მართვის დეპარტამენტის უფროს მენეჯერად, ხოლო 1994 წელს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1996 წელს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. 1998 წლიდან უჭირავს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა და ხელმძღვანელობს თიბისის რამდენიმე კომიტეტს. ასევე, არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქართველოს ბიზნესასოციაციის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე. 2011 წლიდან ის არის საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წელს ვახტანგი შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ბიზნესსაბჭოს. კარიერის დასაწყისში მუშაობდა უმცროს სპეციალისტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ 1992-1993 წლებში. 2001 წელს ვახტანგი ჟურნალ „ჯორჯიან ტაიმსმა" დააჯილდოვა „წლის საუკეთესო ბიზნესმენის" წოდებით, 2011 წელს კი მან 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო მიიღო GUAM-ისგან, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან. გარდა ამისა, ვახტანგი ჟურნალმა EMEA Finance დაასახელა 2014 წლის საუკეთესო გენერალურ დირექტორად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში. 2001 წელს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში. 2016 წელს დაინიშნა „თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

თორნიკე გოგიჩაიშვილი

საბჭოს წევრი

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს ოპერაციების მართვის დირექტორად და გენერალური დირექტორის მოადგილედ შეუერთდა. ამ დროისთვის ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში 20 წლიანი გამოცდილება ჰქონდა. თორნიკე გოგიჩაიშვილი თიბისი ბანკში 2020 წლის 24 იანვარს საცალო საბანკო მომსახურების მიმართულების

ხელმძღვანელად დაინიშნა. თიბისის გუნდში შემოერთებამდე, 2016 წლიდან, თორნიკე საქართველოს ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე საქართველოს ბანკის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2008-2010 წლებში თორნიკეს ეკავა BG Bank Ukraine-ის (საქართველოს ბანკის ფილიალი) ფინანსური დირექტორის თანამდებობა. 2006-2008 წლებში, თორნიკე ალდაგის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა UEDC PA consulting-ში ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას BCI Insurance Company-ში. თორნიკეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის (MBA) და ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლის (executive diploma) ხარისხს.

გიორგი თხელიძე

საბჭოს წევრი

გიორგი თხელიძე 2014 წელს შეუერთდა „თიბისი ბანკს“ ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან, სადაც ის 2011 წლის ივნისიდან იყო ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტი. უფრო ადრე კი, 2009 წლის სექტემბრიდან, იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურიზაციის ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. თავისი კარიერის მანძილზე ბარკლიში, ლონდონში, მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი მიერთებისა და შერწყმის ოპერაცია, სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანსაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან. კარიერის დასაწყისში სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ და ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი (2009 წ.) ლონდონის ბიზნესის სკოლაში მიიღო. ასევე ფლობს ნოტინგემის უნივერსიტეტის საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს (2002 წ.) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს (2000 წ.).

ზეზვა ცისკარიშვილი

დამოუკიდებელი წევრი

ზეზვა თიბისი ჯგუფს 1994 წელს შემოუერთდა თიბისი ბანკის ანგარიშების მართვის მენეჯერის პოზიციაზე, შემდეგ იყო აქტივების მართვის დეპარტამენტის და საერთაშორისო საბანკო მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1999 წელს უკვე გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიცია დაიკავა და ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობას, საერთაშორისო საბანკო მომსახურებას, პროდუქტების განვითარებას, ხაზინას, მარკეტინგულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას და რეგიონალური განვითარების პროექტებს.

2008 წელს მუშაობა საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიაში (GRDC) გააგრძელა მუშაობა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, სადაც კვლავ საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობას და პროექტების დეველოპმენტს ხელმძღვანელობდა. 2010 წელს კი, უკვე ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის პოზიცია დაიკავა. GRDC-ში 6 წლიანი სამუშაო პერიოდის შემდეგ, ზეზვა მეტრა დეველოპმენტის გენერალური დირექტორი გახდა. 2016 წლიდან 2022 წლამდე კი საინვესტიციო კომპანია TS Holding-ის პროექტების მმართველი კომპანიის ვიცე პრეზიდენტი გახლდათ.

ზეზვამ 1994 წელს მოიპოვა ეკონომიკური გეოგრაფიის ბაკალავრიატის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რის შემდეგაც წარმატებით გაიარა არაერთი ტრეინინგი სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, Joint Vienna Institute, University of California, Davis, ასევე იყო კალიფორნიაში Silicon Valley Bank -ის ვიცე-პრეზიდენტთან არსებული მრჩეველთა გუნდის წევრი.

„თიბისი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს ბიოგრაფიები

დირექტორთა საბჭო 2021 წელს

პაატა ღაძაძე

გენერალური დირექტორი

პაატა ღაძაძე „თიბისი ბანკს“ 1994 წელს შეუერთდა ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და 1996 წელს დაინიშნა დირექტორთა საბჭოს წევრად. 2005 წელს ასევე იყო საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1998 წლიდან უჭირავს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა. 2014 წლიდან არის თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წლიდან ლექციებს კითხულობს თავისუფალ უნივერსიტეტში, საქართველოში. 2017 წელს დაინიშნა „თიბისი დაზღვევის“ გენერალურ დირექტორად და, პარალელურად, უკავია გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა „თიბისი ბანკში“. 2000-2004 წლებში იყო საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის გენერალური დირექტორი. კარიერის ადრეულ პერიოდში, 1992-1994 წლებში, იყო სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის თანაშემწე. დამატებით, 1994-2004 წლებში ლექციებს კითხულობდა მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში აიმაღლა კვალიფიკაცია.

დავით კიღურაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

დავით კიღურაძემ 2002 წელს დაამთავრა მართვის ევროპული სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. 2002 წლიდან 2006 წლამდე სხვადასხვა თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგში“, მათ შორის იყო ანაზღაურების დეპარტამენტისა და პროდუქტების განვითარებისა და ანდერაიტინგის განყოფილების უფროსი. „თიბისი ბანკს“ 2006 წელს შეუერთდა და ხუთ წელზე მეტი დაჰყო სახაზინო და ფინანსური მომსახურების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2012 წლიდან 2015 წლამდე იყო „თიბისი კრედიტის“ გენერალური დირექტორი ბაქოში, აზერბაიჯანში. ამავდროულად, 2015 წლიდან 2016 წლამდე ეკავა „თიბისი ფეის“

გენერალური დირექტორის თანამდებობა. 2016 წლიდან გახდა „თიბისი დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე. დავითმა სლოვენიაში დაამთავრა IEDC - ბლედის მართვის სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდებით (2006 წ.).

ნიკოლაი კობზევი

საოპერაციო დირექტორი

ნიკოლაი კობზევმა დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით. 2003-2012 წლებში მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგში“, სადაც სამი წლის განმავლობაში ეკავა საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის თანამდებობა. 2013 წელს დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლა მაგისტრის ხარისხით. 2013 წლიდან 2016 წლამდე მონაწილეობდა „ელი ლილი ენდ კომპანის“ ლიდერების განვითარების პროგრამაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებისთვის აშშ-ში და შემდეგ იმუშავა რუსეთში „ბოსტონ კონსალტინგში“. 2016 წლიდან არის „თიბისი დაზღვევის“ საოპერაციო დირექტორი.

ნინო გაჩეჩილაძე

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორი

ნინოს მიღებული აქვს მართვის ევროპული სკოლის (ESM) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი. 2002 წლიდან 2018 წლამდე ნინო მუშაობდა თიბისი ბანკში სხვადასხვა სტრატეგიული პროექტის მენეჯერად და ბოლო 8 წლის განმავლობაში უძღვებოდა ადამიანური რესურსების განყოფილებას. 2010 წელს ნინომ მიიღო ჯორჯ ვაშინგონის უნივერსიტეტის სერტიფიკატი პროექტების მართვაში. 2019-2021 წლებში ეკავა „თიბისი დაზღვევის“ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორის თანამდებობა.

2022 წლის ცვლილებები დირექტორთა საბჭოში

სერგო საყვარელიძე

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორი

სერგო საყვარელიძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ხარისხს. ის ასევე არის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სერტიფიკატების მფლობელი და გავლილი აქვს მმართველობის პროგრამა უმაღლესი რგოლისთვის. სერგო ფლობს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ზოგადი მენეჯმენტის სერტიფიკატს. 2006 წელს სერგო შეუერთდა სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლოდინგს და 2008 წლამდე სხვადასხვა პოზიცია ეკავა. 2008 წლიდან სადაზღვევო კომპანია ალდაგში სამედიცინო შემთხვევების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობდა, 2010 წლიდან კი გახლდათ ჯანმრთელობის ზარალების მართვის განყოფილების უფროსი. 2014-2017 წლებში სერგოს ეკავა ზარალების დარეგულირების დეპარტამენტის დირექტორის პოზიცია, ხოლო 2017 წელს გახდა სადაზღვევო კომპანია იმედი L-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ზარალებისა და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით. 2020-2021 წლებში სერგო ასევე იკავებდა თბილისის გულის ცენტრის გენერალური დირექტორის პოზიციას. 2022 წლის დასაწყისში სერგო შემოუერთდა თიბისი დაზღვევას და ჩაანაცვლა ნინო გაჩეჩილაძე ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორის პოზიციაზე.

შოთა ცისკარაშვილი

ფინანსური დირექტორი

შოთა ფლობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს. 2015-2016 წლებში მუშაობდა აუდიტორი კომპანია დელოიტში და მონაწილეობდა წამყვანი კორპორატიული კლიენტების აუდიტის პროცესში: საბანკო და ელექტრომომარაგების სექტორში. 2016 წლიდან 2021 წლამდე შოთას ეკავა თიბისი დაზღვევის ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიცია, ხოლო 2022 წელს გახდა კომპანიის ფინანსური დირექტორი.

სს „თიბისი დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი, 2021 წ.

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება **3**
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება **4**
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება **5**
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება **7**
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები **9**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი დაზღვევის“ აქციონერსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში, ერთობლივად, - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აუდიტის საგანი

ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე დართული შენიშვნები, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებით ინფორმაციის ჩათვლით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

შპს "პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო"
ბიზნესცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. #12, თბილისი 0160, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

მიუკერძოებლობა

ჩვენ ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს და კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვაგვარად მოქცევის რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფისა და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ჯგუფი და კომპანია

გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს „პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო“ (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-775813)

ლევან კანკავა (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-592839)

6 აპრილი, 2022 წ.
თბილისი, საქართველო

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**შენიშვნა**	**31-დეკ-21**	**31-დეკ-20**	**31-დეკ-21**	**31-დეკ-20**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	14,751	10,836	14,663	10,797
საბანკო ანაბრები	6	46,904	42,948	46,904	42,948
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	2,903	1,116	2,903	1,116
წარმოებული ფინანსური აქტივები	8	470	121	470	121
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	9	-	-	4,426	2,900
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10	33,366	22,503	33,366	22,503
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	11	3,887	3,048	3,887	3,048
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	12	8,874	7,509	8,874	7,509
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	13	1,474	1,204	1,474	1,204
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი		52	99	52	99
სხვა აქტივები	14	1,899	1,516	1,835	1,509
აქტივის გამოყენების უფლება	15	1,268	1,084	1,203	1,068
ძირითადი საშუალებები	16	1,471	1,429	1,423	1,362
არამატერიალური აქტივები	17	4,268	2,849	3,073	2,040
სულ აქტივები		**121,587**	**96,262**	**124,553**	**98,224**
სააქციო კაპიტალი	18 (ა)	7,482	7,482	7,482	7,482
სხვა რეზერვები	18 (გ)	1,300	1,300	220	220
გაუნაწილებელი მოგება, შემდეგის ჩათვლით:		25,036	17,811	29,154	20,909
წლის წმინდა მოგება		14,228	10,122	15,248	11,465
სულ საკუთარი კაპიტალი		**33,818**	**26,593**	**36,856**	**28,611**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	12	52,961	38,527	52,961	38,527
გადასახდელი საკომისიო		15,634	12,892	15,634	12,892
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	19	7,819	8,755	7,819	8,755
საიჯარო ვალდებულებები	15	1,470	1,449	1,414	1,437
ფინანსური ვალდებულებები		2,186	1,430	2,176	1,427
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		237	1,226	237	1,226
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	20	4,133	2,615	4,133	2,615
სხვა ვალდებულებები	21	3,329	2,775	3,323	2,734
სულ ვალდებულებები		**87,769**	**69,669**	**87,697**	**69,613**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**121,587**	**96,262**	**124,553**	**98,224**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია სამეთვალყურეო საბჭოს სახელით 2022 წლის 06 აპრილს.

_____
დავით კიღურაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

_____
შოთა ცისკარაშვილი
ფინანსური დირექტორი

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**შენიშვნა**	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
მთლიანი მოზიდული პრემია		113,774	86,282	113,774	86,282
გადამზღვევლებისთვის გადაცემული მოზიდული პრემიები		(15,796)	(12,445)	(15,796)	(12,445)
წმინდა მოზიდული პრემიები	22	**97,978**	**73,837**	**97,978**	**73,837**
გამოუმუშავებელი პრემიების მთლიანი რეზერვების ცვლილება		(11,662)	(2,669)	(11,662)	(2,669)
გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვების ცვლილებაში		665	(1,061)	665	(1,061)
წმინდა გამომუშავებული პრემიები	22	**86,981**	**70,107**	**86,981**	**70,107**
საპროცენტო შემოსავალი	23	5,747	4,625	5,745	4,619
გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი		473	1,248	473	1,248
სხვა შემოსავალი		315	242	286	230
სულ შემოსავალი		**93,516**	**76,222**	**93,485**	**76,204**
დარეგულირებული ზარალი		(49,084)	(35,833)	(49,084)	(35,833)
გადაზღვევის წილი დარეგულირებულ ზარალში		9,571	8,175	9,571	8,175
აუნაზღაურებელი მოთხოვნების ცვლილება		(2,772)	(3,456)	(2,772)	(3,456)
გადაზღვევის წილი აუნაზღაურებელი მოთხოვნების ცვლილებაში		701	1,363	701	1,363
სუბროგაცია და ანაზღაურების თანხის ამოღება		5,343	1,950	5,343	1,950
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(927)	(932)	(927)	(932)
წმინდა დამდგარი ზარალი	24	**(37,168)**	**(28,733)**	**(37,168)**	**(28,733)**
აკვიზიციური ხარჯები	25	(18,576)	(15,897)	(18,576)	(15,897)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	26	(12,465)	(10,781)	(11,887)	(10,045)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	27	(5,801)	(5,653)	(5,473)	(5,204)
ცვეთა და ამორტიზაცია	15/16/17	(2,118)	(1,922)	(1,980)	(1,756)
გაუფასურების ხარჯი	28	(257)	(654)	(257)	(654)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(112)	(131)	(109)	(128)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი		(80)	465	(77)	472
სხვა ხარჯები	29	-	(308)	-	(308)
მოგება/(ზარალი) გადასახადით დაბეგვრამდე		**16,939**	**12,608**	**17,958**	**13,951**
მოგების გადასახადის ხარჯი	30	(2,711)	(2,486)	(2,711)	(2,486)
წმინდა მოგება/(ზარალი)		**14,228**	**10,122**	**15,247**	**11,465**
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**14,228**	**10,122**	**15,247**	**11,465**

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**შენიშვნა**	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები					
დასაბეგრი მოგება		16,939	12,608	17,959	13,951
კორექტირებები:					
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	12	11,662	2,669	11,662	2,669
გადამზღვევლის წილის ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	12	(665)	1,061	(665)	1,061
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯში	13	(270)	(83)	(270)	(83)
ცვეთა და ამორტიზაცია	15/16/17	2,118	1,922	1,977	1,756
ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების წმინდა გაუფასურების ზარალი	28	(257)	(654)	(257)	(654)
ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობით შემცირებული ზარალი		(2)	(12)	(2)	(12)
ფინანსური შემოსავალი	23	(5,747)	(4,625)	(5,745)	(4,619)
ფინანსური დანახარჯები	15	112	131	109	128
საკურსო სხვაობები კონვერტაციის შედეგად		80	(465)	77	(472)
სხვა არაფულადი საოპერაციო დანახარჯები		-	198	-	198
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**23,970**	**12,750**	**24,845**	**13,923**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები (გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის გამოკლებით)	12	2,772	3,456	2,772	3,456
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვების წილის დათმობა (გარდა გადამზღვევლის წილისა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში)	12	(701)	(1,363)	(701)	(1,363)
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10	(11,854)	(31)	(11,854)	(31)
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	11	(1,141)	6,165	(1,141)	6,165
წარმოებული ფინანსური აქტივები		218	(335)	218	(335)
სხვა აქტივები	14	(256)	(934)	(198)	(938)
გადასახდელი საკომისიო		2,742	1,063	2,742	1,063
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება		14	(227)	14	(227)
ფინანსური ვალდებულებები		863	471	892	444
სხვა ვალდებულებები	21	554	(1,702)	554	(1,702)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	20	1,518	2,615	1,518	2,615
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(5,271)**	**9,178**	**(5,184)**	**9,147**
მოგების გადახდილი გადასახადი		(3,654)	(1,969)	(3,654)	(1,969)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		3,169	3,822	3,167	3,816
გადახდილი პროცენტი		(112)	(131)	(112)	(131)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**18,102**	**23,650**	**19,062**	**24,786**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(658)	(408)	(658)	(392)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		33	63	33	63

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**შენიშვნა**	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,236)	(1,976)	(1,765)	(1,288)
საბანკო ანაბრების ზრდა		9,500	16,702	9,500	16,702
საბანკო ანაბრების შემცირება		(11,000)	(28,999)	(11,000)	(28,999)
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(1,946)	-	(1,946)	-
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციის გადინება		-	-	(1,526)	(1,900)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(6,307)**	**(14,618)**	**(7,362)**	**(15,814)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები					
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირითადი თანხა	15	(854)	(838)	(808)	(800)
კომპანიის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	(7,003)	(4,997)	(7,003)	(4,997)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(7,857)**	**(5,835)**	**(7,811)**	**(5,797)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდა		**3,938**	**3,197**	**3,889**	**3,175**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	5	10,836	7,481	10,797	7,462
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(23)	158	(23)	160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		**14,751**	**10,836**	**14,663**	**10,797**

კონსოლიდირებული *ათას ლარში*	**შენიშვნა**	**სააქციო კაპიტალი**	**სხვა რეზერ-ვები**	**გაუნაწი-ლებელი მოგება**	**სულ**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	1,300	12,686	21,468
წმინდა მოგება		-	-	10,122	10,122
წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**10,122**	**10,122**
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	-	-	(4,997)	(4,997)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**7,482**	**1,300**	**17,811**	**26,593**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	1,300	17,811	26,593
წმინდა მოგება		-	-	14,228	14,228
წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	14,228	14,228
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	-	-	(7,003)	(7,003)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**7,482**	**1,300**	**25,036**	**33,818**

ინდივიდუალური *ათას ლარში*	**შენიშვნა**	**სააქციო კაპიტალი**	**სხვა რეზერ-ვები**	**გაუნაწი-ლებელი მოგება**	**სულ**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	220	14,441	22,143
წლის წმინდა მოგება				11,465	11,465
წლის მთლიანი სრული ზარალი		**-**	**-**	**11,465**	**11,465**
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)			(4,997)	(4,997)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**7,482**	**220**	**20,909**	**28,611**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	220	20,909	28,611
წმინდა მოგება		-	-	15,248	15,248
წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	15,248	15,248
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	-	-	(7,003)	(7,003)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**7,482**	**220**	**29,154**	**36,856**

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები შედგება სს „თიბისი დაზღვევის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას (ქვემოთ ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“).

სს „თიბისი დაზღვევა“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების თანახმად 2014 წლის 8 მაისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანიას აქვს საქართველოში სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გაწევის ლიცენზია, რომელიც გაცემულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 14 ივლისს და 2016 წლის 1 დეკემბერს, შესაბამისად. სს „თიბისი დაზღვევის“ სადაზღვევო მომსახურება მოიცავს ქონების და უბედური შემთხვევების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის დაზღვევას და სხვა პროდუქტებს. კომპანიის მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“. კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი #24ბ, III სართული, თბილისი, საქართველო. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 405042804.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია, ასევე საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბის ბანკის ჯგუფი“, რომელიც ჯგუფის აქციების 100.00%-ს ფლობდა (2020 წ.: 100.00%). საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ არის ინგლისსა და უელსში დაფუძნებული საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ელდერ ჰაუსი, წმ. ჯორჯის ბიზნეს პარკი. ბრუკლანდსის ქუჩა 207, ვეიბრიჯი, სუერის საგრაფო, KT13 0TS. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ სარეგისტრაციო ნომერია 10029943

კომპანია ერთპიროვნულად ფლობს ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „რედმედი“ შპს „რედმედი“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე 2019 წლის 21 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი დაზღვევამ“ შპს „რედმედის“ კაპიტალში 4,426 ათასი ლარის მთლიანი შენატანი განახორციელა. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ელექტრონული ჯანდაცვის მომსახურება.

საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარია (ლარი), რაც არის ჯგუფის როგორც სამუშაო, ისე წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობას საქართველოში ეწევა. შესაბამისად, ჯგუფზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

2022 წლის თებერვლიდან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა გამწვავდა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად. ეს უარყოფითად აისახა სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე და გაზარდა მერყეობა, განსაკუთრებით უცხოური ვალუტის კურსებთან მიმართებით. რამდენიმე ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად, რუსეთის ბაზარი ბევრმა კომპანიამ დატოვა და შეწყვიტა მომსახურებისა და პროდუქტების მიწოდება რუსული ბაზრისთვის. მოსალოდნელია შემდგომი სანქციები და შეზღუდვები რუსეთში მოქმედი კომპანიების ბიზნესსაქმიანობაზე. საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასარიდებლად საქართველოს მთავრობა არ შეუერთდა ყველა სანქციას, თუმცა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების, ასევე უკრაინის ეკონომიკის დაღმავლობის სრული ხასიათი და შესაძლო ეფექტები ჯერ კიდევ უცნობია. ამის მიუხედავად, უკრაინასა და რუსეთში განვითარებული მოვლენების მიმართ საქართველოს მოწყვლადობისა და ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გათვალისწინებით, ეს ყველაფერი არასახარბიელოდ აისახება ზრდის პერსპექტივაზე და ასევე სხვა მაკრო ცვლადებზე.

3 მომზადების საფუძველი

ეს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, რომელიც მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, ასევე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად პირვანდელი ღირებულების მეთოდით. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკაში 2021 წლის 1 იანვარს ამოქმედებული ცვლილებების გარდა, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. იხილეთ 38-ე შენიშვნა.

ჯგუფმა გამოიყენა ფასს (IFRS) 9-ს გამოყენებისგან *„ფინანსური ინსტრუმენტები“* დროებითი განთავისუფლების უფლება, რომელსაც ითვალისწინებს ფასს (IFRS) 4 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ჯგუფის ვალდებულებების 90%-ზე მეტი სადაზღვევო ვალდებულებებისგან შედგება) და აქამდე არ გამოუყენებია ფასს (IFRS) 9-ის რომელიმე ვერსია, მათ შორის, 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის შემოსულობის და ზარალის წარდგენის მოთხოვნები იმ ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განიხილება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი მთლიანი ფასს 9-ის პირველად გამოყენებას 2023 წლის 1 იანვარს აპირებს.

4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია კრიტიკული შეფასებები გარდა იმ შეფასებებისა, რომლებზე დაყრდნობითაც აკეთებს პროგნოზს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

დაშვებები და მგრძნობელობა

დაშვებების გაკეთების პროცესი

სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების პროგნოზირებისას დაშვებების კეთდება იმ მიზნით, რომ შეიქმნას რეზერვები, რომლებიც საკმარისი იქნება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმომდგარი ნებისმიერი ვალდებულების დასაფარად, თუკი მათი წინასწარ განჭვრეტა რეალურად შესაძლებელია.

რეზერვი იქმნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, ყველა იმ მოთხოვნის ანაზღაურების (ზარალის დარეგულირების) მოსალოდნელი საბოლოო ხარჯისთვის, რომელთა შესახებაც ცნობილია და რომლებიც უკავშირდება დღემდე მომხდარ შემთხვევებს, განცხადებულს თუ განუცხადებელს, და შემცირებულია უკვე გადახდილი თანხებით.

ჯგუფი აკეთებს პროგნოზებს სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, საანგარიშგებო თარიღისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის გამოწვეული საბოლოო ვალდებულების შესაფასებლად. დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საბოლოო ხარჯი გამოითვლება სტანდარტული აქტუარული მეთოდებით, კერძოდ, ჯაჭვის კიბის მეთოდით სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში და მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტის მეთოდით - ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში. ჯაჭვის კიბის მეთოდის მთავარი საფუძველი არის დაშვება, რომ ისტორიული ზარალის ცვალებადობა მიანიშნებს სამომავლო ზარალის ცვალებადობაზე. მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი არის საბოლოო ზარალის გამომუშავებულ პრემიებთან თანაფარდობის კოეფიციენტი. საბოლოო ზარალის გამოთვლა შესაძლებელია გამომუშავებული პრემიის გამრავლებით მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტზე. მთლიანი რეზერვი გამოითვლება, საბოლოო ზარალიდან ანაზღაურებული ზარალის გამოკლებით.

დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის საბალანსო ღირებულება, გადაზღვევის გამოკლებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 549 ათასი ლარი (2020 წ.: 477 ათასი ლარი) იყო.

არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის შეფასებისას. სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, მგრძნობელობის ანალიზის მიხედვით, 5%-იანი ზრდა ჯაჭვის კიბის ცვალებადობის ფაქტორებში განაპირობებდა დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის ზრდის საჭიროებას 243 ათასი ლარით, შესაბამისად, 5%-იანი კლება ცვალებადობის ფაქტორებში 243 ათასი ლარით შეამცირებდა დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი რეზერვს.

ჯგუფმა შეაფასა კოვიდ-19-ის გავლენა დამდგარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალზე ცალკე, კოვიდ-19-ით გამოწვეული სადაზღვევო მოთხოვნების გათვალისწინებით. გავლენა ჯგუფისთვის არ იყო არსებითი.

4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

ჯანმრთელობის დაზღვევა მოკლევადიანი პროდუქტია და დადგომის შემდეგ ზარალის გაცხადება სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის გამოსათვლელად ხელმძღვანელობა იყენებს შემდგომი პერიოდის ფაქტობრივ მოთხოვნებს, რომლებიც გაცხადებულია ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე. დანარჩენი პერიოდისთვის პროფესიული განსჯა გამოიყენება. ზარალის დადგომის თარიღიდან ორი თვის გადაჭარბებით ზარალის გაცხადება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში. ვინაიდან წარსულში ასეთი ზარალები არ იყო არსებითი, არ გამოყენებულა აქტუარული მეთოდი და ამის ნაცვლად გამოყენებული იქნა პროფესიული განსჯა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რეზერვის ეს დონე საკმარისია და დამატებითი რეზერვის შექმნა არ დასჭირდება.

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს საქართველოს ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. ქვემოთ მოცემულია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები:

	კონსოლიდირებული		**ინდივიდუალური**	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
BB+	-	5	-	5
BB-	14,731	10,813	14,643	10,774
B+	7	6	7	6
რეიტინგის გარეშე	13	12	13	12
სულ	**14,751**	**10,836**	**14,663**	**10,797**

6 საბანკო ანაბრები

	კონსოლიდირებული		**ინდივიდუალური**	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
სს „თიბისი ბანკი“	17,557	12,625	17,557	12,625
სს „საქართველოს ბანკი“	12,952	12,043	12,952	12,043
სს „ლიბერთი ბანკი“	10,692	10,779	10,692	10,779
სს „ვითიბი ბანკი“	3,386	4,237	3,386	4,237
სს „ტერა ბანკი“	2,317	3,264	2,317	3,264
სულ საბანკო ანაბრები	**46,904**	**42,948**	**46,904**	**42,948**

სს „ლიბერთი ბანკში“ განთავსებული ანაბრების მთლიანი ოდენობიდან 4,200 ათასი ლარი და სს „თიბისი ბანკში“ განთავსებული ანაბრების მთლიანი ოდენობიდან 3,000 ათასი ლარი მიკუთვნებადია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებისთვის.

6 საბანკო ანაბრები (გაგრძელება)

ბანკის ანაბრების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. საბანკო ანაბრები წარმოდგენილია ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებებით, რომელთა ვადა სამ წელზე ნაკლებია, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი - 10.55%-დან 14.30%-მდე. დაკავშირებულ მხარესთან (სს „თიბისი ბანკი“) განთავსებულ საბანკო ანაბრებზე დარიცხული წლიური პროცენტი 10.55%-დან 14.30%-მდეა (32-ე შენიშვნა).

ბანკებში განთავსებული ანაბრების საკრედიტო რეიტინგები ასეთი იყო:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
BB-	33,895	28,905	33,895	28,905
B+	13,009	14,043	13,009	14,043
სულ	**46,904**	**42,948**	**46,904**	**42,948**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ანაბრების მთლიანი ნაშთიდან 25,500 ათასი ლარი ერთ წელზე ნაკლები ვადით იყო განთავსებული, ხოლო დარჩენილი ნაშთის ვადა ერთი წლიდან სამ წლამდე იყო.

7 დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში	**კონსოლი-დირებული**	**ინდივი-დუალური**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,116**	**1,116**
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა	-	-
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	139	139
მიღებული პროცენტი	(139)	(139)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,116**	**1,116**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,116**	**1,116**
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა	1,946	1,946
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	291	291
მიღებული პროცენტი	(279)	(279)
ობლიგაციის პრემიის ამორტიზაცია	(16)	(16)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება /(ზარალი)	(155)	(155)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,903**	**2,903**

7 დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შედგება შემდეგი კორპორაციული ობლიგაციებისგან:

საინვესტიციო კომპანია	ვადა	რეიტინგი	საბალანსო ღირებულება
სს „თიბისი ბანკი“	03 ოქტ. 2024 წ.	BB- (Fitch Ratings)	1,357
სს „ქართული ლუდის კომპანია“	21 დეკ. 2023 წ.	BB- (Scope Ratings)	503
სს „ნიკორა“	12 ნოემ. 2024 წ.	BB- (Scope Ratings)	409
სს „ნიკორა“	18 ოქტ. 2022 წ.	BB- (Scope Ratings)	327
შპს „თეგეტა მოტორსი“	30-აპრ. 2022 წ.	B- (Fitch Ratings)	307
სულ დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			**2,903**

8 წარმოებული ფინანსური აქტივები

ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებების მიხედვით მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაჰენტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით. ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა.

კონსოლიდირებული	**2021**		**2020**	
ათას ლარში	**ხელშეკ-რულებები დადებითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით**	**ხელშეკ-რულებები უარყოფითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით**	**ხელშეკ-რულებები დადებითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით**	**ხელშეკ-რულებები უარყოფითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით**
სავალუტო ფორვარდები:				
სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს				
ანგარიშსწორებისას მისაღები თანხა ლარში	11,610	-	3,234	-
ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა აშშ დოლარში	(11,140)	-	(3,113)	-
სავალუტო ფორვარდების წმინდა სამართლიანი ღირებულება	**470**	**-**	**121**	**-**

8. წარმოებული ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	2021		2020	
ათას ლარში	ხელშეკ-რულებები დადებითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით	ხელშეკ-რულებები უარყოფითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით	ხელშეკ-რულებები დადებითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით	ხელშეკ-რულებები უარყოფითი სამარ-თლიანი ღირებუ-ლებით
სავალუტო ფორვარდები:				
სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს				
ანგარიშსწორებისას მისაღები თანხა ლარში	11,610	-	3,234	-
ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა აშშ დოლარში	(11,140)	-	(3,113)	-
სავალუტო ფორვარდების წმინდა სამართლიანი ღირებულება	**470**	**-**	**121**	**-**

როგორც წესი, ჯგუფი თავისი უცხოური ვალუტის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობს ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაჰენტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით. წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული სამართლიანი ღირებულება დროდადრო შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

9 ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

2021 წელს კომპანიამ თავისი ერთი შვილობილი კომპანიის, შპს „რედმედის“, კაპიტალში განახორციელა 1,526 ათასი ლარის შენატანი (2020 წ.: 1,900 ათასი ლარი). შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების სხვა მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

10 სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება, მთლიანი:	**34,932**	**23,812**
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები	3,222	2,543
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	31,710	21,269
გამოკლებული – დამზღვევებისგან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი:	**(1,566)**	**(1,309)**
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	(1,566)	(1,309)
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება, წმინდა:	**33,366**	**22,503**

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის ანარიცხები არ შექმნილა, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა თანხა სრულად ამოღებადია (28-ე შენიშვნა).

11 გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	3,489	2,637
გადამზღვევლისგან მისაღები საკომისიო	419	432
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები და საკომისიო, სულ	**3,908**	**3,069**
გამოკლებული - გადამზღვევლებისგან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი:	(21)	(21)
სულ გადამზღვევლისგან მისაღები წმინდა პრემიები:	**3,887**	**3,048**

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	40,558	28,896
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	11,854	9,154
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	549	477
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, სულ	**52,961**	**38,527**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	(4,447)	(3,782)
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	(4,427)	(3,727)
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	**(8,874)**	**(7,509)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, გადაზღვევის გამოკლებით		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	36,111	25,114
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	7,427	5,427
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	549	477
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი მთლიანი რეზერვები, გადაზღვევის გამოკლებით	**44,087**	**31,018**

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	**2021**			**2020**		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ათას ლარში	**გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი**	**გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში**	**წმინდა**	**გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი**	**გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში**	**წმინდა**
სიცოცხლის დაზღვევა	392	(104)	288	177	(110)	67
ავტოდაზღვევა	22,179	(234)	21,945	16,896	-	16,896
ქონების დაზღვევა	7,245	(3,357)	3,888	6,384	(2,772)	3,612
პასუხისმგებლობის დაზღვევა	1,163	(726)	437	1,154	(888)	266
ჯანმრთელობის დაზღვევა	9,127	-	9,127	3,924	-	3,924
სხვა	452	(26)	426	361	(12)	349
სულ	**40,558**	**(4,447)**	**36,111**	**28,896**	**(3,782)**	**25,114**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	**2021**			**2020**		
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი *ათას ლარში*	**განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი**	**გადამზღვევლების წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში**	**წმინდა**	**განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი**	**გადამზღვევლების წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში**	**წმინდა**
სიცოცხლის დაზღვევა	3,327	(2,507)	820	2,166	(1,625)	541
ავტოდაზღვევა	3,002	(58)	2,944	2,368	(112)	2,256
ქონების დაზღვევა	1,266	(41)	1,225	1,745	(190)	1,555
პასუხისმგებლობის დაზღვევა	1,930	(1,821)	109	2,050	(1,800)	250
ჯანმრთელობის დაზღვევა	2,178	-	2,178	635	-	635
სხვა	151	-	151	190	-	190
სულ	**11,854**	**(4,427)**	**7,427**	**9,154**	**(3,727)**	**5,427**

დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი მხოლოდ სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებისთვის იქმნება. შესაბამისი რეზერვი არ იქმნება სხვა სადაზღვევო პოლისებისთვის, რადგან მათ არ ახასიათებს ინტერვალი უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის განცხადების თარიღს შორის.

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
ათას ლარში	სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა	სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა
სიცოცხლის დაზღვევის						
ა ხელშეკრულებები	4,061	(2,607)	1,454	2,681	(1,731)	**950**
ბ ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	48,900	(6,267)	42,633	35,846	(5,778)	**30,068**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, სულ	**52,961**	**(8,874)**	**44,087**	**38,527**	**(7,509)**	**31,018**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
ათას ლარში	სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა	სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა
ა **1 იანვრის მდგომარეობით**	**2,681**	**(1,731)**	**950**	**1,290**	**(793)**	**497**
საწყისი რეზერვების შეფასებების ცვლილება	(443)	332	**(111)**	(270)	202	**(68)**
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	32,267	(5,943)	**26,324**	26,674	(5,338)	**21,336**
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(32,051)	5,949	**(26,102)**	(26,611)	5,263	**(21,348)**
წლის განმავლობაში დამდგარი ზარალი	12,233	(9,168)	**3,065**	6,717	(5,034)	**1,683**
წლის განმავლობაში დარეგულირებული ზარალი	(10,629)	7,954	**(2,675)**	(5,297)	3,969	**(1,328)**
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	3	-	**3**	178	-	**178**
31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,061**	**(2,607)**	**1,454**	**2,681**	**(1,731)**	**950**

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
	ათას ლარში	სადაზღვევო ხელშეკრულებ-ებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა	სადაზღვევო ხელშეკრულებებ ისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა
ბ	**1 იანვრის მდგომარეობით**	**35,846**	**(5,778)**	**30,068**	**31,112**	**(6,414)**	**24,698**
	საწყისი რეზერვების შეფასებების ცვლილება	577	(1,037)	**(460)**	(261)	(103)	**(364)**
	წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	81,507	(9,853)	**71,654**	59,608	(7,107)	**52,501**
	წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(70,061)	9,183	**(60,878)**	(57,002)	8,243	**(48,759)**
	წლის განმავლობაში დამდგარი ზარალი	39,417	(399)	**39,018**	32,867	(4,603)	**28,264**
	წლის განმავლობაში დარეგულირებული ზარალი	(38,455)	1,617	**(36,838)**	(30,536)	4,206	**(26,330)**
	დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	69	-	**69**	58	-	**58**
	31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,900**	**(6,267)**	**42,633**	**35,846**	**(5,778)**	**30,068**
	სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, სულ	**52,961**	**(8,874)**	**44,087**	**38,527**	**(7,509)**	**31,018**

სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო ვალდებულების განსაზღვრის მეთოდები

(i) გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ეყრდნობა მოზიდულ პრემიებს და გამოითვლება პროპორციულად იმ პოლისის დარჩენილ ვადაზე, რომლისთვისაც პრემიაა მიღებული.

(ii) აუნაზღაურებელი მოთხოვნების რეზერვი

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს შეფასებები როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე საანგარიშგებო თარიღისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საბოლოო ხარჯის შესახებ (მე-4 შენიშვნა).

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები იქმნება ცნობილი აუნაზღაურებელი მოთხოვნებისთვის და მასში შედის ხარჯების დაფარვის და მართვის სათანადო ანარიცხებიც. ეს ანარიცხები ძირითადად ეყრდნობა თითოეული მოთხოვნის ინდივიდუალურ შეფასებას დამზღვევისგან, იურიდიული კონსულტანტებისგან და კომპანიის ექსპერტებისგან, რომლებიც ამუშავებენ მოთხოვნებს, მიღებული მოსაზრების თანახმად.

13 გადავადებული აკვიზიციური ხარჯი

ათას ლარში	**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური**
2020 წლის 1 იანვარს	**1,121**
გადავადებული ხარჯები	2,322
გადავადებული ხარჯების ამორტიზაცია	(2,239)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,204**
გადავადებული ხარჯები	3,071
გადავადებული ხარჯების ამორტიზაცია	(2,801)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,474**

14 სხვა აქტივები

	კონსოლიდირებული		**ინდივიდუალური**	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	671	-	671	-
გადახდილი ავანსები	669	1,203	662	1,204
სუბროგაციის მეშვეობით მიღებული აქტივები	250	116	250	116
სხვა დებიტორული დავალიანება	230	45	174	42
მარაგები	79	131	78	126
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	-	21	-	21
სხვა აქტივები, სულ	**1,899**	**1,516**	**1,835**	**1,509**

გადახდილი ავანსების უმეტესი ნაწილი მოდის პარტნიორ პროვაიდერ კლინიკაზე.

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ვადის გაგრძელების უფლებას, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**ოფისები**	**სულ**	**ოფისები**	**სულ**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,820**	**1,820**	**1,760**	**1,760**
შემოსვლები	193	193	193	193
გასვლები	(161)	(161)	(150)	(150)
ცვეთის ხარჯი	(768)	(768)	(735)	(735)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,084**	**1,084**	**1,068**	**1,068**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,084**	**1,084**	**1,068**	**1,068**
შემოსვლები	896	896	811	811
ცვეთის ხარჯი	(712)	(712)	(676)	(676)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,268**	**1,268**	**1,203**	**1,203**

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**	**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**	**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**	**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**1,449**	**2,023**	**1,437**	**1,960**
ფულადი ნაკადები	**(966)**	**(969)**	**(920)**	**(925)**
ძირითადი თანხის დაფარვა	(854)	(838)	(811)	(797)
გადახდილი პროცენტი	(112)	(131)	(109)	(128)
არაფულადი ცვლილებები	**987**	**395**	**897**	**402**
პროცენტის დარიცხვა	112	131	109	128
ახალი იჯარები	897	193	812	193
სავალუტო კურსის კორექტირებები	(22)	41	(24)	47
სხვა	-	30	-	34
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,470**	**1,449**	**1,414**	**1,437**

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფმა შემდეგი საიჯარო ვალდებულებები აღიარა:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**	**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**	**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**	**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	6	19	6	19
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,464	1,430	1,408	1,418
სულ საიჯარო ვალდებულებები	**1,470**	**1,449**	**1,414**	**1,437**

2021 წელს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები (ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში) შეადგენს 110 ათას ლარს (2020 წ.: 103 ათასი ლარი).

16 ძირითადი საშუალებები

კონსოლიდირებული

ათას ლარში	**ავეჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა**	**სატრან-სპორტო საშუალებები**	**საიჯარო ქონების გაუმჯობესება**	**სულ**
თვითღირებულება:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,394	182	1,004	2,580
შემოსვლები	189	20	199	408
გასვლები	(175)	(19)	(45)	(239)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,408**	**183**	**1,158**	**2,749**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,408	183	1,158	2,749
შემოსვლები	176	259	223	658
გასვლები	(95)	(23)	(4)	(122)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,489**	**419**	**1,377**	**3,285**
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	531	17	420	968
წლის დანარიცხი	275	20	245	540
გასვლები	(146)	(11)	(31)	(188)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**660**	**26**	**634**	**1,320**

16 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	660	26	634	1,320
წლის დანარიცხი	275	29	281	585
გასვლები	(82)	(5)	(4)	(91)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**853**	**50**	**911**	**1,814**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2020 წ.	**748**	**157**	**524**	**1,429**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**636**	**369**	**466**	**1,471**

ინდივიდუალური

ათას ლარში	**ავეჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა**	**სატრან-სპორტო საშუალებები**	**საიჯარო ქონების გაუმჯობესება**	**სულ**
თვითღირებულება:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,321	182	1,000	2,503
შემოსვლები	173	20	199	392
გასვლები	(175)	(19)	(45)	(239)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,319**	**183**	**1,154**	**2,656**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,319	183	1,154	2,656
შემოსვლები	176	259	223	658
გასვლები	(94)	(23)	-	(117)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,401**	**419**	**1,377**	**3,197**
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	526	17	419	962
წლის დანარიცხი	257	20	243	520
გასვლები	(146)	(11)	(31)	(188)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**637**	**26**	**631**	**1,294**

16 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	637	26	631	1,294
წლის დანარიცხი	257	29	280	566
გასვლები	(81)	(5)	-	(86)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**813**	**50**	**911**	**1,774**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2020 წ.	**682**	**157**	**523**	**1,362**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**588**	**369**	**466**	**1,423**

17 „არამატერიალური აქტივები“

კონსოლიდირებული

ათას ლარში	**ლიცენზიები**	**კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა**	**სულ**
თვითღირებულება:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	89	2,041	2,130
შემოსვლები	13	1,963	1,976
გასვლები	-	(261)	(261)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**102**	**3,743**	**3,845**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	102	3,743	3,845
შემოსვლები	19	2,221	2,240
გასვლები	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**121**	**5,964**	**6,085**
დაგროვილი ამორტიზაცია:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	70	375	445
წლის დანარიცხი	16	598	614
გასვლები	-	(63)	(63)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**86**	**910**	**996**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	86	910	996
წლის დანარიცხი	19	802	821
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**105**	**1,712**	**1,817**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2020 წ.	**16**	**2,833**	**2,849**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**16**	**4,252**	**4,268**

17 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათას ლარში	**ლიცენ-ზიები**	**კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა**	**სულ**
თვითღირებულება:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	53	1,948	2,001
შემოსვლები	13	1,275	1,288
გასვლები	-	(261)	(261)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**66**	**2,962**	**3,028**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	66	2,962	3,028
შემოსვლები	19	1,752	1,771
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**85**	**4,714**	**4,799**
დაგროვილი ამორტიზაცია:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	34	515	549
წლის დანარიცხი	16	485	501
გასვლები	-	(62)	(62)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**50**	**938**	**988**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	50	938	988
წლის დანარიცხი	19	719	738
გასვლები	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69**	**1,657**	**1,726**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2019 წ.	**16**	**2,024**	**2,040**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**16**	**3,057**	**3,073**

18 საკუთარი კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუს ჰქონდა ნებადართული კაპიტალი 15,000 ათასი ლარის ოდენობით (2020 წ.: 15,000 ათასი ლარი). 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 7,481,870 აქცია იყო გამოშვებული და სრულად განაღდებული 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღებისა და ჯგუფის კრებებზე თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება აქვთ.

18 საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

(ბ) დივიდენდები

როგორც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, ჯგუფის განაწილებადი რეზერვები არ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ნაშთს, რომელიც აღრიცხულია ჯგუფის ფასს-ების მიხედვით მომზადებულ სავალდებულო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	7,003	4,997
წლის განმავლობაში გაცემული დივიდენდები	(7,003)	(4,997)
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**
წლის განმავლობაში ერთ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდები (ლარი)	**0.94**	**0.67**

(გ) სხვა რეზერვები

2021 ლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,300 ლარის სხვა რეზერვები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის შვილობილი კომპანიების მიყიდვის აკუმულირებულ შედეგს. სხვა რეზერვებში 2021 და 2020 წლებში მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

19 გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
დასაფარი გადაზღვევის პრემია	7,819	5,959
გადაზღვევის სუბროგაციასთან და ზარალის ამოღებასთან დაკავშირებული დავალიანება	-	2,796
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	**7,819**	**8,755**

20 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები

2019 წლის განმავლობაში სს „თიბისი დაზღვევაში“ მოქმედებდა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპენსაციის სქემა. სქემა გულისხმობდა თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემას, ხუთ წელიწადში გამოსყიდვის სავალდებულო პირობით. სქემა ბუღალტრულად აღირიცხა ბასს 19-ის მიხედვით, თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯებისა და შესაბამისი ვალდებულების აღიარებით ხუთწლიან პერიოდზე. აქციის ფასი განისაზღვრა წინასწარ დადგენილი ფორმულით, ფასს-ის პროგნოზირებულ შედეგებზე დაყრდნობით, და 2019 წელს დარიცხული ხარჯი შეადგენდა 1,388 ათას ლარს.

20 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

2020 წელს სს „თიბისი დაზღვევამ“ დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლითაც ჩაანაცვლა ანაზღაურების ზემოაღნიშნული სქემა. ამ ახალი სქემის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად, საქმიანობის შედეგებისა და მომსახურების პირობების საფუძველზე, ხუთწლიანი ვადით (2019-2023) გადასცემს პირობით აქციებს, რომლებიც გარდაიქმნება მშობელი კომპანიის (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“) ფაქტობრივ აქციებად. პირობით აქციებზე არ გაიცემა დივიდენდები და მათი გასხვისება ან დაგირავება შეზღუდულია, ასევე ასეთი ტიპის აქციები არ მოიცავს ხმის მიცემის უფლებას.

ეფექტურობის ინდივიდუალური მაჩვენებლები დგინდება ინდივიდუალურად და გამოიყენება თითოეული თანამშრომლისთვის გადაცემული აქციების თანხის გამოსათვლელად.

ვადა ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას მანამ, სანამ სქემის მონაწილეებისთვის უფლების ეტაპობრივი გადაცემა დასრულდება. ამ კომპენსაციის სქემით, უფლების გადაცემის პერიოდი აქციების ყოველი წლის გადაცემისთვის გრძელდება 2024 წლის მარტამდე.

პირობითი აქციების რეალურ აქციებად გარდაქმნას ახდენს სს „თიბისი დაზღვევა“ და სს „თიბისი ბანკის ჯგუფი“ ფასს-ის მიხედვით ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით, დაუყოვნებლივ, გარდაქმნის თარიღამდე და წინასწარ განსაზღვრული ფორმულით (იგივე ფორმულა, რომელიც 2019 წლის სქემაში იქნა გამოყენებული).

ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი გადაცემული აქციების ოდენობის ყველაზე ზუსტად ასახავს კომპანიის მეხუთე წლის (2023) ფინანსურ მაჩვენებლებს და ასევე ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე. თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

ძველი სქემიდან ახალზე გადასვლით განპირობებული კორექტირებები – ვალდებულება საბალანსო უწყისზე სხვა ვალდებულებებიდან გადატანილია წილობრივი გადახდის მუხლში. დაბალანსების (ანაზღაურების) კორექტირების მოდიფიკაცია მოხდა მოგება-ზარალის მეშვეობით.

20 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური *ათას ლარში*	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ვალდებულება პერიოდის დასაწყისში	**(2,615)**	**-**
ახალ სქემაზე გადასვლის ეფექტი	**-**	**(1,388)**
წინა წლის გაცემების გადაფასება	97	193
აქციების მიმდინარე წლის გადაცემა	(1,378)	(1,308)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის შემობრუნება	(237)	(112)
თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯად აღიარებული მთლიანი ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(1,518)	(1,227)
წილობრივი გადახდის ვალდებულება პერიოდის ბოლოს	**(4,133)**	**(2,615)**

21 სხვა ვალდებულებები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020	2021	2020
მიღებული ავანსები	1,532	1,238	1,532	1,238
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	1,702	1,394	1,702	1,394
სხვა ვალდებულებები	95	143	89	102
სხვა ვალდებულებები, სულ	**3,329**	**2,775**	**3,323**	**2,734**

22 წმინდა გამომუშავებული პრემიები

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	32,267	26,674
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	81,507	59,608
სულ მოზიდული პრემიები	**113,774**	**86,282**
სიცოცხლის დაზღვევის გამოუმუშავებელი პრემიების მთლიანი რეზერვების ცვლილება	(216)	(63)
ზოგადი დაზღვევის გამოუმუშავებელი პრემიების მთლიანი რეზერვების ცვლილება	(11,446)	(2,606)
სულ გამომუშავებული პრემიები	**102,112**	**83,613**
გადამზღვევლების მიერ გამომუშავებული პრემიები სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე	(5,948)	(5,263)
გადამზღვევლების მიერ გამომუშავებული პრემიები ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებზე	(9,183)	(8,243)
სულ წმინდა გამომუშავებული პრემიები	**86,981**	**70,107**

23 საპროცენტო შემოსავალი

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
საპროცენტო შემოსავალი სადეპოზიტო სერტიფიკატზე	4,556	3,813	4,556	3,813
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე	788	642	786	636
საპროცენტო შემოსავალი ობლიგაციებზე	275	138	275	138
სხვა საპროცენტო შემოსავალი	128	32	128	32
მოგებაში ან ზარალში აღიარებული საპროცენტო შემოსავალი	**5,747**	**4,625**	**5,745**	**4,619**

24 წმინდა დამდგარი ზარალი

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
სიცოცხლის დაზღვევის დარეგულირებული ზარალი	(10,629)	(5,297)
ზოგადი დაზღვევის დარეგულირებული ზარალი	(38,455)	(30,536)
გადამზღვევლის წილი სიცოცხლის დაზღვევის დარეგულირებულ ზარალში	7,954	3,969
გადამზღვევლის წილი ზოგადი დაზღვევის დარეგულირებულ ზარალში	1,617	4,206
სულ წმინდა დარეგულირებული ზარალი	**(39,513)**	**(27,658)**
მთლიანი ცვლილება განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	(2,700)	(3,221)
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	(72)	(235)
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის ცვლილებაში	701	1,363
სუბროგაცია და ანაზღაურების თანხის ამოღება	5,343	1,950
ზარალის დარეგულირების ხარჯები	(927)	(932)
წმინდა დამდგარი ზარალი	**(37,168)**	**(28,733)**

სუბროგაციისა და ამოღებების მნიშვნელოვანი ზრდა 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, გამოწვეულია ერთ-ერთი თავისი გადაზღვევის სუბროგაციისა და ამოღებებთან დაკავშირებული დავალიანების სავარაუდო შეფასების ცვლილებით.

2021 და 2020 წლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დამდგარი ზარალის გადანაწილება პროდუქტების ტიპებზე:

24 წმინდა დამდგარი ზარალი (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021					
ათას ლარში	დარეგულირებული ზარალი	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	სულ ზარალი	გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალში	გადამზღვევლის წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	სულ გადამზღვევლის წილი ზარალში
სიცოცხლის დაზღვევა	7,962	1,873	9,835	6,000	1,417	7,417
ავტოდაზღვევა	11,755	2,173	13,928	147	58	205
ქონების დაზღვევა	479	395	874	-	-	-
პასუხისმგებლობის დაზღვევა	13	100	113	-	-	-
ჯანმრთელობის დაზღვევა	7,273	2,090	9,363	-	-	-
სხვა	2,072	256	2,328	1,342	17	1,359
სულ	**29,554**	**6,887**	**36,441**	**7,489**	**1,492**	**8,981**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2020					
ათას ლარში	დარეგულირებული ზარალი	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	სულ ზარალი	გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალში	გადამზღვევლის წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	სულ გადამზღვევლის წილი ზარალში
სიცოცხლის დაზღვევა	4,350	1,747	6,097	3,276	1,310	4,586
ავტოდაზღვევა	8,420	1,746	10,166	-	-	-
ქონების დაზღვევა	541	922	1,463	-	172	172
პასუხისმგებლობის დაზღვევა	13	2,050	2,063	-	1,800	1,800
ჯანმრთელობის დაზღვევა	3,993	601	4,594	-	-	-
სხვა	852	112	964	457	1	458
სულ	**18,169**	**7,178**	**25,347**	**3,733**	**3,283**	**7,016**

25 აკვიზიციური ხარჯები

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**
აკვიზიციური ხარჯები	(18,846)	(15,980)
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	3,071	2,322
გადავადებული აკვიზიციური ხარჯების ამორტიზაცია	(2,801)	(2,239)
აკვიზიციური ხარჯები, სულ	**(18,576)**	**(15,897)**

26 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
ხელფასები	(7,282)	(6,849)	(6,736)	(6,155)
პრემიების მართვა	(2,758)	(1,840)	(2,758)	(1,840)
სხვა პრემიები	(1,897)	(1,529)	(1,897)	(1,529)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(528)	(563)	(496)	(521)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(12,465)**	**(10,781)**	**(11,887)**	**(10,045)**

27 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა	(1,152)	(1,072)	(1,055)	(975)
ზედამხედველობის გასამრჯელო	(1,020)	(836)	(1,020)	(836)
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა	(900)	(956)	(717)	(658)
პროფესიული მომსახურების ღირებულება	(411)	(451)	(410)	(448)
საოფისე ინვენტარი	(362)	(350)	(356)	(347)
საფოსტო, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური მომსახურება	(276)	(275)	(271)	(271)
ოფისის იჯარა	(269)	(273)	(256)	(260)
ბანკის მომსახურების ღირებულება და სხვა საკომისიო	(239)	(185)	(239)	(185)
მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის მართვის გასამრჯელო*	(216)	(176)	(216)	(176)
გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(157)	(235)	(157)	(235)
მანქანის საწვავის ხარჯები	(132)	(87)	(132)	(87)
სამივლინებო ხარჯები	(27)	(19)	(27)	(19)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(20)	(20)	(20)	(20)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(620)	(718)	(597)	(687)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	**(5,801)**	**(5,653)**	**(5,473)**	**(5,204)**

27 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

* 2018 წელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ცენტრის მიზანი იყო სადაზღვევო სისტემაში მონაწილე მზღვეველების მიერ მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მართვა. მზღვეველები ყოველთვიურ მართვის ღირებულებას უხდიან ცენტრს, რომლის მთავარი ფუნქცია-მოვალეობები არის კლიენტების უწყვეტი მომსახურება, სადაზღვევო პოლისების რეალიზაცია და ზარალების რეგულირება.

ზემოაღნიშნული პროფესიული მომსახურების ღირებულება მოიცავს 124 ათას ლარს (2020 წ.: 128 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ აუდიტორულ და სხვა მომსახურებაში გადახდილ გასამრჯელოს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების შესაბამისად.

28 გაუფასურების ხარჯი

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვების მოძრაობა ასეთია:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	სადაზ-ღვევო დებიტო-რული დავალი-ანება	გადამ-ზღვევ-ლისგან მისაღები პრემიები	სადაზ-ღვევო დებიტო-რული დავალი-ანება	გადამ-ზღვევ-ლისგან მისაღები პრემიები
2020 წლის 1 იანვარს	**(655)**	**(21)**	**(655)**	**(21)**
დანარიცხი	(654)	-	(654)	-
2020 წლის 31 დეკემბერს	**(1,309)**	**(21)**	**(1,309)**	**(21)**
დანარიცხი	(257)	-	(257)	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(1,566)**	**(21)**	**(1,566)**	**(21)**

აქტივების გაუფასურების რეზერვი გამოიქვითება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებიდან.

29 სხვა ხარჯები

საქართველოში ჯანდაცვის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, „თიბისი დაზღვევამ“ შექმნა კოვიდ-19-ის საქველმოქმედო ფონდი. 2020 წელს ჩვენმა ფონდმა გაიღო 308 ათასი ლარი, რათა ჯანდაცვის 88 მომსახურეს დახმარებოდა ფინანსური სარგებლის პაკეტების მიღებაში. 2021 წელს აქტივობები არ ყოფილა.

30 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
მიმდინარე გადასახადი	2,664	2,590	2,664	2,590
გადავადებული გადასახადის ხარჯი/(კრედიტი)	47	(104)	47	(104)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**2,711**	**2,486**	**2,711**	**2,486**

ჯგუფი 2021 წელს იბეგრებოდა მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (2020 წ.: 15%).

ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი და ფაქტობრივად დარიცხული გადასახადების შეჯერება:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
დასაბეგრი მოგება	**16,939**	**12,608**	**16,939**	**12,608**
თეორიული გადასახადის დანარიცხი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით	2,541	1,891	2,541	1,891
- გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავალი	(185)	(64)	(185)	(64)
- გამოუქვითავი ხარჯები	355	659	355	659
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**2,711**	**2,486**	**2,711**	**2,486**

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. 2018 წლის 28 დეკემბერს კანონი ისევ შეიცვალა და 2023 წლის 1 იანვარი დაადგინა კანონის ძალაში შესვლის თარიღად ფინანსური დაწესებულებებისთვის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა).

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოიქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

31 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

2021 წლისა და 2020 წლის მდგომარეობით, არ დაფიქსირებულა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს.

32 კაპიტალის მართვა

(ა) კაპიტალის მართვის მიზნები, პრინციპები და მეთოდი

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია, კაპიტალი ყოველთვის ჯგუფის რისკის პროფილის შესაბამის დონეზე შენარჩუნდეს და გაკონტროლდეს. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება საქმიანობის გაფართოების მხარდასაჭერად და დამზღვევების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება, დაფარვის დროისთვის და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულება; და
- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კაპიტალის ადეკვატური რესურსების მუდმივი შენარჩუნება და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესრულება ჯგუფის ინტერესშია. ჯგუფის მიერ გამოყენებული კაპიტალის მთავარი წყაროა აქციების გამოშვებით დაფინანსება. კაპიტალის ძლიერი ბაზის შენარჩუნებას ჯგუფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა მას საშუალება ჰქონდეს ზრდის მომგებიანი შესაძლებლობებით ისარგებლოს და დიდი ზარალის დადგომის შედეგებისგან მაქსიმალურად დაიცვას თავი.

კაპიტალის მონიტორინგისა და მართვის პროცესის ფარგლებში ჯგუფმა დანერგა აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის კონტროლის მექანიზმები, რათა წამყვან ქართულ ბანკებში მუდმივად მინიმალური ფულადი სახსრები ჰქონდეს განთავსებული.

საქართველოს დაზღვევის სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებული აქვს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია გადახდისუნარიანობის საკმარისი მარჟების უზრუნველყოფა.

(ბ) მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივის თანახმად, სადაზღვევო კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნას პერიოდის განმავლობაში და ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს ამ თანხის მთლიან ოდენობას ან ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ან საბანკო ნაშთების სახით. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №27 დირექტივის მიხედვით, 2021 წლის 31 დეკემბრიდან კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა 4,200 ათასი ლარიდან 7,200 ათას ლარამდე გაიზარდა.

2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოუშვა №15 და №16 დირექტივები გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟისა და საზედამხედველო კაპიტალის შესახებ, შესაბამისად. კანონი ასევე აწესებს მოთხოვნებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ზღვრის შენარჩუნებაზე გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის ოდენობით.

2021 და 2020 წლებში სს „თიბისი დაზღვევა“ აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

32 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფასს-ის მიხედვით აღრიცხული კაპიტალის საფუძველზე, რომელშიც კორექტირებები შესულია, მაგალითად, შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების, არაუზრუნველყოფილი სესხები და გადასახდელი ანგარიშების და სხვ. მიხედვით, როგორც ამას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №16 დირექტივა ითვალისწინებს.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის დონეს, კერძოდ, შეადგენს გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 100%-ს.

33 სადაზღვევო რისკის მართვა

(ა) რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა სადაზღვევო რისკის შესამცირებლად

ჯგუფის ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა თავის თავზე იღებს ზარალის რისკს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან ამ რისკს. ასეთი რისკები ძირითადად უკავშირდება სიცოცხლეს, ავტომობილებს და სხვა სეგმენტებს ჯანდაცვის გარდა, მაგალითად, ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებისგან დაზღვევას, რომლებიც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოიშვას. ჯგუფი წინასწარ ვერ საზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს.

ჯგუფს ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო. ჯგუფი თავის სადაზღვევო რისკს მართავს რისკების კონცენტრაციების გადაზღვევის, ანდერაიტინგის ლიმიტების, ოპერაციების დამტკიცების პროცედურებისა და პრობლემების მყისიერი მონიტორინგის მეშვეობით.

(i) ანდერაიტინგის სტრატეგია

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგიის მიზანია დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა, რათა ჯგუფის პორტფელს ყოველთვის ახასიათებდეს სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან დაუკავშირებელი რისკები და რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, გადანაწილებული იყოს ბევრ პოლისზე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს მიდგომა ამცირებს რეალურად დამდგარი შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგის სტრატეგია მოცემულია ჯგუფის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკაში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის ინსტრუქციებით, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ანდერაიტინგის წესები პროდუქტის თითოეული ტიპისთვის. ინსტრუქციები მოიცავს კონცეფციებსა და პროცედურებს, თანმდევი რისკის აღწერას, პირობებ, უფლებებსა და მოვალეობებს, დოკუმენტირების მოთხოვნებს, ხელშეკრულებების ნიმუშებს / პოლისების მაგალითებს, მოქმედი ტარიფების დასაბუთებას და ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება მოქმედ ტარიფებზე გავლენა იქონიოს. ტარიფის გამოთვლა ეყრდნობა ალბათობასა და ცვალებადობას.

ანდერაიტინგის ინსტრუქციების დაცვას მუდმივად აკონტროლებს გენერალური დირექტორის მოადგილე.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) გადაზღვევის სტრატეგია

ჯგუფი დაზღვეული რისკების ნაწილს გადააზღვევს, რომ გააკონტროლოს ზარალის მოცულობა და დაიცვას თავისი ფინანსური რესურსები. ჯგუფი თავისი საქმიანობის ყველაზე მსხვილი მიმართულებებისთვის - სიცოცხლის, კასკო და ქონების დაზღვევისთვის - ყიდულობს სავალდებულო გადაზღვევას და ასევე ფაკულტატურად გადააზღვევს ზემოაღნიშნული პროდუქტების ყველა იმ რისკს, რომლებიც ვერ ექცევა სავალდებულო დაზღვევის ლიმიტებში.

გადაცემული გადაზღვევა შეიცავს საკრედიტო რისკს და ასეთი გადაზღვევიდან მისაღები თანხები აღირიცხება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გამოაკლდება ცნობილი გადახდისუუნარობის და უიმედო ვალდებულებების შესაბამისი მუხლები. ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას და პერიოდულად გადასინჯავს თავის გადაზღვევის ხელშეკრულებებს.

(ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები და დაზღვევით მოცული რისკის ხასიათი

სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობაზე, ვადებსა და განუსაზღვრელობაზე, განხილულია ქვემოთ. გარდა ამისა, შეფასებულია ჯგუფის ძირითადი პროდუქტები და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის გზები.

(i) ავტოდაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფს აქვს ორი ტიპის ავტოდაზღვევა, ავტომობილის სრული დაზღვევა („კასკო“) და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა. კასკო ხელშეკრულებების მიხედვით, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანების შედეგად დამდგარი ზარალი; მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს ავტომობილის მფლობელის მიერ, სადაზღვევო პერიოდში, მსუბუქი ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად, მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ავტოდაზღვევა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოდგენას და დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

როგორც წესი, დაუყოვნებლივ ხდება იმ მოთხოვნების წამოყენება, რომლებიც ეხება დამზღვევისთვის ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების ან დაკარგვის ანაზღაურებას. უფრო დიდი დრო ესაჭიროება და უფრო რთული შესაფასებელია ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება სხეულის დაზიანების ხარჯების დაფარვას.

რისკის მართვა

ზოგადად, ავტოდაზღვევის ფარგლებში ზარალის მოთხოვნა იშვიათად და უმნიშვნელოდ გვიანდება, და მოთხოვნების რეგულირებაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საერთოდ, ამ საქმიანობაში ზარალის ანაზღაურების ვალდებულებების პროგნოზს ზომიერი რისკი ახასიათებს. ჯგუფი აკონტროლებს და რეაგირებს რემონტის, მკურნალობის ხარჯების ტენდენციებსა და ქურდობისა თუ უბედური შემთხვევების სიხშირეზე.

სადაზღვევო მოთხოვნების სიხშირეზე გავლენას ახდენს უამინდობა. ამასთან, ზარალის მოცულობა ზამთრის თვეებში იზრდება. ავტოდაზღვევის ყველა ტიპისთვის რისკების შეფასება ხდება ჯგუფის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) ქონების დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა მოიცავს კორპორაციულ და საცალო პაკეტებს. ქონების დაზღვევა დამზღვევს უნაზღაურებს კუთვნილი მატერიალური ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად განცდილ ზარალს გარკვეული ლიმიტების ან ფრანშიზის ფარგლებში.

შენობების ან შენობების შიგთავსის დაზიანების შემთხვევები, რომლებიც წარმოშობს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნები, მოულოდნელი ხასიათისაა (მაგ. ხანძარი ან ძარცვა) და მიზეზის დადგენა ადვილია. შესაბამისად, ზარალის განსაზღვრა მალევე ხდება და დაყოვნების გარეშე ნაზღაურდება. შესაბამისად, ქონების დაზღვევის მიმართულებას ახასიათებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოდგენა და დაკმაყოფილება.

რისკის მართვა

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია ანდერაიტინგის, კონკურენტუნარიანობის გაუარესებისა და სადაზღვევო მოთხოვნების დაკმაყოფილების რისკები (სტიქიური უბედურებების ცვალებადი სიხშირის ჩათვლით). ჯგუფს ასევე აქვს სადაზღვევო ანაზღაურების მომთხოვნთ მხრიდან ზარალის გაზვიადების და არაკეთილსინდისიერი ქმედებების რისკი.

ანდერაიტინგის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი არ დააკისრებს სათანადო სადაზღვევო პრემიებს მის მიერ სხვადასხვა ქონების დაზღვევისთვის. ბევრი კომერციული ქონების დაზღვევა მოიცავს ადგილმდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და უსაფრთხოების დანერგილი ზომების უნიკალურ ერთობლიობას. ასეთი პოლისების რისკის თანაზომიერი პრემიის გამოთვლა სუბიექტური და, შესაბამისად, რისკიანი იქნება.

ეს რისკები, ძირითადად, იმართება ფასწარმოქმნის და გადაზღვევის პროცესებით. ჯგუფი მიმართავს ანდერაიტინგის მკაცრ კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისთვის მისაღები იყოს. ჯგუფი თავის ქონების რისკებს გადააზღვევს ზარალის ექსცედენტის, თანხის ექსცედენტის, სტიქიური უბედურებების გადაზღვევის ხელშეკრულებებით.

(iii) სიცოცხლის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი ახდენს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების ანდერაიტინგს, რომელთა მიხედვითაც სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მოსარგებლის გარდაცვალება ან მუდმივი ქმედუუნარობა და დამზღვევი აზღვევს ფინანსური დაწესებულების წინაშე დარჩენილ დავალიანებას წინასწარ განსაზღვრული თანხით.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვა

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული საქმიანობის სფეროებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით. ჯგუფს ასევე უფლება აქვს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თაღლითური მოთხოვნის აღმოჩენის შემთხვევაში. ჯგუფი გადაზღვევის ხელშეკრულებებს იყენებს სიცოცხლის დაზღვევის ყველა რისკისთვის და რისკის მოცულობა დაყვანილი აქვს მთლიანი ზარალის 25%-მდე. ამ პროდუქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი რისკია უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის განცხადების თარიღს შორის ინტერვალის არსებობა. ამ რისკის გამო, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი იქმნება, რომელიც გამოითვლება ჯაჭვის კიბის სტატისტიკური მეთოდებით.

(iv) ჯანმრთელობის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯანმრთელობის დაზღვევის წილი ჯგუფის მთლიან სადაზღვევო ბიზნესში 10%-დან 16%-მდე გაიზარდა 2021 წელს სულ მოზიდული პრემიის სახით. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებები ბენეფიციარებს უხდის სადაზღვევო ანაზღაურებას სამედიცინო მკურნალობისა და ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯებისთვის. პორტფელი მთლიანად შედგება კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებებისგან.

რისკის მართვა

ჯანმრთელობის დაზღვევის საგანი ძირითადად არის სამედიცინო მკურნალობის აუცილებლობის საფრთხე. ჯგუფი ამის რისკებს მართავს კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებების მოზიდვით და ფასწარმოქმნის პოლიტიკით ბენეფიციარების ჯანმრთელობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. გარდა ამისა, ჯგუფი იყენებს თავისი პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების და აფთიაქების მომსახურებას წინასწარ შეთანხმებული ფასებით.

(გ) დაზღვევის რისკის კონცენტრაცია

ჯგუფის სადაზღვევო რისკის უმთავრესი ასპექტია სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის დონე, რომელიც მაღალია მაშინ, როდესაც გარკვეულმა შემთხვევამ ან შემთხვევებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჯგუფის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება გამოიწვიოს ერთმა სადაზღვევო ხელშეკრულებამ ან რისკის საერთო მახასიათებლების მქონე რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულმა ხელშეკრულებამ, და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს წარმოშობს. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ იგი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ინდივიდუალურ კლასებში ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ტრანშებში რისკების კონცენტრაციის შედეგად.

რისკის კონცენტრაცია შეიძლება მოხდეს როგორც სერიოზული დანაკარგების მომტანი იშვიათი შემთხვევების დროს, როგორიცაა, მაგალითად სტიქიური უბედურებები, ისე სიტუაციებში, როცა ანდერაიტინგი გარკვეული ჯგუფის სასარგებლოდ, მაგალითად, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში, ხდება.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ამ რისკებს ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერაიტინგით. ანდერაიტერებს არ აქვთ რისკების დაზღვევის უფლება, თუ მოსალოდნელი მოგება არ შეესაბამება აღებულ რისკს. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. ჯგუფი ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის ავტო, სიცოცხლის და ქონების დაზღვევისთვის. ჯგუფი მუდმივად აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებელს.

(დ) ზარალის რეგულირება

ინფორმაცია ზარალის რეგულირების შესახებ წარმოდგენილია ჯგუფისთვის დამახასიათებელი სადაზღვევო რისკის საილუსტრაციოდ. ცხრილში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის წლების მიხედვით გადახდილი ზარალი შედარებულია ამ ზარალისთვის შექმნილ რეზერვებთან. პროგნოზირებული მაჩვენებელი იზრდება ან მცირდება, როდესაც გადაიხდება ზარალი და მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდელი ზარალის სიხშირესა და სიმძიმეზე. ცხრილის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული მთლიანი რეზერვებისა და პროგნოზირებული კუმულაციური ზარალის შეჯერება. მართალია, ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეხება წინა წლებში ასანაზღაურებელი ზარალის შესახებ გაკეთებული პროგნოზების მართებულობას, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მკითხველები სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ წარსულის ზედმეტობის ან დეფიციტის ამჟამინდელი გადაუხდელი ზარალის ნაშთებზე ექსტრაპოლაციას. ჯგუფს მიაჩნია, რომ 2021 წლის ბოლოსთვის აუნაზღაურებელი მთლიანი მოთხოვნების პროგნოზი ადეკვატურია.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური საერთო ზარალის შეფასება

ათას ლარში	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**სულ**
ზარალის დადგომის წელი	323	5,415	4,131	10,830	49,050	32,549	39,583	51,648	-
ერთი წლის შემდეგ	324	5,632	4,117	11,214	20,552	31,981	39,625	-	-
ორი წლის შემდეგ	323	5,674	4,131	11,194	20,611	32,097	-	-	-
სამი წლის შემდეგ	323	5,780	4,123	11,218	20,593	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	323	5,817	4,123	11,218	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	323	5,771	4,123	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	323	5,766	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	323	-	-	-	-	-	-	-	-
დამდგარი საერთო ზარალის ამჟამინდელი შეფასება	**323**	**5,766**	**4,123**	**11,218**	**20,593**	**32,097**	**39,625**	**51,648**	**165,393**
ზარალის დადგომის წელი	(245)	(4,724)	(3,580)	(8,621)	(16,978)	(26,917)	(31,279)	(43,512)	-
ერთი წლის შემდეგ	(323)	(5,569)	(4,108)	(11,145)	(20,428)	(31,279)	(36,540)	-	-
ორი წლის შემდეგ	(323)	(5,584)	(4,108)	(11,174)	(20,546)	(31,586)	-	-	-
სამი წლის შემდეგ	(323)	(5,659)	(4,123)	(11,218)	(20,548)	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	(323)	(5,659)	(4,123)	(11,218)	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	(323)	(5,689)	(4,123)	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	(323)	(5,689)	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	(323)	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	**(323)**	**(5,689)**	**(4,123)**	**(11,218)**	**(20,548)**	**(31,586)**	**(36,540)**	**(43,512)**	**(153,539)**
აუნაზღაურებელი ზარალის მთლიანი რეზერვი	**-**	**77**	**-**	**-**	**46**	**511**	**3,084**	**8,136**	**11,854**

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური წმინდა ზარალის შეფასება

ათას ლარში	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**სულ**
ზარალის დადგომის წელი	236	3,801	3,703	6,120	7,453	16,242	29,948	42,082	-
ერთი წლის შემდეგ	236	4,182	3,900	6,327	5,815	15,901	29,307	-	-
ორი წლის შემდეგ	236	4,209	3,914	6,316	5,818	15,970	-	-	-
სამი წლის შემდეგ	236	4,277	3,906	6,329	5,817		-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	236	4,300	3,723	6,329	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	236	4,376	3,723	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	236	4,379	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	236	-	-	-	-	-	-	-	-
									-
დამდგარი წმინდა ზარალის ამჟამინდელი შეფასება	**236**	**4,379**	**3,723**	**6,329**	**5,817**	**15,970**	**29,307**	**42,082**	**107,843**
ზარალის დადგომის წელი	(179)	(3,358)	(3,107)	(4,877)	(5,710)	(12,592)	(24,941)	(36,043)	-
ერთი წლის შემდეგ	(236)	(4,182)	(3,912)	(6,333)	(5,714)	(15,676)	(28,199)	-	-
ორი წლის შემდეგ	(236)	(4,197)	(3,800)	(6,526)	(5,698)	(15,795)	-	-	-
სამი წლის შემდეგ	(236)	(4,272)	(3,906)	(6,329)	(5,789)	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	(236)	(4,272)	(3,723)	(6,329)	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	(236)	(4,302)	(3,723)	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	(236)	(4,302)	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	(236)	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	**(236)**	**(4,302)**	**(3,723)**	**(6,329)**	**(5,789)**	**(15,795)**	**(28,199)**	**(36,043)**	**(100,416)**
აუნაზღაურებელი წმინდა ზარალის რეზერვი	**-**	**77**	**-**	**-**	**28**	**175**	**1,108**	**6,039**	**7,427**

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ვალდებულების ადეკვატურობის ტესტირება, გამოუმუშავებელი პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად. მათში არ შედის შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯების აქტივები საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის, რომლებიც ერთად იმართება. ამ ტესტირების ჩატარებისას გამოიყენება მოქმედი პოლისების ვადებისთვის მიკუთვნებადი სამომავლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, მოთხოვნების დარეგულირების და პოლისების ადმინისტრირების ხარჯების შეძლებისდაგვარად ზუსტი პროგნოზები. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯის ჩამოფასება და, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკის რეზერვი). დეფიციტის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. 2021 და 2020 წლების განმავლობაში დანაკლისი არ გამოვლენილა და ამიტომ არ გამხდარა საჭირო დამატებითი ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნა.

(ე) გადაზღვევის რისკი

ჯგუფი სადაზღვევო რისკს გადააზღვევს, რათა შეამციროს ანდერაიტინგის ზარალის მოცულობა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. გადაცემული გადაზღვევის ბიზნესის განთავსება ხდება პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევის კვოტის/ზარალის ექსცედენტის საფუძველზე, ხოლო შენარჩუნებული რისკის ლიმიტები მერყეობს პროდუქტების ტიპების მიხედვით. ეს გადაზღვევის ხელშეკრულებები გადაანაწილებს რისკს და მინიმუმამდე დაჰყავს ზარალის ეფექტი. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ჯგუფი ამ კონკრეტულ რისკს. ყველა მნიშვნელოვანი რისკი საქმიანობის ყველა მიმართულებით იმართება არსავალდებულო დაფარვით, მნიშვნელოვანი შენარჩუნების გარეშე. გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობებით, გადამზღვეველი თანხმდება, რომ აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის გადახდის შემთხვევაში. თუმცა, ჯგუფს რჩება ვალდებულება თავისი დამზღვევების მიმართ ამ გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, თუ გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვევლის შერჩევისას ჯგუფი ითვალისწინებს მის კრედიტუნარიანობას.

(ვ) კოვიდ-19-ის პანდემია

კოვიდ 19-ის პანდემია კვლავაც დიდ გავლენას ახდენს ცალკეულ ადამიანებზე, საზოგადოებაზე, ბიზნესსა და მსოფლიო ეკონომიკაზე. ჩვენ განვიხილეთ კოვიდ-19-ის პანდემია და მისი დღევანდელი და სამომავლო პოტენციური შედეგები ჯგუფსა და კომპანიაზე.

ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ისინი დაუყოვნებლივ გადავიყვანეთ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. ჩვენ პანდემიის დასაწყისშივე მოვახერხეთ დისტანციური მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართვა.

ამასთანავე ჩვენი მომხმარებლების მხარდასაჭერად გარკვეული ინიციატივები განვახორციელეთ. საყოველთაო ჩაკეტვის დროს ავტოდაზღვევის საცალო პოლისების მფლობელებს შევთავაზეთ საშეღავათო პერიოდი პრემიების გადახდაზე. გარდა ამისა, იმ საცალო მომხმარებლებმა, რომელთა ავტოდაზღვევის პოლისები საყოველთაო ჩაკეტვის დროს აქტიური იყო, პოლისების განახლებისას გარკვეული შეღავათებით ისარგებლეს. სადაზღვევო პრემიების გადახდაზე საშეღავათო პერიოდი შევთავაზეთ იმ კორპორატიულ კლიენტებსაც, რომელთა საქმიანობაზეც ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა.

პანდემიის გავლენა ავსახეთ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზეც. ჩვენ ის ცალკე არ გამოვყავით, რადგან მისი გავლენა ჯგუფსა და კომპანიაზე არ იყო არსებითი.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

„თიბისი დაზღვევას“ აქვს საკმაოდ მძლავრი ლიკვიდურობის პოზიცია და ფინანსური სიმტკიცე, რაც მას საშუალებას აძლევს, კოვიდ 19-ის პანდემიის ფონზეც კი შესაშური შედეგები აჩვენოს. „თიბისი დაზღვევის“ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი მარეგულირებლის მიერ მოთხოვნილ დონეზე გაცილებით მაღალია. ჩვენ ფხიზლად ვმართავთ ჩვენს პორტფელებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ კომპანიას საკმარისი რესურსები აქვს თავისი კაპიტალის ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში ჯანდაცვის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, „თიბისი დაზღვევამ“ შექმნა კოვიდ-19-ის საქველმოქმედო ფონდი. 2020 წელს ჩვენმა ფონდმა გაიღო 308 ათასი ლარი, რათა ჯანდაცვის 88 მომსახურეს დახმარებოდა ფინანსური სარგებლის პაკეტების მიღებაში.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა და ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენის მიზნებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყენებს საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების კატეგორიზაცია ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, შეფასების მეთოდებში ამოსავალი მონაცემების გამოყენების მიხედვით:

- *დონე 1:* ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- *დონე 2:* აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) საბაზრო მონაცემები
- დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო მონაცემებს (არასაბაზრო მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე შესაძლებელია, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში:

	კონსოლიდირებული								ინდივიდუალური							
	31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.				31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	14,751	-	**14,751**	-	10,836	-	**10,836**	-	14,663	-	**14,663**	-	10,836	-	**10,836**
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	43,516	-	**43,516**	-	38,711	-	**38,711**	-	43,516	-	**43,516**	-	38,711	-	**38,711**
ვადიანი ანაბრები	-	3,386	-	**3,386**	-	4,237	-	**4,237**	-	3,386	-	**3,386**	-	4,237	-	**4,237**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,948	-	-	**1,948**	-	1,121	-	**1,121**	1,948	-	-	**1,948**	-	1,121	-	**1,121**
სულ აქტივები	1,948	**61,653**	-	**63,601**	-	**54,905**	**-**	**54,905**	1,948	**61,565**	-	**63,513**	-	**54,905**	**-**	**54,905**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	2,186	-	**2,186**	-	1,430	-	**1,430**	-	2,176	-	**2,176**	-	1,430	-	**1,430**
სულ ვალდებულებები	**-**	**2,186**	**-**	**2,186**	**-**	**1,430**	**-**	**1,430**	**-**	**2,176**	**-**	**2,176**	**-**	**1,430**	**-**	**1,430**

(ii) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება:

	კონსოლიდირებული								ინდივიდუალური							
	31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.				31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**	დონე 1	დონე 2	დონე 3	**სულ**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	470	-	**470**	-	121	-	**121**	-	470	-	**470**	-	121	-	**121**
სულ აქტივები	-	**470**	**-**	**470**	-	**121**	**-**	**121**	-	**470**	**-**	**470**	-	**121**	**-**	**121**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე და მესამე დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმრავლესობა მოკლევადიანია. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთებზე და ამიტომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

(ა) სესხები და მისაღები ანგარიშები; (ბ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვეკატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომლებიც ასეთად კლასიფიცირდება თავდაპირველი აღიარებისას, და (ii) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. საანგარიშგებო თარიღისთვის (ასევე 2020 ფინანსურ წელს) ყველა ფინანსური აქტივი, გარდა დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, მიეკუთვნებოდა (ა) სესხებსა და მისაღებ ანგარიშებს. დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდა, როგორც (გ) დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხებოდა.

(გ) წარმოებული ფინანსური აქტივები

წარმოებული ფინანსური აქტივები შედგება სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებისგან, რომლებიც გამოიყენება სავალუტო კურსის ცვალებადობით გამოწვეული რისკის სამართავად. წარმოებული აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება სავალუტო კურსები, რომლებიც პირდაპირ მოიძებნება აქტიური ბაზრიდან.

(დ) ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად შემდეგი რისკები აქვს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოცულობით აქვს ჯგუფს ზემოაღნიშნული რისკები, აგრეთვე რისკის შეფასებისა და მართვის რა მიზნები, პოლიტიკა და პროცესები აქვს ჯგუფს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ხელმძღვანელობის შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად ხდება.

ჯგუფი გარკვეულ რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეყრდნობა, ძირითადად, კონტრაჰენტის გადახდისუნარიანობასთან, საიმედოობასთან და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში: გაცემული ფინანსური გარანტიების შემთხვევაში, საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოადგენს აღებული ვალდებულების თანხას.

საკრედიტო რისკის მოცულობა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტისთვის.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2021 წ.**	**31 დეკემბერი, 2020 წ.**	**31 დეკემბერი, 2021 წ.**	**31 დეკემბერი, 2020 წ.**
საბანკო ანაბრები	46,904	42,948	46,904	42,948
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	33,366	22,503	33,366	22,503
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,751	10,836	14,663	10,797
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	4,427	3,727	4,427	3,727
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	3,887	3,048	3,887	3,048
დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,903	1,116	2,903	1,116
სხვა აქტივები	742	46	684	45
წარმოებული ფინანსური აქტივები	470	121	470	121
საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა	**107,450**	**84,345**	**107,304**	**84,305**

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების ვადიანობა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო:

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური						
ათას ლარში	**საერთო 2021 წ.**	**გაუფასურება, 2021 წ.**	**წმინდა 2021 წ.**	**საერთო 2020 წ.**	**გაუფასურება, 2020 წ.**	**წმინდა 2020 წ.**
ვადაგადაუცილებელი	29,199	-	29,199	19,247	-	19,247
0-30 ვადაგადაცილებული დღე	4,059	215	3,844	3,182	90	3,092
30-90 ვადაგადაცილებული დღე	384	115	269	221	120	101
91-180 ვადაგადაცილებული დღე	203	157	46	267	227	40
181-270 ვადაგადაცილებული დღე	95	88	7	182	165	17
271-365 ვადაგადაცილებული დღე	73	72	1	96	90	6
ერთ წელზე მეტ ხნით ვადაგადაცილებული	919	919	-	617	617	-
სულ	**34,932**	**1,566**	**33,366**	**23,812**	**1,309**	**22,503**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით, რადგან ხდება პოლისების გაუქმება და ამ პოლისებთან დაკავშირებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვიც ანალოგიურად უქმდება, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ დამზღვევს არ სურს ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდა.

ხელმძღვანელობა სადაზღვევო პოლისებს გაუფასურებულად მიიჩნევს მათი 30 დღით ვადაგადაცილების შემდეგ.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობაში მოყვანა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური ინსტიტუტების მართვისთვის, ჯგუფის ჩათვლით. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციებს ხელმძღვანელობა თვეში ერთხელ ამოწმებს.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

	კონსოლიდირებული				
ათას ლარში	**მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით**	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1-5 წელი**	**სულ**
31-დეკ-21					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,751	-	-	-	**14,751**
საბანკო ანაბრები	3,315	14,355	11,655	17,579	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	34	361	300	2,208	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	430	40	-	**470**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10,374	9,676	12,799	517	**33,366**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	-	2,946	941	-	**3,887**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	4,427	-	**4,427**
სხვა აქტივები	150	272	177	143	**742**
ფინანსური აქტივები, სულ	**28,624**	**28,040**	**30,339**	**20,447**	**107,450**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	6,120	5,259	296	178	**11,853**
გადასახდელი საკომისიო	187	13,985	1,462	-	**15,634**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	326	1,629	1,629	4,235	**7,819**
საიჯარო ვალდებულებები	-	350	503	617	**1,470**
ფინანსური ვალდებულებები	182	911	1,093	-	**2,186**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	237	-	-	**237**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	4,133	**4,133**
სხვა ვალდებულებები	150	749	749	150	**1,798**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**6,965**	**23,120**	**5,732**	**9,313**	**45,130**
წმინდა ვადიანობის გეპი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**21,659**	**4,920**	**24,607**	**11,134**	**62,320**

ათას ლარში	**მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით**	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1-5 წელი**	**სულ**
31-დეკ-20					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,836	-	-	-	**10,836**
საბანკო ანაბრები	2,221	5,888	3,887	30,952	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14	2	-	1,100	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	45	76	-	**121**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	8,453	6,738	6,686	626	**22,503**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	-	2,653	395	-	**3,048**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	3,727	-	**3,727**
სხვა აქტივები	4	19	19	4	**46**
ფინანსური აქტივები, სულ	**21,528**	**15,345**	**14,790**	**32,682**	**84,345**
ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	4,778	3,796	407	173	**9,154**
გადასახდელი საკომისიო	157	11,436	1,299	-	**12,892**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	365	1,824	1,824	4,742	**8,755**
საიჯარო ვალდებულებები	-	399	477	574	**1,450**
ფინანსური ვალდებულებები	119	596	715	-	**1,430**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	1,226	-	-	**1,226**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	2,615	**2,615**
სხვა ვალდებულებები	128	640	640	128	**1,536**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,547**	**19,917**	**5,362**	**8,232**	**39,058**
წმინდა ვადიანობის გეპი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**15,981**	**(4,572)**	**9,428**	**24,450**	**45,287**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

	ინდივიდუალური				
ათას ლარში	**მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით**	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1-5 წელი**	**სულ**
31-დეკ-21					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,663	-	-	-	**14,663**
საბანკო ანაბრები	3,315	14,355	11,655	17,579	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	34	361	300	2,208	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	430	40	-	**470**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10,374	9,676	12,799	517	**33,366**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	-	2,946	941	-	**3,887**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	4,427	-	**4,427**
სხვა აქტივები	145	248	148	143	**684**
ფინანსური აქტივები, სულ	**28,531**	**28,016**	**30,310**	**20,447**	**107,304**
ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	6,120	5,259	296	178	**11,853**
გადასახდელი საკომისიო	187	13,985	1,462	-	**15,634**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	326	1,629	1,629	4,235	**7,819**
საიჯარო ვალდებულებები	-	334	478	602	**1,414**
ფინანსური ვალდებულებები	181	907	1,088	-	**2,176**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	237	-	-	**237**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	4,133	**4,133**
სხვა ვალდებულებები	149	746	746	150	**1,791**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**6,963**	**23,097**	**5,699**	**9,298**	**45,057**
წმინდა ვადიანობის გეპი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**21,568**	**4,919**	**24,611**	**11,149**	**62,247**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	**მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით**	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1-5 წელი**	**სულ**
31-დეკ-20					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,797	-	-	-	**10,797**
საბანკო ანაბრები	2,221	5,888	3,887	30,952	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14	2	-	1,100	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	45	76	-	**121**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	8,453	6,738	6,686	626	**22,503**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	-	2,653	395	-	**3,048**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	3,727	-	**3,727**
სხვა აქტივები	4	18	19	4	**45**
ფინანსური აქტივები, სულ	**21,489**	**15,344**	**14,790**	**32,682**	**84,305**
ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	4,778	3,796	407	173	**9,154**
გადასახდელი საკომისიო	157	11,436	1,299	-	**12,892**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	365	1,824	1,824	4,742	**8,755**
საიჯარო ვალდებულებები	-	386	477	574	**1,437**
ფინანსური ვალდებულებები	119	595	713	-	**1,427**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	1,226	-	-	**1,226**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	2,615	**2,615**
სხვა ვალდებულებები	125	623	619	128	**1,495**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,544**	**19,886**	**5,339**	**8,232**	**39,001**
წმინდა ვადიანობის გეპი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**15,945**	**(4,542)**	**9,451**	**24,450**	**45,304**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iv) ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი ვადიანობის ანალიზს იყენებს თავისი ლიკვიდურობის რისკის სამართავად. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა, ხელშეკრულებების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან ერთ წელიწადში უნდა დაიფაროს, გარდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი ვალდებულებისა. ხელმძღვანელობის შეფასებით, სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გამო ფულადი ნაკადების გადინების ვადა ერთ წელს არ აღემატება.

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

ჯგუფის საბაზრო რისკის მოცულობის შემცირების მიზნით, აქტივების განაწილებისა და პორტფელის ლიმიტის სტრუქტურების მონიტორინგისთვის დანერგილია შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.

(vi) სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია ერთზე მეტ ვალუტაში. თუ ერთ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მასზე შეიძლება არასახარბიელოდ იმოქმედოს სავალუტო კურსების ცვლილებებმა.

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მუდმივად მოახდინოს სავალუტო კურსების ცვალებადობისა და სავალუტო ბაზრების მონიტორინგი. ჯგუფის მიზანია, დახუროს სავალუტო პოზიციები და უზრუნველყოს ღია სავალუტო პოზიციის მუდმივად ლიმიტებში მოქცევა.

ჯგუფს სავალუტო რისკი, ძირითადად, ექმნება აშშ-ში და ევროში გამოხატული სადაზღვევო დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გამო. ჯგუფის სავალუტო რისკები ასეთია:

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური

ათას ლარში	**აშშ-ში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2021 წ.**	**ევროში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2021 წ.**	**ლარში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2021 წ.**	**აშშ-ში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2020 წ.**	**ევროში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2020 წ.**	**ლარში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2020 წ.**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,038	356	13,357	135	11	10,690
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	14,709	1,064	17,593	12,803	1,052	8,648
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	2,244	1,545	98	2,273	792	(17)
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,357	-	1,546	-	-	-
სხვა დებიტორული დავალიანება	5	14	1,880	-	-	-
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	702	286	7,886	533	327	6,649
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	(1,844)	(591)	(50,526)	(1,671)	(1,083)	(35,773)
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	(5,848)	(1,143)	(828)	(7,552)	(1,081)	(121)
საიჯარო ვალდებულებები	(1,413)	-	(57)	(1,437)	-	(12)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(818)	(332)	(4,365)	(809)	169	(790)
რისკის წმინდა საბალანსო მოცულობა	**10,132**	**1,199**	**(13,416)**	**4,275**	**187**	**(10,726)**
წარმოებული ინსტრუმენტები	(11,140)	-	11,610	(3,113)	-	3,234
რისკის ნეტო ოდენობა	**(1,008)**	**1,199**	**(1,806)**	**1,162**	**187**	**(7,492)**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

	საშუალო კურსი	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის
ლარში	**2021**	**31 დეკემბერი, 2021 წ.**
აშშ დოლარი	3.2209	3.0976
ევრო	3.8140	3.5040

	საშუალო კურსი	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის
ლარში	**2020**	**31 დეკემბერი, 2020 წ.**
აშშ დოლარი	3.1097	3.2766
ევრო	3.5519	4.0233

მგრძნობელობის ანალიზი

გონივრულობის ფარგლებში, ლარის მოსალოდნელი გამყარება (გაუფასურება) 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, შემდეგ გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალისა და წმინდა მოგებისა თუ ზარალის ოდენობაზე. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

ათას ლარში	**გამყარება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი**	**გაუფასურება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი**
31 დეკემბერი, 2021 წ.		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	171	(171)
ევრო (20%-იანი ცვლილება)	(204)	204
31 დეკემბერი, 2020 წ.		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	(198)	198
ევრო (20%-იანი ცვლილება)	(32)	32

(vii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ჯგუფს დაბალი რისკი აქვს მცოცავი განაკვეთის მქონე პროცენტიან ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. საპროცენტო განაკვეთის რისკის მქონე ფინანსური აქტივები წარმოდგენილია დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით, რაც შეადგენს მთლიანი საკრედიტო რისკის მოცულობის მხოლოდ 2.8%-ს, შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი რისკი.

(viii) ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებების მიმოხილვა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობები/ზარალები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ცალ-ცალკე ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს და ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის:

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული					ინდივიდუალური				
ათას ლარში	აქტივები, რომლებიც არ არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები		აქტივები, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია		აქტივების სამართლიანი ღირებულება	აქტივები, რომლებიც არ არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები		აქტივები, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია		აქტივების სამართლიანი ღირებულება
	სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)	სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)		სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)	სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,751	-	**14,751**	-	-	14,663	-	**14,663**
საბანკო ანაბრები	-	-	46,904	-	**46,904**	-	-	46,904	-	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	2,903	-	**2,903**	-	-	2,903	-	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	470	470	-	-	**470**	470	470	-	-	**470**
სხვა აქტივები	-	-	742	-	**742**	-	-	684	-	**684**
სულ ფინანსური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**470**	**470**	**65,300**	**-**	**65,770**	**470**	**470**	**65,154**	**-**	**65,624**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	10,836	-	**10,836**	-	-	10,797	-	**10,797**
საბანკო ანაბრები	-	-	42,948	-	**42,948**	-	-	42,948	-	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,116	-	**1,116**	-	-	1,116	-	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	121	121	-	-	**121**	121	121	-	-	**121**
სხვა აქტივები	-	-	46	-	**46**	-	-	45	-	**45**
სულ ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**121**	**121**	**54,946**	**-**	**55,067**	**121**	**121**	**54,906**	**-**	**55,027**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული	**აქტივების საბალანსო ღირებულება (ბასს 39), რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები და გაანალიზებული საკრედიტო რეიტინგის მიხედვით**						
ათას ლარში	**BB+**	**BB**	**BB-**	**B+**	**B-**	**რეიტინგის გარეშე**	**სულ საბალანსო ღირებულება**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,733	5	-	13	**14,751**
საბანკო ანაბრები	-	-	33,895	13,009	-	-	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	503	2,093	-	307	-	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	742	**742**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**503**	**50,721**	**13,014**	**307**	**755**	**65,300**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	-	10,813	6	-	12	**10,836**
საბანკო ანაბრები	-	-	28,905	14,043	-	-	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	502	614	-	-	-	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	46	**46**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5**	**502**	**40,332**	**14,049**	**-**	**58**	**54,946**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური	**აქტივების საბალანსო ღირებულება (ბასს 39), რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები და გაანალიზებული საკრედიტო რეიტინგის მიხედვით**						
ათას ლარში	**BB+**	**BB**	**BB-**	**B+**	**B-**	**რეიტინგის გარეშე**	**სულ საბალანსო ღირებულება**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,645	5	-	13	**14,663**
საბანკო ანაბრები	-	-	33,895	13,009	-	-	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	503	2,093	-	307	-	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	684	**684**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**503**	**50,633**	**13,014**	**307**	**697**	**65,154**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	-	10,774	6	-	12	**10,797**
საბანკო ანაბრები	-	-	28,905	14,043	-	-	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	502	614	-	-	-	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	45	**45**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5**	**502**	**40,293**	**14,049**	**-**	**57**	**54,906**

35 პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლოში საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გამოდის ძირითადად ზარალთან ან სუბროგაციის გადახდებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების მხარედ. საანგარიშგებო თარიღისთვის არ მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი სასამართლო დავები, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ოთხი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოებს, შეიძლება, ხელმძღვანელობისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდეთ და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი მოსაზრების დამტკიცებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე. (შენიშვნა 30)

36 დაკავშირებული მხარეები

(ა) ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ხელმძღვანელ პირებში შედიან დირექტორები (აღმასრულებელი).

	2021		2020	
ათას ლარში	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**
მოკლევადიანი სარგებელი				
ხელფასები და პრემიები	2,438	1,235	1,657	799
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები				
სახელმწიფო პენსია და დაზღვევა	20	-	12	-
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია				
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით	1,517	4,133	1,228	2,615
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**3,975**	**5,368**	**2,897**	**3,414**

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

(ბ) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან მიმდინარე ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

კონსოლიდირებული	**2021**				**2020**			
ათას ლარში	**მშობელი კომპანია**	**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები***	**სხვა**	**მთლიანის პროცენტული წილი**	**მშობელი კომპანია**	**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები***	**სხვა**	**მთლიანის პროცენტული წილი**
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	14,731	-	100%	-	10,667	-	100%
საბანკო ანაბრები	-	17,557	-	37%	-	12,625	-	29%
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	470	-	100%	-	121	-	100%
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	1,308	-	45%	-	-	-	-
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	-	3,585	339	12%	-	3,081	314	15%
სხვა აქტივები	-	3	-	31%	-	-	-	0%
სულ აქტივები	**-**	**37,654**	**339**	**31%**	**-**	**26,494**	**314**	**28%**
ვალდებულებები								
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	-	8,672	480	17%	-	8,784	478	24%
გადასახდელი საკომისიო	-	13,390	-	86%	-	11,009	-	85%
საიჯარო ვალდებულებები	-	143	-	10%	-	65	-	4%
სულ ვალდებულებები	**-**	**22,205**	**480**	**26%**	**-**	**19,858**	**478**	**29%**
საკუთარი კაპიტალი								
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	7,003	-	-	100%	4,997	-	-	100%
სულ საკუთარი კაპიტალი	**7,003**	**-**	**-**	**21%**	**4,997**	**-**	**-**	**19%**

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული	2021				2020			
ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი
მოგება-ზარალის ანგარიშგება								
გამომუშავებული პრემია	-	44,471	1,316	45%	-	38,136	999	47%
საპროცენტო შემოსავალი	-	2,345	-	41%	-	1,929	-	42%
დამდგარი ზარალი	-	(16,486)	(752)	33%	-	(13,401)	(703)	-36%
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	-	(3)	-	4%	-	(178)	-	76%
აკვიზიციის ხარჯები	-	(13,126)	-	71%	-	(10,634)	-	67%
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი	-	401	-	-502%	-	(256)	-	-55%
	-	**17,602**	**564**		**-**	**15,596**	**296**	

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	**2021**					**2020**				
ათას ლარში	**მშობელი კომპანია**	**შვილობილი კომპანიები**	**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები***	**სხვა**	**მთლიანის პროცენტული წილი**	**მშობელი კომპანია**	**შვილობილი კომპანიები**	**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები***	**სხვა**	**მთლიანის პროცენტული წილი**
აქტივები										
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,731	-	100%	-	-	10,667	-	100%
საბანკო ანაბრები	-	-	17,557	-	37%	-	-	12,625	-	29%
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	-	4,426	-	-	100%	-	2,900	-	-	100%
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	470	-	100%	-	-	121	-	100%
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,308	-	45%	-	-	-	-	-
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	-	13	3,585	339	12%	-	2	3,081	314	15%
სხვა აქტივები	-	-	3	-	0%	-	-	-	-	0%
სულ აქტივები	**-**	**4,439**	**37,654**	**339**	**34%**	**-**	**2,902**	**26,494**	**314**	**30%**
ვალდებულებები										
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	-	-	8,672	480	17%	-	-	8,784	478	24%
გადასახდელი საკომისიო	-	-	13,390	-	86%	-	-	11,009	-	85%
ფინანსური ვალდებულებები	-	3	-	-	0%	-	-	-	-	0%
საიჯარო ვალდებულებები	-	-	143	-	10%	-	-	65	-	5%
სულ ვალდებულებები	**-**	**3**	**22,205**	**480**	**26%**	**-**	**-**	**19,858**	**478**	**29%**
საკუთარი კაპიტალი										
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	7,003	-	-	-	100%	4,997	-	-	-	100%
სულ საკუთარი კაპიტალი	**7,003**	**-**	**-**	**-**	**19%**	**4,997**	**-**	**-**	**-**	**17%**

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდულური	**2021**					**2020**				
ათას ლარში	**მშობელი კომპანია**	**შვილობილი კომპანიები**	**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები***	**სხვა**	**მთლიანის პროცენტული წილი**	**მშობელი კომპანია**	**შვილობილი კომპანიები**	**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები***	**სხვა**	**მთლიანის პროცენტული წილი**
მოგება-ზარალის ანგარიშგება										
გამომუშავებული პრემია	-	40	44,471	1,316	45%	-	1	38,136	999	47%
საპროცენტო შემოსავალი	-	-	2,345	-	41%	-	-	1,929	-	42%
დამდგარი ზარალი	-	(13)	(16,486)	(752)	33%	-	(11)	(13,401)	(703)	36%
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	-	-	(3)	-	4%	-	-	(178)	-	76%
აკვიზიციის ხარჯები	-	-	(13,126)	-	71%	-	-	(10,634)	-	67%
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი	-	-	401	-	-521%	-	-	(256)	-	-54%
	-	**27**	**17,602**	**564**		**-**	**(10)**	**15,596**	**296**	

დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებულ საბანკო ანაბრებზე დარიცხული წლიური პროცენტი 10.55%-დან 14.30%-მდეა.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებში შედიან საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიები.

სხვა დაკავშირებული მხარეები, ძირითადად, მოიცავს საჯარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის ჯგუფის" წამყვან ხელმძღვანელობასა და საჯარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის ჯგუფის" წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

შვილობილი კომპანიები ის ინვესტიციის ობიექტებია, სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან (i) შეუძლია წარმართოს ინვესტიციის ობიექტის ის საქმიანობები, რომლებიც მის უკუგებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს, (ii) აქვს ინვესტიციის ობიექტში მონაწილეობის შედეგად ცვლად უკუგებასთან დაკავშირებული რისკი და უფლებები, და (iii) შეუძლია გამოიყენოს ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენა და იმოქმედოს ინვესტორის უკუგების ოდენობაზე. სხვა საწარმოზე ჯგუფის გავლენის შეფასებისას ხდება არსებითი უფლებების, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, არსებობის და ეფექტის გათვალისწინება. იმისათვის, რომ უფლება არსებითად ჩაითვალოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობების წარმართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის ობიექტზე მაშინაც კი, როდესაც მისი ხმის უფლებების ნახევარს ან ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ადარებს თავის ხმის უფლებათა რაოდენობას სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან, რათა განსაზღვროს აქვს თუ არა ფაქტობრივი გავლენა ინვესტიციის ობიექტზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა უფლებები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციის ობიექტის საქმიანობაში ფუნდამენტურ ცვლილებებს ან გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ჯგუფს ინვესტიციის ობიექტის გაკონტროლებაში ხელს არ უშლის. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირდება იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფს გადაეცემა კონტროლი და მათი დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

(ბ) ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელზეც კომპანიას კონტროლი აქვს. კონტროლი ხორციელდება მაშინ, როდესაც ინვესტორი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვალებადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილი ან მეკავშირე საწარმოსგან მიღებული დივიდენდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც განისაზღვრება მის მიერ დივიდენდის მიღების უფლება.

ბასს 36-ის მოთხოვნების საფუძველზე განისაზღვრება, არის თუ არა საჭირო გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ საწარმოში კომპანიის ინვესტიციასთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) მოწმდება გაუფასურებაზე ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, როგორც ერთი აქტივი. ამისათვის ხდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების (გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი) შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. გაუფასურების ზარალის შემობრუნების აღიარება ხდება ბასს 36-ის მიხედვით იმდენად, რამდენადაც შემდგომში გაიზრდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

(გ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება ლარში ხდება სამუშაო ვალუტის ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაანგარიშებულია ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად.

გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) სადაზღვევო ხელშეკრულებები

(i) ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებებს განეკუთვნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა გაფორმებითაც ჯგუფი კისრულობს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარის („დამზღვევი“) წინაშე იმით, რომ თანხმდება, დამზღვევს ან სხვა მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი, თუ მომავალში დამდგარი გაუთვალისწინებელი შემთხვევა („სადაზღვევო შემთხვევა“) უარყოფითად იმოქმედებს დამზღვევზე ან სხვა მოსარგებლეზე.

სადაზღვევო რისკი არის რისკი, რომელიც ფინანსური რისკი არაა.

ფინანსური რისკი ერთი ან რამდენიმე ისეთი მაჩვენებლის ცვლილების რისკია, როგორებიცაა: განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი, ფინანსური ინსტრუმენტის ფასი, სასაქონლო ღირებულება, სავალუტო გაცვლითი კურსი, განაკვეთების ან ფასის ინდექსი, საკრედიტო რეიტინგი ან საკრედიტო ინდექსი თუ სხვა ცვლადები. არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს დამახასიათებელი ხელშეკრულების მხარისათვის. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ასევე შეიძლება გადავიდეს გარკვეული ფინანსური რისკი.

სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჯგუფს შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება მოუხდეს. მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება კლასიფიცირდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, იგი რჩება ამ კატეგორიაში მანამ, სანამ

ამოიწურება ან შესრულდება ყველა უფლება-მოვალეობა. ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც დამზღვევიდან ჯგუფზე გადაცემული სადაზღვევო რისკი არ არის მნიშვნელოვანი, ფინანსურ ინსტრუმენტებად კლასიფიცირდება.

ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებად აღირიცხება.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) ხელშეკრულებების აღიარება და შეფასება

პრემიები

მთლიანი მოზიდული პრემიები მოიცავს წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების პრემიებს განურჩევლად იმისა, მთლიანად თუ ნაწილობრივ უკავშირდებიან ისინი გვიანდელ სააღრიცხვო პერიოდს. პრემიების გაცხადება ხდება შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოს ჩათვლით და პრემიებზე დარიცხული გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. მოზიდული პრემიების გამომუშავებული ნაწილის აღიარება შემოსავალში ხდება. პრემიები გამომუშავებულია რისკის მინიჭების თარიღიდან, ზარალის ანაზღაურების პერიოდის განმავლობაში, დღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით. გადაზღვევის გამავალი პრემიების აღიარება ხდება ხარჯად, დღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით. გადაზღვევის გამავალი პრემიების ის ნაწილი, რომელიც ხარჯად არ აღიარდება, აღირიცხება ავანსის სახით.

პოლისების გაუქმება

პოლისების გაუქმება ხდება მაშინ, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ დამზღვევს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიების გადახდის გაგრძელება. შესაბამისად, გაუქმება მეტწილად მოქმედებს იმ პოლისებზე, რომლებზეც პრემიები გადაიხდება ნაწილ-ნაწილ პოლისის ვადის განმავლობაში.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი მოიცავს მთლიანი მოზიდული პრემიების იმ წილს, რომლის გამომუშავებაც პროგნოზირებულია მომდევნო ან მის შემდგომ ფინანსურ წლებში და თითოეული სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის ცალკე, დღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით, გამოითვლება.

(iii) მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერები

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვის მიხედვით დაკორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს აღარ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ეს უკანასკნელი მოიცავს ადგილობრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ ჯარიმებს. პრემიები ჩამოსაწერად ფასდება ან კოლექტიურად, ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე, ან ინდივიდუალურად, პრემიის სეგმენტისა და კლიენტის ტიპის მიხედვით.

(iv) სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

დაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება წარმოებს სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და ფასდება თვითღირებულებით. სადაზღვევო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების გასტუმრება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სადაზღვევო ზარალი

წმინდა დარეგულირებული ზარალი შედგება ფინანსური წლის განმავლობაში დარეგულირებული ზარალისგან, შეტყობინებული ზარალისთვის შექმნილ რეზერვში მოძრაობასთან ერთად. აუნაზღაურებელი ზარალი შედგება ჯგუფის მიერ დამდგარი, მაგრამ გადაუხდელი ზარალის ანაზღაურების საბოლოო დანახარჯის პროგნოზის მიხედვით შექმნილი რეზერვებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ზარალი განცხადებულია თუ არა.

შეტყობინებული ზარალი ფასდება ცალკეული ზარალის შემოწმებით და რეზერვის შექმნით დამდგარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალისთვის და შიდა და გარე პროგნოზირებადი შემთხვევების ეფექტისთვის, როგორიცაა

მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები, მიღებული გამოცდილება და წარსულში არსებული ტენდენციები. შეტყობინებული ზარალის რეზერვების დისკონტირება არ ხდება.

გადაზღვევიდან და სუბროგაციიდან მოსალოდნელი ანაზღაურების აღიარება ცალკე ხდება აქტივებად. გადაზღვევიდან და სუბროგაციიდან ანაზღაურება ფასდება შეტყობინებული ზარალის შეფასების ანალოგიურად.

ზარალის თანხების წინა წლებში შექმნილი რეზერვების კორექტირება აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელშიც შევიდა კორექტირებები და, თუ არსებითია, ცალკე აღირიცხება. გამოყენებული მეთოდებისა და გაკეთებული პროგნოზების გადამოწმება რეგულარულად ხდება.

(v) *გადაზღვევა*

ჯგუფი გადაზღვევას გადასცემს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რათა შეამციროს თავისი პოტენციური წმინდა ზარალი გადამზღვევლებზე რისკის ნაწილობრივი გადაცემით. გადაზღვევის ხელშეკრულებები ჯგუფს არ ათავისუფლებს თავისი დამზღვევების წინაშე აღებული პირდაპირი ვალდებულებებისგან.

გადაცემული პრემიები და ანაზღაურებული სარგებელი წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოგებაში ან ზარალში მთლიანი თანხებით.

გადაზღვევის აქტივები მოიცავს გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს გადაცემული სადაზღვევო ვალდებულებებისთვის. გადაზღვევიდან ამოღებადი თანხების პროგნოზირება ხდება იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვს ან გადაზღვევის პოლისებთან დაკავშირებულ დარეგულირებულ ზარალს.

გადაზღვევის აღებული პრემიების შემოსავლად აღიარება ხდება და აღირიცხება ისე, თითქოს გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად მიიჩნეოდეს, გადაზღვეული გარიგების პროდუქტების კლასიფიკაციის გათვალისწინებით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადაზღვევის ხელშეკრულებების თანახმად ამოღებადი თანხების გაუფასურება ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. ასეთი აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ დამდგარი მოვლენის შედეგად ჩნდება ობიექტური ნიშნები იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს ვალდებულებები და როდესაც ამ მოვლენას სარწმუნოდ შეფასებადი გავლენა აქვს ჯგუფის მიერ გადამზღვევლისგან მისაღებ თანხებზე. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მხოლოდ ის უფლებები აღირიცხება გადაზღვევის აქტივებად, რომლებიც განაპირობებენ სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვან გადაცემას. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები, რომლებიც არ გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, აღირიცხება ფინანსურ ინსტრუმენტებად.

(vi) გადავადებული საკომისიო შემოსავალი

ჯგუფი იღებს საკომისიოს გადამზღვევლებისთვის პრემიების გადაცემისთვის. ამ ტიპის საკომისიოს აღიარება ხდება სადაზღვევო საქმიანობიდან მოგებაში ან ზარალში. საკომისიო შემოსავალი გადაცემული გადაზღვევის პრემიებიდან, რომლებიც წარმოადგენს ამოღებულ აკვიზიციურ ხარჯებს, ამცირებს არაამორტიზებულ აკვიზიციურ ხარჯებს იმგვარად, რომ წმინდა აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და

აღირიცხება ხარჯებში აღიარებული წმინდა სადაზღვევო შემოსავლის პროპორციულად. გადაცემული გადაზღვევიდან გადავადებულ საკომისიო შემოსავალში ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებში.

(vii) გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

აკვიზიციური ხარჯები, რომლებიც წარმოადგენს სადაზღვევო აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილ საკომისიოებს და აკვიზიციასთან პირდაპირ დაკავშირებული სხვა ხარჯები გადავადდება და ამორტიზდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მოხდა შესაბამისი მოზიდული პრემიების გამომუშავება იმდენად, რამდენადაც ეს დანახარჯები ამოღებადია მომავალი პრემიებიდან. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მცირდება მომავალ პერიოდებთან დაკავშირებულ გაუფასურებულ სადაზღვევო პოლისებზე გადასახდელი საკომისიოებით.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს მიაკუთვნებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას. ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს მიაკუთვნებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი სესხებისა და მისაღები ანგარიშების თავდაპირველად აღიარებს მათი შექმნის დღეს. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია გარიგების იმ თარიღისთვის, როდესაც ჯგუფი ხდება ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

(ii) ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).წარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო ხელშეკრულებები, აღირიცხება მათი სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი ამ ინსტრუმენტებზე ჰეჯირების აღრიცხვას არ აწარმოებს.

(iii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს მიაკუთვნებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას. ასეთი ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. აღნიშნული ურთიერთგაქვითვის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალში რამე კონკრეტულ მოვლენაზე და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად აღსრულებადი ყველა ქვემოთ მოყვანილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(v) სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის ფინანსური აქტივების ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდების მქონე კატეგორია, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ასეთი ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება, რასაც შემდეგ ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი.

(vi) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთებისგან და მოთხოვნამდე ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ შეძენის თარიღიდან სამ თვემდე ვადა და შეიცავენ მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(vii) შემდგომი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, შემოსულობის ან ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარება წყდება ან ფინანსური აქტივი ან ვალდებულება უფასურდება, და ამორტიზაციის პროცესის მეშვეობით.

(ვ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებისა და აქციის ოფციონებისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი ზღვრული ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

(ზ) დივიდენდები

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცდებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „ანგარიშგების შემდგომი მოვლენების“ თავში.

(თ) შვილობილი კომპანიების შესყიდვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისგან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისგან შვილობილი კომპანიების შესყიდვა აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდით, წინამორბედი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის მიხედვით, გაერთიანებული საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია, ისე, თითქოს ბიზნესები გაერთიანებული წარმოდგენილთაგან უადრესი პერიოდის დასაწყისიდან და, თუ უფრო გვიან, იმ თარიღიდან, როდესაც გაერთიანებული საწარმოები პირველად დაექვემდებარა საერთო კონტროლს. საერთო კონტროლის ქვეშ გადაცემული შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წინამორბედი საწარმო მიიჩნევა უმსხვილეს ანგარიშვალდებულ საწარმოდ, რომელშიც შვილობილი კომპანიის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ინფორმაცია კონსოლიდირდა. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველ შეძენასთან დაკავშირებული გუდვილი ასევე ასახულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერი სხვაობა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას, წინამორბედი საწარმოს გუდვილის ჩათვლით, და შესყიდვის ანაზღაურების თანხას შორის, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალში სხვა რეზერვების კორექტირება.

(ი) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ძირითადი საშუალებების ნებისმიერი ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების მუხლში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟების და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის თარიღიდან ან, შიდა რესურსებით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც დასრულდა აქტივის შექმნა და იგი ექსპლუატაციისთვის მზად არის. ცვეთა ეყრდნობა აქტივის თვითღირებულება, რომელიც შემცირებულია მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულებით. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ავეჯისა და ინვენტარის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები 5-დან 10 წლამდე მერყეობს; საიჯარო ქონების გაუმჯობესების სასარგებლო მომსახურების ვადაა შესაბამისი იჯარის ვადა და, თუ იჯარის ვადა განსაზღვრული არ არის, მაქსიმუმ, 7 წელი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია. ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(კ) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. ჯგუფი სახელშეკრულებო ანაზღაურების თანხას საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე ანაწილებს მათი ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე.

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა,
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, გადახდილი იჯარის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული ნებისმიერი საიჯარო შეღავათით, ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით, და აქტივის საიჯარო ხელშეკრულებით სავალდებულო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯებით.
- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენის ხარჯი.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა, როგორც წესი, ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადები 1-დან 3 წლამდე მერყეობს.

(ლ) არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ და მათში, ძირითადად შედის, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება 1-დან 10 წლამდე სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(მ) გაუფასურება

(i) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებს აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ დამდგარ ზარალის შემთხვევაზე და იმაზე, რომ ეს შემთხვევა უარყოფითად მოქმედებს აქტივთან დაკავშირებით მოსალოდნელ იმ ფულად ნაკადებზე, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც სარწმუნოდ შეიძლება.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს:

- მსესხებლის მხრიდან გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ჯგუფის წინაშე ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია ისეთი პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ დათანხმდებოდა;
- მსესხებლის გაკოტრების ნიშნები;
- ეკონომიკური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ინდივიდუალური აქტივის, ისე კოლექტიურ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივის გაუფასურება ინდივიდუალურად ფასდება.

ის აქტივები, რომლებიც არ აღმოჩნდება გაუფასურებული, შემდეგ კოლექტიურად ფასდება გაუფასურებისთვის, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ გამოვლენილა. ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე აქტივების გაუფასურება კოლექტიურად ფასდება მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფებით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დეფოლტის ალბათობის, დავალიანების ამოღების ვადებისა და განცდილი ზარალის ოდენობის ისტორიულ ტენდენციებს, რომლებსაც შემდეგ აკორექტირებს მას შემდეგ, რაც განსჯის, ხომ არ არის არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ მოსალოდნელი ფაქტობრივი ზარალი ისტორიულ ტენდენციებზე უფრო მეტი ან ნაკლები იყოს.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება დებიტორული დავალიანების რეზერვის ანგარიშში. როდესაც ჯგუფი გადაწყვეტს, რომ აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, ჩამოწერს შესაბამის თანხებს. გაუფასურებულ აქტივზე გრძელდება პროცენტის აღიარება დისკონტის ამორტიზაციის გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა განაპირობებს გაუფასურების ზარალის შემცირებას და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ მოვლენას, გაუფასურების ზარალის შემცირება შემობრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში. ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკე ფულად ნაკადებს და გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ნაწილდება გონივრულობის და თანმიმდევრულობის პრინციპზე დაყრდნობით და მათი გაუფასურების ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ტესტირებასთან ერთად, რომელზეც ეს კორპორაციული აქტივია განაწილებული.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი შემობრუნდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

(ნ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი საიჯარო გადასახდელების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით,
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი გამოიყენებს ამ უფლებას, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია ჯგუფის მთელ რიგ საოფისე იჯარის ხელშეკრულებებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების გამოყენება შეუძლია მხოლოდ ჯგუფს და არა შესაბამის მეიჯარეს.

იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). საიჯარო გადახდები იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენების შემთხვევაში, რომელიც საკმარისად სარწმუნოა, ასევე მონაწილეობს ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არ შეიძლება, როგორც ეს ხშირად ხდება ჯგუფის იჯარების შემთხვევაში, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც ჯგუფი გადაიხდიდა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად ჯგუფი, როდესაც ეს შესაძლებელია, ამოსავალ წერტილად იყენებს ცალკეული მოიჯარის მიერ ბოლოს მიღებულ მესამე მხარის დაფინანსებას და აკორექტირებს ისე, რომ ასახოს ფინანსურ პირობებში მესამე მხარისგან დაფინანსების მიღების შემდეგ შესული ცვლილებები,

საიჯარო გადასახადები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

აღჭურვილობისა და ავტოტრანსპორტის მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივი მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები.

(ო) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

(iii) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი საგადასახადო დავალიანება საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთებისა, და წინა წლებთან მიმართებით საგადასახადო დავალიანების ნებისმიერი კორექტირების მიხედვით. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ასევე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებებს.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის.

ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

(iv) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი ეხება დროებითი სხვაობებს აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრ ოდენობებს შორის. იგი არ ეხება შემდეგი სახის დროებით სხვაობებს: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მშობელ ბანკს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის შემობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შემობრუნდება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების რეალიზაციას ან დაფარვას 2023 წლის პირველ იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული, ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება 2023 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოქვითვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის შესაბამისი საგადასახადო სარგებლის გამოყენება.

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოიქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(პ) წილობრივი გადახდის ვალდებულება

2020 წელს სს „თიბისი დაზღვევამ“ დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლითაც ჩაანაცვლა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის 2019 წლის ანაზღაურების სქემა. ამ სქემის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად გადასცემს თავისი მშობელი კომპანიის (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“) აქციებს ხუთწლიანი ვადით (2019-2023).

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე.

თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

ყოველი დარიცხვა ხდება დისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულების ამორტიზაცია ხდება საპროცენტო ხარჯის დარიცხვით (შესულია თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებში) ვალდებულების დაფარვის თარიღამდე. გამოიყენება ხუთწლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი.

38 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ – ცვლილება ფასს 16-ში (გამოშვებული 2020 წლის 28 მაისს და ძალაში შესული 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება ითვალისწინებს შეღავათს მოიჯარისთვის ნებაყოფლობითი გამონაკლისის სახით, იმის შეფასებისგან, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეს შეუძლია არჩიოს საიჯარო ქირის დათმობების აღრიცხვა ისე, თითქოს ისინი არ წარმოადგენს იჯარის მოდიფიკაციას. გამარტივებული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა: საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე; საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა; და იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

ჯგუფს არ მოულაპარაკია საიჯარო ქირის დათმობაზე მეიჯარეებთან ქონების იჯარებთან დაკავშირებით და ცვლილების შემოღებას არ მოუხდენია რამე გავლენა აქტივის გამოყენების უფლებაზე.

38 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

2021 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა, მაგრამ ჯგუფზე რამე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი) ცვლილება - მეორე ფაზის ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში (გამოშვებული 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების გატარების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის შეცვლას ალტერნატიული კრიტერიუმით. ცვლილებები ეხება შემდეგ სფეროებს:

- ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში შესული ცვლილებების აღრიცხვა: იმ ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებსაც ეხება ამორტიზებადი ღირებულების შეფასება, ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს, რომ გამარტივებული მეთოდით აღრიცხონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის შეცვლა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად, ფასს 9-ის „ბ“ მუხლის 5.4.5. პუნქტის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით. ამასთან დაკავშირებით შემოსულობა ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს გამარტივებული მიდგომა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, როგორც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების პირდაპირი შედეგი, და თუ ახალი საფუძველი ეკონომიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურია წინა საფუძვლისა. ამავე გამარტივებული მიდგომის გამოყენება ევალებათ იმ დამზღვევებსაც, რომლებიც ფასს 9-დან დროებითი გამონაკლისით სარგებლობენ. ფასს 16-ში შესული ცვლილებაც მსგავსი გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მოითხოვს მოიჯარეებისგან, როდესაც აღრიცხავენ საიჯარო მოდიფიკაციებს, რომლებითაც იცვლება ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად სამომავლო საიჯარო გადასახადების განსაზღვრის საფუძველი. ჰეჯირების ურთიერთობებში ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტებისთვის პირველი ფაზით გათვალისწინებული შეღავათის შეწყვეტის თარიღი: მეორე ფაზის ცვლილებების მიხედვით, საწარმო ვალდებულია, პერსპექტიულად შეწყვიტოს პირველი ფაზის შეღავათების გამოყენება ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტისთვის, როდესაც ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტში შედის ცვლილებები ან როდესაც წყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომლის თარიღიც უფრო ადრე დადგება. რისკის კომპონენტებისთვის პირველი ფაზის ცვლილებებში შეწყვეტის თარიღი არ იყო მოცემული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტული მოთხოვნების გამოყენებიდან: მეორე ფაზის ცვლილებები დამატებით შეღავათებს ითვალისწინებს, კერძოდ, დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების ურთიერთობების მიმართ ჰეჯირების აღრიცხვის ბასს 39-ისა და ფასს 9-ის მოთხოვნების შესრულებისგან, რომლებზეც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ცვლილებამ პირდაპირი გავლენა იქონია.
- ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის რეფორმასთან დაკავშირებით: ცვლილებები მოითხოვს განმარტებებს შემდეგზე: (i) როგორ ახერხებს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მისი გადასვლის პროგრესი და გადასვლასთან დაკავშირებული რისკები; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოებულ და არაწარმოებულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ჯერ არ გადასულა ამ განაკვეთებზე, ჩაშლილი მნიშვნელოვანი საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების მიხედვით და (iii) ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების გამო რისკის მართვის სტრატეგიაში შესული ნებისმიერი ცვლილების აღწერა.

38 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის (IBOR) რეფორმის ეფექტი. სხვადასხვა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის რეფორმა და ჩანაცვლება პრიორიტეტად იქცა მარეგულირებელი ორგანოებისთვის. ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების უმეტესობა აღარ ქვეყნდებოდა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსები (ლიბორის ინდექსები) აშშ დოლარში აღარ ქვეყნდებოდა 2023 წლის 30 ივნისისთვის.

საანგარიშგებო თარიღისთვის, ასევე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ აქვს რისკი ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსებზე მიბმულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ვადაზე ადრე არ გამოუყენებია.

„აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“ - ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში (გამოვიდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან ამავე თარიღის შემდგომ). ეს ცვლილებები აწესრიგებს შეუსაბამობას ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, რომლებიც ეხება აქტივების გაყიდვას ან კაპიტალში შეტანას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის.

ამ ცვლილებების მთავარი ეფექტი ის არის, რომ ხდება სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, როცა გარიგება ეხება ბიზნესს. ნაწილობრივი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ეხება აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, თუნდაც ამ აქტივებს ფლობდეს შვილობილი კომპანია.ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოშვებული 2018 წლის 18 მაისს და ძალაში მყოფი 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ძალაში შესვლის თარიღი მოგვიანებით შეიცვალა 2023 წლის 1 იანვრით ფასს 17-ში შესული შესწორებების შედეგად, რაც ქვემოთ არის განხილული). ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება. ფასს 17 ეყრდნობა ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპს. სტანდარტით სავალდებულოა სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და შეფასება: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული დღევანდელი ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის დადებითი (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან უარყოფითი (თუ მიღებული რიცხვი აქტივია) მაჩვენებელი; (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე მიუღებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). დამზღვევები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ჯგუფი სტანდარტის გამოყენებას აპირებს მის მიერ გაცემულ ვალდებულების შესრულების გარანტიებზე და ამ ეტაპზე აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ასევე განიხილება პოტენციური გავლენა სესხებსა და მსგავს ინსტრუმენტებში ჩართულ სადაზღვევო პროდუქტებზე.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილებები ფასს 4-ში (გამოშვებული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს, რომელთა მიზანია ფასს 17-ის უფრო იოლად დანერგვა, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნისა და სტანდარტზე გადასვლის გამარტივება. ცვლილება შეეხო ფასს 17-ში ასახულ რვა საკითხს და მათი მიზანი არ არის სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლა. ფასს 17-ში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) ორი წლით გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის; ხოლო ფასს 9-ისა და ფასს 4-ის გამოყენებიდან დროებითი გამონაკლისების ვადის ამოწურვის ფიქსირებული თარიღი ასევე გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.
- აკვიზიციიდან ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ამოღება: საწარმო ვალდებულია აკვიზიციური ხარჯების ნაწილი გაანაწილოს შესაბამისი ხელშეკრულებების მოსალოდნელ განახლებებზე, და აღიაროს ეს დანახარჯები აქტივად, სანამ საწარმო აღიარებს ხელშეკრულებების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ აქტივის ამოღების შესაძლებლობის შეფასება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებებისთვის მიკუთვნებადი სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა: ცვალებადი გასამრჯელოს მეთოდით შედგენილი ხელშეკრულებებისა და ზოგადი მოდელის მიხედვით შედგენილი, „ინვესტიციაზე უკუგების მომსახურების“ შემცველი სხვა ხელშეკრულებებისთვის უნდა განისაზღვროს სადაზღვევო დაფარვის ერთეულები, ანაზღაურების რაოდენობისა და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ისე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი ვადის გათვალისწინებით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა აისახოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ საწარმო ამ საქმიანობას ეწევა დამზღვევისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ანაზღაურების გაზრდის მიზნით.
- გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის ამოღება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს წამგებიანი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, ან ჯგუფისთვის წამგებიანი ხელშეკრულებების დამატებისას, საწარმომ უნდა დააკორექტიროს გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა და აღიაროს შემოსულობა გაფორმებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებიდან ამოღებული ზარალის თანხა განისაზღვრება საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე სადაზღვევო მოთხოვნების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის ამოღებასაც საწარმო მოელის გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან აღიარების დროს.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

- სხვა ცვლილებები: სხვა ცვლილებებში შედის: ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) ხელშეკრულებისა და ზოგი სასესხო ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული გამონაკლისები; სადაზღვევო ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებად და არა ჯგუფებად; რისკის შემცირების ოფციონის გამოყენების შესაძლებლობა, როდესაც რისკების შემცირება ხდება გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით; ფასს 17-ის გამოყენების დროს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული პროგნოზების შესაცვლელად სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალება; დამზღვევისთვის დაკისრებადი გადახდილი და მიღებული მოგების გადასახადის შეტანა სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებში, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ნაწილში; და სტანდარტზე გადასვლასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათები და სხვა წვრილ-წვრილი ცვლილებები.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.]

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“.სტანდარტში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულების აღიარების და შეფასების მოთხოვნები. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება".

<u>კლასიფიკაცია – ფინანსური აქტივები</u>

ფასს 9-ში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის და შეფასების ახალი მიდგომა, რომელიც ასახავს აქტივების მართვის ბიზნესმოდელს და მათი ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების სამ ძირითად კატეგორიას: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის არსებულ კატეგორიებს: დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული, სესხები და მისაღები ანგარიშები და გასაყიდად გამიზნული.

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია შეაფასებს ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც ფლობილია აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს ყველაზე კარგად ასახავს იმას, თუ როგორ იმართება ბიზნესი და როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას.

შეფასება იმისა, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები

ამ შეფასების მიზნით, ძირითადი თანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება საკრედიტო რისკისთვის, რომელიც უკავშირდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხას და დაკრედიტების სხვა ძირითადი რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები, კომპანიამ განიხილა ინსტრუმენტის ხელშეკრულების პირობები. ეს მოიცავს იმის შეფასებას, ფინანსური აქტივი შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობის დრო ან სიდიდე ისე, რომ მან ვერ დააკმაყოფილოს ეს პირობა.

გაუფასურება – ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები

ფასს 9 ჩაანაცვლებს „განცდილი ზარალი“ მოდელს ბასს 39-ში საპროგნოზო „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით. ამ მოდელს დასჭირდება დიდი დოზით განსჯის გამოყენება იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რაც განისაზღვრება ალბათობის შეწონის საფუძველზე.

ახალ გაუფასურების მოდელი გავრცელდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსურ აქტივებზე, გარდა ინვესტიციებისა წილობრივ ინსტრუმენტებში, და სახელშეკრულებო აქტივებზე. სადაზღვევო დებიტორული დავალიანება არ ექცევა ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების არეალში.

ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის რეზერვი შეფასდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის საფუძველზე:

- 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც არის საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დეფოლტის შესაძლო მოვლენების შედეგი; და

- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც არის ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგი ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოქმედებს თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და 12-თვიანი საკრედიტო ზარალის შეფასება მოქმედებს, თუ ეს არ მომხდარა. საწარმოს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის. თუმცა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის გარეშე.

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნა კომპლექსურია და მოითხოვს ხელმძღვანელობის განსჯას, შეფასებებს და დაშვებებს, კერძოდ, ქვემოთ განხილულ შემდეგ ასპექტებში:

- იმის შეფასება, ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ თუ არა; და

- საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

კლასიფიკაცია – ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს არსებულ მოთხოვნებს ბასს 39-ში ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის თაობაზე.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

თუმცა ბასს 39-ის მიხედვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ყველა ცვლილების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როცა, ფასს 9-ის მიხედვით, სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების ოდენობა, რომელიც მიკუთვნებადია ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებისთვის, აისახება სხვა სრულ შემოსავალში; და

- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი ოდენობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადასვლა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ფასს 9-ის მიღების შედეგად, როგორც წესი, გამოიყენება რეტროსპექტიულად, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

- კომპანია ისარგებლებს გამონაკლისით, რომელიც მას საშუალებას აძლევს, არ გადაიანგარიშოს წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაცია კლასიფიკაცისა და შეფასების (გაუფასურების ჩათვლით) ცვლილებების გამო. სხვაობები ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში ფასს 9-ის მიღების შედეგად, ჩვეულებრივ, აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში და რეზერვებში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

- სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე შემდეგი შეფასებები უნდა გაკეთდეს.

    - ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ფლობილია ფინანსური აქტივი.

    - გარკვეული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, კლასიფიკაცია და წინა კლასიფიკაციების გაუქმება.

ჯგუფი ამჟამად აფასებს სტანდარტის შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ვიწრო მოქმედების სფეროს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აკმაყოფილებს ყველა შესაბამის პირობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია,

როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადაწევა - ცვლილებები ბასს 1-ში (გამოშვებული 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ბასს 1-ში, რომლებიც მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაციას ეხება, გამოიცა 2020 წლის იანვარში და მათი ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღი იყო 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ძალაში შესვლის თარიღმა ერთი წლით გადაიწია, რათა კომპანიებს კლასიფიკაციაში შესული ცვლილებების დანერგვისთვის მეტი დრო ჰქონოდათ. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე, წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები, კონცეპტუალური საფუძვლების მითითება - დამაზუსტებელი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2018-2020 წ.წ. - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოშვებული 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში შესული ცვლილება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ობიექტის თვითღირებულებიდან გამოქვითოს ამ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის მომზადების პროცესში წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი. ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, ახლა უკვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო ამ ერთეულების თვითღირებულების შესაფასებლად ბასს 2-ით იხელმძღვანელებს. თვითღირებულებაში არ შევა იმ აქტივის ცვეთა, რომელიც იტესტება, რადგან ჯერ არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ბასს 16-ში შესული ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ საწარმო „ამოწმებს, აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას.

აქტივის ფინანსური შედეგიანობა ამ შეფასებისთვის აქტუალური არ არის. ამიტომ აქტივი შეიძლება ასრულებდეს ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ ფუნქციას და ექვემდებარებოდეს ცვეთას, სანამ მიაღწევს ექსპლუატაციის იმ დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მისგან მოელის.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ცვლილება ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების“ მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს, და სხვა სხვა განაწილებულ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სანამ განისაზღვრება წამგებიანი კონტრაქტისთვის ცალკე ანარიცხები, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული აქტივების, და არა ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივების გაუფასურებით გამოწვეულ ყოველგვარ ზარალს.

ფასს 3-ში შევიდა ცვლილება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ, რათა განისაზღვროს რა წარმოადგენს აქტივს ან ვალდებულებას საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. გარდა ამისა, ფასს 3-ს დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისით ზუსტდება, რომ ზოგიერთი ტიპის ვალდებულებისა და პირობითი ვალდებულებების შემთხვევაში, საწარმომ, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ბასს 37-ს ან ფასიკ 21-ს,

და არა 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო საწარმოთა გაერთიანებაში აღიარებდა ზოგიერთ ისეთ ვალდებულებას, რომლებსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის მიხედვით. ამიტომ საწარმოს შესყიდვისთანავე მოუხდებოდა ასეთი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე დაზუსტდა, რომ მყიდველმა საწარმომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, ბასს 27-ის განმარტების შესაბამისად, შეძენის თარიღით.

ცვლილება ფასს 9-ში ეხება იმას, თუ რომელი საკომისიო გადასახდელები უნდა აისახოს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. მესამე მხარეებს ან კრედიტორს შეიძლება აუნაზღაურდეს დანახარჯები ან გადაეხადოს საკომისიოები. ამ ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი დანახარჯები თუ საკომისიოები არ აისახება 10%-იან ტესტში.

ფასს 16-ზე დართული საილუსტრაციო მაგალითი #13 შეიცვალა, კერძოდ ამოღებულია მეიჯარისთვის საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გადახდების ილუსტრაცია. ამ ცვლილების მიზანი არის საიჯარო შეღავათების ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის თავიდან არიდება.

ფასს 1 უშვებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია გამოიყენებს ფასს-ს თავის მშობელ კომპანიაზე უფრო გვიანი თარიღით. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება საბალანსო ღირებულებებით, რომლებიც შევიდოდა მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ზე მშობელი კომპანიის გადასვლის თარიღისთვის, თუკი არ ასახულა კორექტირებები კონსოლიდირების პროცედურებისა და საწარმოთა გაერთიანების გამო, რომლის დროსაც მშობელმა კომპანიამ შეისყიდა შვილობილი კომპანია. ფასს 1-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც საწარმოებს, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან გამონაკლისი, ასევე უფლება მიეცათ, კუმულაციური საკურსო სხვაობა მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით შეაფასონ ფასს-ზე მშობელი კომპანიის გადასვლის თარიღის მიხედვით. ფასს 1-ში შესული ცვლილების მიხედვით, ზემოაღნიშნული გამონაკლისი კუმულაციურ საკურსო სხვაობასაც ეხება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს, ხარჯების შემცირების მიზნით. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან იგივე გამონაკლისი.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ამოღებულია მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ბასს 41-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, საწარმოებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ ფულადი ნაკადები გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომლის მიხედვითაც უკვე დაბეგრილი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში მყოფი 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შესული ცვლილების თანახმად, კომპანიებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა თავიანთი არსებითი და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ცვლილება შეიცავს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, სავარაუდოდ, არსებითია, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებდნენ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სხვა არსებითი ინფორმაციის გაგებას. ცვლილებაში მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომელიც, დიდი ალბათობით, ჩაითვლებოდა არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესული ცვლილება განმარტავს, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გაცხადება არ არის საჭირო. ამის მიუხედავად, მისი გაცხადების შემთხვევაში, იგი არ უნდა ჩრდილავდეს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას. ამ ცვლილების დანერგვის გასაადვილებლად ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2 „არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება“, რომელშიც მოცემულია მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებითობის ცნების გამოყენება სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებში. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოშვებული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 8-ში შესული ცვლილება განმარტავს იმას, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში შესული ცვლილებებისგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ – ცვლილება ფასს 16-ში (გამოშვებული 2021 წლის 31 მარტს და ძალაში შესული 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წელს გამოვიდა ფასს 16-ში შესწორება, რომელმაც დაუშვა ნებაყოფლობითი გამარტივებული მიდგომა მოიჯარეებისთვის, რომ შეეფასებინათ კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რის შედეგადაც მცირდებოდა 2021 წლის 20 ივნისს ან ამ თარიღამდე გადასახდელი იჯარები, იყო თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოშვებული შესწორებით გამარტივებული მიდგომის გამოყენების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გახანგრძლივდა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში (გამოშვებული 2021 წლის 7 მაისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შესული ცვლილება აკონკრეტებს, როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. გარკვეულ შემთხვევებში საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე გარკვეული გაურკვევლობა არსებობდა იმის შესახებ, ეხებოდა თუ არა გამონაკლისი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები – გარიგებები, რომლებისთვისაც ხდება როგორც აქტივის, ისე ვალდებულების აღიარება. ცვლილება განმარტავს, რომ გამონაკლისი არ ეხება ამ შემთხვევებს და რომ საწარმოებს ევალებათ გადავადებული გადასახადის აღიარება ასეთ გარიგებებზე. ცვლილებები კომპანიებისგან მოითხოვს გადავადებული გადასახადის აღიარებას ისეთ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას

წარმოქმნის ერთნაირი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

40 ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2021 წლის 21 მარტს სამეთვალყურეო საბჭომ მოიწონა კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის შეთავაზება დივიდენდის გაცემის თაობაზე. ამჟამად კომპანია ელოდება სს „თიბისი ბანკი ჯგუფის“ გადაწყვეტილებას.

2022 წლის თებერვლიდან ფინანსურ ბაზრებზე მზარდი მერყეობა შეიმჩნევა უკრაინაში მიმდინარე ომის გამო. რუსეთის, მათ შორის რუსული იურიდიული პირებისა და რუსი ეროვნების ფიზიკური პირების მიმართ, უმკაცრესი სანქციები გამოცხადდა. რუსულ კომპანიებს შეეზღუდათ წვდომა ევროს და აშშ დოლარის ფინანსურ ბაზრებზე და რუსეთი გაითიშა SWIFT-ის სისტემიდან. ამის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს არ ჰყავს მნიშვნელოვანი პარტნიორები (მაგ. გადამზღვევლები) რუსეთში, ეს არ მოახდენს გავლენას ჯგუფის უნარზე, რუსეთთან აწარმოოს ფულადი გადარიცხვები. ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორისთვის დაწესებული შეზღუდვები და უკრაინაში, რუსეთში და საქართველოს სხვა ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური დაღმასვლა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკის მთავარ მაჩვენებლებზე, ლიკვიდურობასა და საკრედიტო რისკის მართვაზე. ამ ეტაპზე ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოობის მაღალი ხარისხით შეაფასოს ჯგუფის სამომავლო ოპერაციებზე ყველა ამ განუსაზღვრელობის ზემოქმედება. ამის მიუხედავად, ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უკრაინაში ომი არამაკორექტირებელი მოვლენაა და ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დააკორექტიროს ჯგუფის საქმიანობის შედეგები.

სს „თიბისი დაზღვევა“

მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგებები

31 დეკემბერი, 2021 წ.

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია 2
საქმიანობის მიმოხილვა 4
ფინანსური მაჩვენებლები (მილიონი ლარი) 9
გენერალური დირექტორის მიმართვა 10
რისკის მართვა 13
ჩვენი გუნდი 15
კორპორაციული მართვა 16
საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 17
„თიბისი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს ბიოგრაფიები 20

ზოგადი ინფორმაცია

„თიბისი დაზღვევა“ არის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წევრი „თიბისი ბანკთან“ ერთად, რომელიც საქართველოს უმსხვილესი საბანკო ჯგუფია მძლავრი ფინანსური მაჩვენებლებით, უმაღლესი დონის მომსახურებით, ძლიერი ბრენდითა და ყველაზე დახვეწილი ციფრული არხებით. ეს უკანასკნელი „თიბისი დაზღვევისთვისაც“ ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული არხია.

სს „თიბისი დაზღვევა“ (ყოფილი სს „სადაზღვევო კომპანია კოპენბური“) 2014 წლის 8 მაისს დაფუძნდა. 2016 წლის 1 ნოემბერს სს „კოპენბური“ შეისყიდა საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფმა, რის შედეგადაც მისი იურიდიული სახელწოდება გახდა სს „თიბისი დაზღვევა“.

„თიბისი დაზღვევა“ არის ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანია არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე. ეს მიღწევა ახალგაზრდა, ერთგული თანამშრომლებისა და მრავალფეროვანი მმართველი გუნდის დამსახურებაა.

ჩვენ ვაგრძელებთ სიახლეების დანერგვას და ვავითარებთ უნიკალურ ციფრულ პროდუქტებს, რათა გავხდეთ სადაზღვევო ბაზრის ლიდერი, ამავდროულად, ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად მომხმარებელთა კმაყოფილება რჩება. ჩვენ ვაღიარებთ პასუხისმგებლობას ჩვენი ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ და ორიენტირებულები ვართ ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების მიღწევასა და აქციონერთა უკუგების მაქსიმიზაციაზე, ასევე ჩვენი მომხმარებლებისთვის, თანამშრომლებისთვის, საზოგადოებისა და გარემოსთვის ღირებულების შექმნაზე.

„თიბისი დაზღვევის“ მოიცავს ყველა ბიზნესსექტორს, მათ შორის საცალო, მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორატიულ სექტორებს. ჩვენი კარგად განვითარებული მრავალარხიანი ქსელის მეშვეობით მომხმარებლებს საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს ვთავაზობთ. 2019 წლის მეორე კვარტალში ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაც დავამატეთ და 2021 წლის ბოლოსთვის საქართველოს მასშტაბით გვყავდა 29 ათასით მეტი დაზღვეული კლიენტი და გვქონდა 341 პროვაიდერი კლინიკა.

2021 წლის განმავლობაში კომპანიას ჰყავდა ერთი შვილობილი საწარმო: შპს „რედმედი“:

1. 2019 წელს თიბისი დაზღვევამ დანერგა პირველი ციფრული ჯანდაცვის ეკოსისტემა საქართველოში - რედმედი. შპს „რედმედი“ არის საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე 2019 წლის 21 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის კაპიტალშიც სს „თიბისი დაზღვევამ“ საანგარიშგებო თარიღამდე 4,426 ათასი ლარის მთლიანი შენატანი განახორციელა. შპს „რედმედის“ ერთპიროვნული მფლობელი არის „თიბისი დაზღვევა“.

რედმედი არის სამედიცინო მომსახურების მოძიების ციფრული კომპანია, რომელიც მომხმარებლებს უბერის მსგავს სერვისს სთავაზობს, კერძოდ, მათ საშუალებას აძლევს სწრაფად მოიძიონ, დაჯავშნონ და მიღონ სამედიცინო მომსახურება. აპლიკაცია მარტივი გამოსაყენებელია - მომხმარებელს მხოლოდ მოეთხოვება რედმედის ანგარიშის შექმნა, სისტემაში შესვლა, ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით სასურველი ექიმის არჩევა და შემდეგ ვიზიტის დაჯავშნა. ამისათვის მას ერთ წუთზე ნაკლები დრო დასჭირდება.

ვინაიდან ეკოსისტემური სერვისების მოდელი სულ უფრო პოპულარული ხდება, მიგვაჩნია, რომ მომსახურების ეს მოდელი წარმატებული გამოდგება და შესაძლებლობას მოგვცემს:

- უკეთ შევძლოთ მონაცემების შეგროვება, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ჩვენი ანდერაიტინგის ეფექტურობას;
- შევამციროთ არასაჭირო ამბულატორიული ვიზიტები კლინიკებში, რის შედეგადაც იკლებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარჯები და, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ზარალიანობის კოეფიციენტზე;
- მოვახდინოთ პროცესების ავტომატიზაცია და დაუყოვნებლივ განვსაზღვროთ და ავანაზღაუროთ დამდგარი ზარალი.

ჩვენი ხედვა

გავხდეთ ბაზრის ლიდერი სადაზღვევო კომპანია საქართველოში.

სტრატეგიული პრიორიტეტები

- გაყიდვების არხების და პროცესების გაციფრულება
- მოთხოვნების გამჭვირვალედ და დროულად ანაზღაურება

- წმინდა კომბინირებული კოეფიციენტის პროაქტიული მართვა[1]
- ცნობადი, თანამედროვე ბრენდის შექმნა
- მომხმარებელთა მომსახურების მაქსიმალურად გაუმჯობესება

საქმიანობის მიმოხილვა

2021 წელს პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოიხსნა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა, ბიზნესსექტორი და მოსახლეობა სწრაფად მოერგო ახალ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს. 2020 წელს პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა არეულობამ და სახელმწიფო შეზღუდვებმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს მყიფე ეკონომიკაზე. 2021 წელიც გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა, მიუხედავად კოვიდ-19-ის სხვადასხვა შტამის გავრცელებისა, შეზღუდვები მოიხსნა, რამაც ეკონომიკური გარემოს მეტი სტაბილურობა განაპირობა.

პანდემიამ ძირითადად სამოგზაურო და ავტო დაზღვევის მიმართულებები დააზარალა. სამოგზაურო დაზღვევის ბაზარი 2020 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და 6,124 ათას ლარს მიაღწია, თუმცა 2019 წელს, როდესაც კოვიდთან დაკავშირებული შეზღუდვები არ მოქმედებდა, სამოგზაურო დაზღვევის ბაზარი 8,416 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2021 წლის ბაზარზე 37.0%-ით მეტია. ავტოდაზღვევის ბაზარი 2021 წელს გამოცოცხლდა, რადგან ბაზარი 2020 წელთან შედარებით 23.2%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 25.2%-ით გაიზარდა.

„თიბისი დაზღვევისთვის“ 2021 წელიც გამოწვევებით აღსავსე გამოდგა. ინფლაციის ზრდის ფონზე, „თიბისი დაზღვევამ“ მაინც შეძლო სირთულეების დაძლევა და თავისი მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა.

კომპანიამ შეინარჩუნა საბაზრო წილის მიხედვით მეორე უმსხვილესი კომპანიის პოზიცია ჯანმრთელობის დაცვის ბაზარზე. თუ არ ჩავთვლით მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომელმაც 22.9 მილიონი ლარის ბაზარი შექმნა მოზიდული პრემიების სახით (რომელიც თანაბრად განაწილდა აქტიურ სადაზღვევო კომპანიებზე), არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი 17.5%-ით გაიზარდა (6.6% 2020 წელს) მაშინ, როცა „თიბისი დაზღვევის“ წლიურმა ზრდამ 23.6% შეადგინა (4.3% 2020 წელს).

[1]წმინდა სადაზღვევო მოთხოვნებს დამატებული აკვიზიციური და ადმინისტრაციული ხარჯები და შეფარდებული წმინდა გამოუმუშავებელ პრემიასთან

ამასთან, არაჯანმრთელობის დაზღვევის (მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარდა) მოზიდული პრემიები ქართულ სადაზღვევო ბაზარზე 63.3 მილიონი ლარით გაიზარდა (2020 წლის 362.4 მილიონიდან 2021 წელს 425.6 მილიონამდე). ახალი ბაზრის აბსოლუტური უმრავლესობა მოდის კორპორატიულ და საცალო სექტორზე, ხოლო სახელმწიფო სექტორი თითქმის უცვლელი დარჩა.

საცალო სექტორი

2021 წელს „თიბისი დაზღვევის" ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევებია:

- საცალო დაზღვევის ბაზარზე პირველი ადგილის შენარჩუნება
- 2021 წელს ციფრული მონაცემების გადატვირთვის 70.4%-იანი კოეფიციენტის მიღწევა, 2020 წლის 68.8%-იან მაჩვენებელთან შედარებით.[2]
- 2021 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში სიცოცხლის დაზღვევის ახალი პროდუქტი დაინერგა; ჯერჯერობით 730 პოლისია გაყიდული
- კასკოს ელექტრონული პოლისის განახლების მაჩვენებლის გაუმჯობესება 2020 წლის 60.1%-დან 2021 წლის 69.5%-მდე.

2021 წელს „თიბისი დაზღვევამ" საცალო სეგმენტის გაყიდვების არხების აქტიური გამოიყენებით, რომლებიც მოიცავს ციფრული არხებით მოზიდულ მომხმარებლებს, თიბისი ბანკის 48 ფილიალის კლიენტებს, სააგენტოების ქსელის (ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა და ქუთაისში არსებული ფილიალების ჩათვლით) მასობრივი საცალო გაყიდვების მომხმარებლებს, მერჩანტების მომხმარებლებს და ვიპ-კლიენტებს, 65,622 ათასი ლარის პრემიები მოიზიდა, რაც, 2020 წელთან შედარებით, 25.5%-იანი ზრდაა. საცალო ბაზარი 25.4%-ით გაიზარდა. ამის შედეგად, „თიბისი დაზღვევის" საბაზრო წილი დარჩა 37.3% – იგივე, რაც 2020 წელს (37.3%).


ციფრული არხები

კორონავირუსი მიწისძვრასავით მოულოდნელად დაგვატყდა თავს. მისმა თანმდევმა ბიძგებმა სამყარო სამუდამოდ შეცვალა და უფრო ციფრული გახადა. საყოველთაო

[2]ციფრული არხების მეშვეობით მოზიდული საცალო პოლისების რაოდენობა შეფარდებული ნებაყოფლობითი მოზიდული საცალო პოლისების რაოდენობაზე


შეზღუდვებისა და სავალდებულო სოციალური დისტანცირების გამო ზოგიერთი სფერო უფრო მეტად დაზარალდა, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ის კომპანიები, რომლებმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ყურადღება გაამახვილეს თავიანთ დისტანციურ ციფრულ შესაძლებლობებზე, უფრო იოლად მოერგნენ ახალ რეალობას.

2017 წელს „თიბისი დაზღვევამ“ საფუძველი ჩაუყარა სადაზღვევო ბიზნესპროცესებში ციფრული შესაძლებლობების აქტიურ დანერგვას, მომხმარებლებისთვის სამოგზაურო და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის შეთავაზებით შემდეგი არხების მეშვეობით: თიბისი ფეი, ბი ბოტი (ფეისბუქის მესენჯერის ჩატბოტი), თიბისის ინტერნეტ ბანკი და „თიბისი დაზღვევის“ ვებგვერდი და ასევე სხვადასხვა სადაზღვევო პროცესის გაციფრულებით (პოლისის შეძენა, ზარალის ანაზღაურება და სხვა), რამაც დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ ასევე ბიზნესპროცედურების ოპტიმიზაციაში. 2018 წელს „თიბისი დაზღვევამ“ კიდევ უფრო აითვისა ციფრული პოტენციალი და მომხმარებლებს უფრო კომპლექსური პროდუქტები, მაგალითად, კასკო, მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა და ქონების დაზღვევა შესთავაზა სხვადასხვა ციფრული არხით. ამის შედეგად მონაცემების გადატვირთვის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2021 წელს 70.4% (2020 წ.: 68.8%) შეადგინა:



2019 წელს „ბი ბოტი“ (ფეისბუქის მესენჯერის ჩატბოტი) განახლდა, რის შედეგადაც არა მხოლოდ არაჯანმრთელობის დაზღვევის, არამედ ჯანმრთელობის დაზღვევის კლიენტების მომსახურებაც შეძლო და, შესაბამისად, გახდა ჯანმრთელობის დაზღვევის პირველი ბოტი საქართველოში. 2020 წელს კომპანიამ შეიმუშავა ჯანმრთელობის დაზღვევის საკუთარი აპლიკაცია, რითაც კიდევ უფრო გაუმარტივა მომხმარებლებს ჯანმრთელობის დაზღვევის

სხვადასხვა პროცედურის გავლა (ოჯახის ექიმი - ვიზიტის დაჯავშნა/აუდიო კონსულტაცია, ზარალის ანაზღაურება და სხვა). „თიბისი დაზღვევამ" გააგრძელა აქტიური მუშაობა კასკოს დაზღვევის პოლისის ციფრულ განახლებაზე - ინიციატივა, რომელიც წარმატებული და მოსახერხებელი აღმოჩნდა სახელმწიფო შეზღუდვების და სოციალური დისტანცირების პირობებში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ პოლისების 58.6% ციფრულად განახლდა.



2021 წლისთვის ჩვენი ციფრული პროდუქტების და არხების პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებულია:

PRODUCT/CHANNEL	WEB	MOBILE & INTERNET BANK	BOT	PAY
AUTOMINI	✓			
CASCO	✓			
MTPL	✓	✓	✓	✓
D1	✓		✓	
PROPERTY	✓			
TRAVEL	✓	✓	✓	✓
FOREIGN STUDENT HEALTH	✓			


მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიული სექტორი

2020 წლის ანალოგიურად, 2021 წელიც მძაფრი კონკურენციით გამოირჩეოდა მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორატიულ ბაზარზე. მიუხედავად ამისა, „თიბისი დაზღვევამ“ 28,363 ათასი ლარის მთლიანი პრემია მოიზიდა, რაც, 2019 წლის მაჩვენებელზე, დაახლოებით, 21.7%-ით მეტია. ამის შედეგად, თიბისი დაზღვევის წილმა მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიულ ბაზარზე 12.4% შეადგინა. გარდა ამისა, "თიბისი დაზღვევამ" დააზღვია რამდენიმე უმსხვილესი კომპანია ბაზარზე, მათ შორის კავკასუს ონლაინი, აჭარა ჯგუფი, ელიტ ელექტრონიქსი, სილქნეტი, თეგეტა მოტორსი და სხვები.

2018 წელს ჩვენ ასევე დავნერგეთ პორტალი „SME Bancassurance“ (პროდუქტებისა და სერვისების გაყიდვა მცირე და საშუალო საწარმოებზე საბანკო დაწესებულებების მეშვეობით), რომელიც „თიბისი ბანკის“ კლიენტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს. 2021 წელს „SME Bancassurance“ პორტალმა 5,399 ათასი ლარის შემოსავალი აჩვენა, რაც 2020 წელთან შედარებით, 91.5%-იანი ზრდაა.

ფინანსური მაჩვენებლები (მილიონი ლარი)

[საბაზრო წილი წარმოდგენილია მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის ჰასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის გამოკლებით]



მიმოხილვა

პანდემიის გაგრძელების გამო 2021 წელიც 2020 წელზე არანაკლებ რთული აღმოჩნდა „თიბისი დაზღვევისთვის“. ვინაიდან პანდემიამ ჩვენს ყოველდღიურობაზე იმოქმედა, ჩვენს პროცესებს გამუდმებით ვარგებდით არსებულ რეალობას, რა დროსაც ჩვენს მთავარ პრიორიტეტად ჩვენი თანამშრომლები და მომხმარებლები რჩებოდნენ.

მთავარი მიღწევები

ასეთ რთულ ვითარებაში ჩვენ მოვახერხეთ საბაზრო პოზიციის შენარჩუნება და 2021 წლის ბოლოსთვის „თიბისი დაზღვევას“ არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის საცალო სეგმენტის საკმაოდ დიდი - 37.3%-იანი წილი და მთლიანი არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის 22.2% წილი ჰქონდა.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის კლიენტთა ბაზამ წლიური 93.0%-იანი ზრდა აჩვენა და 2021 წლისთვის დამზღვევთა რაოდენობამ 29 ათასს გადააჭარბა. ეს თავისთავად აღსანიშნავი მიღწევაა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად გაჯერებულია კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი.

კოვიდ-19-ის ახალი შტამის გავრცელების ფონზე ჩვენი ციფრული სტრატეგია არაჯანმრთელობის ბიზნესში უფრო აქტუალური აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე. ჩვენ მნიშვნელოვნად გავზარდეთ საცალო სეგმენტში ციფრული გაყიდვების წილი, და ასევე ავტოდაზღვევის მოთხოვნების დისტანციურად რეგულირების წილი. ამასობაში ჩვენმა ჯანმრთელობის დაზღვევის აპლიკაციამ პოპულარობა მოიპოვა დამზღვევთა შორის, რასაც ახლდა გაზრდილი შეღწევადობა და მომხმარებელთა უფრო მაღალი ჩართულობა.

თანამშრომლებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევაში“ წარმატება იწყება ჩვენი კოლეგებით!

ჩვენი თანამშრომლების ჩართულობისა და მოტივირების მიზნით ჩვენ გავაგრძელეთ თანამშრომლებში ინვესტიციების განხორციელება, რათა მათ მიეღოთ საჭირო ცოდნა და შეეძინათ უნარები, რომლებიც საჭიროა ანდერაიტინგის, საოპერაციო და გაყიდვების სფეროებში მაღალი დონის პროფესიონალიზმის მისაღწევად.

ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ჩვენ გავაგრძელეთ დისტანციური მუშაობის პრაქტიკა. ჩვენ წარმატებით შევქმენით

[1] მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი 2021 წლის თებერვალში შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა

დისტანციური მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა პანდემიის დაწყებისთანავე და დღემდე ვაძლევთ ჩვენს თანამშრომლებს საშუალებას ნაწილობრივ დისტანციურად იმუშაონ.

ამ ჰიბრიდული მოდელით, თანამშრომლებს აქვთ მოქნილი გრაფიკი, რათა უკეთ დააბალანსონ სამსახურებრივი და პირადი დრო, რისი შედეგიც არის უფრო მაღალი პროდუქტიულობა, კმაყოფილება და ჩართულობის მაღალი დონე. ამ ჰიბრიდული მოდელის შესანარჩუნებლად დავხვეწეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და ვიზრუნეთ მათ გამართულ და დაცულ ფუნქციონირებაზე.

ამის შედეგად, 2021 წელს თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსმა 95%-ს მიაღწია, ხოლო თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი 57%-ს გაუტოლდა.

კლიენტებისა და მოსახლეობისთვის შექმნილი ღირებულება

მსოფლიო სწრაფი ტემპით განიცდის ცვლილებას, შესაბამისად იცვლება ჩვენი კლიენტების მოლოდინები და ხედვა, ამიტომ ჩვენ ამ ცვლილებებს ფეხი უნდა ავუწყოთ.

დღესდღეობით კლიენტები მოელიან ეფექტურ ციფრულ გადაწყვეტებს, ინფორმაციის გაცვლის სისწრაფეს, მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომებს და ამომწურავ ინფორმაციას.

2021 წელს ჩვენი მომხმარებლების მხარდასაჭერად გარკვეული ინიციატივები განვახორციელეთ. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ საცალო და კორპორატიული კლიენტების მომსახურების პროცესების გაციფრულებაზე, მათი განახლებისა და ავტომატიზირების მიზნით, ამრიგად შევამცირეთ ხელშეკრულების ადმინისტრირების ხარჯი, გავამარტივეთ პოლისის შესყიდვის პროცესი და შევამცირეთ მოთხოვნების ანაზღაურების დრო სხვადასხვა პროდუქტისთვის.

ვინაიდან კოვიდ-19 ჯერაც მაღალი რისკის შემცველია ჯანმრთელობისთვის, მომხმარებლები სულ უფრო მოხერხებულად იყენებენ ციფრულ ჯანდაცვის მომსახურებას. მათი მოლოდინები რომ გაგვემართლებინა, განვაახლეთ ჩვენი მობილური აპლიკაცია, გავხადეთ მოხმარებისთვის უფრო მარტივი და უფრო ყოვლისმომცველი იმ მომსახურებათა სპექტრის თვალსაზრისით, რომლებზეც მომხმარებლებს ახლა უკვე ხელი მიუწვდებათ აპლიკაციის მეშვეობით.

ჩვენი საცალო პროდუქტების შეთავაზებების გამრავალფეროვნების მიზნით, 2021 წელს ინდივიდუალური სიცოცხლის დაზღვევა დავნერგეთ. გვჯერა, რომ ამით ჩვენს მომხმარებლებს თავიანთი ფინანსური რისკებისგან დაცვის უკეთეს შესაძლებლობას ვაძლევთ, ჩვენ კი ეს გვეხმარება იმაში, რომ მომხმარებელთა ახალ სეგმენტებზე გავიდეთ და მოვახდინოთ ჩვენი პორტფელის დივერსიფიკაცია.

ჩვენ გვეამაყება, რომ ჯანმრთელობის და ავტოდაზღვევის მომხმარებლებს გამორჩეულ მომსახურებას ვთავაზობთ, რაზეც მეტყველებს მომხმარებლის ლოიალურობის 65%-იანი[4] and 64.4%-იანი[1] ინდექსები, შესაბამისად.

ლოგისტიკურ ბიზნესში ჩართული ჩვენი კორპორატიული კლიენტებისთვის შევიმუშავეთ სრულიად ციფრული და ინოვაციური პლატფორმა Logista, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ციფრულად დაუკავშირდნენ ყველა მსხვილ გადაზიდვის ხაზს და რამდენიმე წამში შეისყიდონ კონტეინერის დაზღვევის პოლისები.

ისეთმა ციფრულმა ინსტრუმენტებმა, როგორიც არის ავტოდაზღვევის პოლისების განახლება ელექტრონულად, აპლიკაცია, რომელიც ავტომობილის ფოტოს მეშვეობით ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებას იძლევა და Logista, მნიშვნელოვნად გაზარდა ონლაინ შესყიდული, მართული და განახლებული პოლისების წილი. ამის შედეგად, ჩვენი ციფრული გაყიდვების გადატვირთვის კოეფიციენტი[2] 2021 წელს 70.4%-ს გაუტოლდა, როცა წინა წელს 68.8% იყო.

ზარალების ადმინისტრირებისა და დარეგულირების პროცესი კიდევ უფრო დაიხვეწა და გაციფრულდა. ამის შედეგად, ავტოდაზღვევის ზარალების ანაზღაურების მოთხოვნების დარეგულირების საშუალო დრო შემცირდა და მოთხოვნების 85.0% ათ სამუშაო დღეში დაკმაყოფილდა. ასევე მკვეთრად გაიზარდა ავტოდაზღვევის ზარალების ანაზღაურების ციფრულად დარეგულირებული მოთხოვნები და 2021 წლის დეკემბერში ციფრული გადატვირთვის კოეფიციენტმა 83.6%, ანუ წინა წელთან შედარებით 14.4 პროცენტული პუნქტით მეტი შეადგინა.

ვინაიდან „თიბისი დაზღვევას“ კარგად ესმის განათლების და გაციფრულების მნიშვნელობა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობაა, შევქმნათ ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობისთვის. „ჩართესთან“ თანამშრომლობით დავასპონსორეთ პროექტი, რომელიც ინტერნეტზე წვდომას და კომპიუტერებს უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის. პროექტს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალოდ ინტერნეტზე წვდომაა, ვინაიდან იგი მოსწავლეებს ეხმარება ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაში, რითაც უმჯობესდება სკოლის საგნებში მიღებული საშუალო ნიშნები და, შესაბამისად, განათლების ზოგადი დონე ქვეყანაში.

ინვესტორებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევა“ ზრუნავს მფლობელთა ღირებულების მაქსიმიზაციაზე და მათი ინტერესების დაცვაზე. 2021 წელს ჩვენმა წმინდა მოგებამ 14.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც

[4] მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი 2021 წლის თებერვალში შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა

40.6%-ით მაღალი წლიური მაჩვენებელია და ჩვენს მფლობელებს 7.0 მილიონის დივიდენდები გავუნაწილეთ.

ჩვენი ფინანსური სიმტკიცე და სტაბილურობა გამოხატულია გადახდისუნარიანობის და კომბინირებული კოეფიციენტებით, რომლებმაც, შესაბამისად, 165% და 86.2% შეადგინა.

პროგნოზი

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მომავლის პროგნოზირება უაღრესად რთულია. ეკონომიკაზე პანდემიის გავლენის გარდა, არსებობს პოლიტიკური დაძაბულობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რის გამოც გვიხდება შემდგომი ნაბიჯების საგულდაგულოდ აწონ-დაწონვა, რათა დავიცვათ ბალანსი ეკონომიკის მერყეობასა და ჩვენს ამბიციურ მიზნებს შორის.

ამის მიუხედავად, ჩვენი თავდაუზოგავი შრომა ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების კეთილდღეობისთვის, ჩვენი მუდმივი ინვესტიცია ციფრულ განვითარებაში და ჩვენი მტკიცე ფინანსური დისციპლინა საფუძველს მაძლევს დაბეჯითებით განვაცხადო, რომ „თიბისი დაზღვევა" გაუძლებს ქარტეხილებს და უახლოეს მომავალში უფრო ძლიერ კომპანიად მოგვევლინება.

პაატა ღაძაძე
გენერალური დირექტორი

[2] მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი 2021 წლის თებერვალში შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა

რისკის მართვა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის

პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ხელმძღვანელობის შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

„თიბისი დაზღვევა“ ახორციელებს ფიზიკური და იურიდიული პირების ზარალის რისკის შეფასებას, რომლებიც უკავშირდება სიცოცხლეს, ავტომობილებს და სხვა სეგმენტებს ჯანდაცვის გარდა, მაგალითად, ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებისგან დაზღვევას, რომლებიც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოიშვას. „თიბისი დაზღვევა“ წინასწარ ვერ განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს. „თიბისი დაზღვევას“ ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო.

„თიბისი დაზღვევა“ ამ რისკებს ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერაიტინგით. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. „თიბისი დაზღვევა“ ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის პროდუქტისთვის: ავტო, სიცოცხლის, ქონების, ტვირთის და პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის.

„თიბისი დაზღვევის“ ხელმძღვანელობა ყოველთვიურად გადახედავს საწარმოს საკრედიტო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკებს:

1. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ჯგუფი გარკვეულ რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეყრდნობა, ძირითადად, კონტრაჰენტის გადახდისუნარიანობასთან, საიმედოობასთან და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.
2. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. „თიბისი დაზღვევის“ ლიკვიდური აქტივები 2020 წლის დეკემბრისთვის თავისი მთლიანი აქტივების 50%-ს აღემატება. გარდა ამისა, 165%-იანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი იმაზე მეტყველებს, რომ „თიბისი დაზღვევას“ შეუძლია ხანგრძლივ კრიზისსაც კი გაუძლოს. ამასთან, „თიბისი დაზღვევას“ არ აქვს სესხები ან სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები.

ჩვენი გუნდი

„თიბისი დაზღვევაში“ რეგიონის ყველაზე მაღალი დონის პროფესიონალები არიან დასაქმებულები. 2021 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების რაოდენობა 10.0%-ით გაიზარდა და 319-ს მიაღწია. მიგვაჩნია, რომ ჩვენს წარმატებაში თითოეული თანამშრომელი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, ამიტომ თანამშრომლების შენარჩუნება ჩვენთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო. სწორედ ამიტომ ვცდილობთ მათ შევთავაზოთ კონკურენტული პირობები ბაზარზე, მხარს ვუჭერთ მათ პროფესიულ განვითარებას და ვუქმნით საუკეთესო სამუშაო გარემოს.



59% 41%

„თიბისი დაზღვევა“ თანასწორი შესაძლებლობების პრინციპის მატარებელი დამსაქმებელია. ჩვენ არ ვახდენთ ადამიანების დისკრიმინაციას მათი რასის, ეთნიკური წარმოშობის, აღმსარებლობის, სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ჩვენ ვემხრობით სქესთა თანასწორობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენთან დასაქმებულ ქალებს. გვეამაყება, რომ 2021 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების 59%-ს ქალები შეადგენდნენ.

2021 წელს თანამშრომლებს შორის ჩავატარეთ ჩართულობის გამოკითხვა (95%-იანი შედეგი), ხოლო მმართველი გუნდის წევრებისთვის - 360-გრადუსიანი შეფასება. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ წამყვანი უნივერსიტეტებისა და ადამიანური რესურსების საკითხებზე საკონსულტაციო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ვაკანსიათა ბაზრობებზე, რათა ზრდის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე საუკეთესო კანდიდატები შეგვერჩია.

ჩვენი კორპორატიული კულტურის განუყოფელი ნაწილია მუდმივი კომუნიკაცია თანამშრომლებთან. ყოველ წელს ვცდილობთ, „თიბისი ჯგუფის“ შესახებ უახლესი ინფორმაცია და მოვლენები დროულად გავაცნოთ ჩვენს გუნდს.

კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება „თიბისი დაზღვევა“ არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსებული საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ შვილობილი კომპანია (შემდგომში, ერთობლივად „ჯგუფი“). ჯგუფი აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

„თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება სამი წევრისგან, რომლებიც ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი კომპანიის გრძელვადიან წარმატებაზე და აქციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე კომპანიის სტრატეგიული მიმართულების და საქმიანობის განსაზღვრითა და ზედამხედველობით. საბჭო არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კომპანიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. მაგალითად, საბჭოს მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს ისეთი საკითხები, როგორიცაა კომპანიის სტრატეგია, გრძელვადიანი მიზნები, რისკის დასაშვები დონე, წლიური საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტები, ცვლილებები კომპანიის კაპიტალში, აქციების გამოსყიდვა, შესყიდვის და/ან შერწყმის მსხვილი ოპერაციები, წლიური ანგარიშები და ანგარიშგება.

ვახტანგ ბუცხრიკიძე

თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძემ 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. „თიბისი ბანკს“ შეუერთდა 1993 წელს კრედიტების მართვის დეპარტამენტის უფროს მენეჯერად, ხოლო 1994 წელს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1996 წელს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. 1998 წლიდან უჭირავს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა და ხელმძღვანელობს თიბისის რამდენიმე კომიტეტს. ასევე, არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქართველოს ბიზნესასოციაციის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე. 2011 წლიდან ის არის საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წელს ვახტანგი შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ბიზნესსაბჭოს. კარიერის დასაწყისში მუშაობდა უმცროს სპეციალისტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ 1992-1993 წლებში. 2001 წელს ვახტანგი ჟურნალ „ჯორჯიან ტაიმსმა" დააჯილდოვა „წლის საუკეთესო ბიზნესმენის" წოდებით, 2011 წელს კი მან 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო მიიღო GUAM-ისგან, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან. გარდა ამისა, ვახტანგი ჟურნალმა EMEA Finance დაასახელა 2014 წლის საუკეთესო გენერალურ დირექტორად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში. 2001 წელს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში. 2016 წელს დაინიშნა „თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

თორნიკე გოგიჩაიშვილი

საბჭოს წევრი

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს ოპერაციების მართვის დირექტორად და გენერალური დირექტორის მოადგილედ შეუერთდა. ამ დროისთვის ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში 20 წლიანი გამოცდილება ჰქონდა. თორნიკე გოგიჩაიშვილი თიბისი ბანკში 2020 წლის 24 იანვარს საცალო საბანკო მომსახურების მიმართულების

ხელმძღვანელად დაინიშნა. თიბისის გუნდში შემოერთებამდე, 2016 წლიდან, თორნიკე საქართველოს ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე საქართველოს ბანკის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2008-2010 წლებში თორნიკეს ეკავა BG Bank Ukraine-ის (საქართველოს ბანკის ფილიალი) ფინანსური დირექტორის თანამდებობა. 2006-2008 წლებში, თორნიკე ალდაგის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა UEDC PA consulting-ში ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას BCI Insurance Company-ში. თორნიკეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის (MBA) და ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლის (executive diploma) ხარისხს.

გიორგი თხელიძე

საბჭოს წევრი

გიორგი თხელიძე 2014 წელს შეუერთდა „თიბისი ბანკს“ ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან, სადაც ის 2011 წლის ივნისიდან იყო ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტი. უფრო ადრე კი, 2009 წლის სექტემბრიდან, იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურიზაციის ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. თავისი კარიერის მანძილზე ბარკლიში, ლონდონში, მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი მიერთებისა და შერწყმის ოპერაცია, სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანსაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან. კარიერის დასაწყისში სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ და ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი (2009 წ.) ლონდონის ბიზნესის სკოლაში მიიღო. ასევე ფლობს ნოტინგემის უნივერსიტეტის საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს (2002 წ.) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს (2000 წ.).

ზეზვა ცისკარიშვილი

დამოუკიდებელი წევრი

ზეზვა თიბისი ჯგუფს 1994 წელს შემოუერთდა თიბისი ბანკის ანგარიშების მართვის მენეჯერის პოზიციაზე, შემდეგ იყო აქტივების მართვის დეპარტამენტის და საერთაშორისო საბანკო მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1999 წელს უკვე გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიცია დაიკავა და ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობას, საერთაშორისო საბანკო მომსახურებას, პროდუქტების განვითარებას, ხაზინას, მარკეტინგულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას და რეგიონალური განვითარების პროექტებს.

2008 წელს მუშაობა საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიაში (GRDC) გააგრძელა მუშაობა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, სადაც კვლავ საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობას და პროექტების დეველოპმენტს ხელმძღვანელობდა. 2010 წელს კი, უკვე ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის პოზიცია დაიკავა. GRDC-ში 6 წლიანი სამუშაო პერიოდის შემდეგ, ზეზვა მეტრა დეველოპმენტის გენერალური დირექტორი გახდა. 2016 წლიდან 2022 წლამდე კი საინვესტიციო კომპანია TS Holding-ის პროექტების მმართველი კომპანიის ვიცე პრეზიდენტი გახლდათ.

ზეზვამ 1994 წელს მოიპოვა ეკონომიკური გეოგრაფიის ბაკალავრიატის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რის შემდეგაც წარმატებით გაიარა არაერთი ტრეინინგი სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, Joint Vienna Institute, University of California, Davis, ასევე იყო კალიფორნიაში Silicon Valley Bank -ის ვიცე-პრეზიდენტთან არსებული მრჩეველთა გუნდის წევრი.

დირექტორთა საბჭო 2021 წელს

ჰაატა ღაძაძე

გენერალური დირექტორი

ჰაატა ღაძაძე „თიბისი ბანკს“ 1994 წელს შეუერთდა ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და 1996 წელს დაინიშნა დირექტორთა საბჭოს წევრად. 2005 წელს ასევე იყო საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1998 წლიდან უჭირავს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა. 2014 წლიდან არის თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წლიდან ლექციებს კითხულობს თავისუფალ უნივერსიტეტში, საქართველოში. 2017 წელს დაინიშნა „თიბისი დაზღვევის“ გენერალურ დირექტორად და, პარალელურად, უკავია გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა „თიბისი ბანკში“. 2000-2004 წლებში იყო საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის გენერალური დირექტორი. კარიერის ადრეულ პერიოდში, 1992-1994 წლებში, იყო სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის თანაშემწე. დამატებით, 1994-2004 წლებში ლექციებს კითხულობდა მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში აიმაღლა კვალიფიკაცია.

დავით კიღურაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

დავით კიღურაძემ 2002 წელს დაამთავრა მართვის ევროპული სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. 2002 წლიდან 2006 წლამდე სხვადასხვა თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგში“, მათ შორის იყო ანაზღაურების დეპარტამენტისა და პროდუქტების განვითარებისა და ანდერაიტინგის განყოფილების უფროსი. „თიბისი ბანკს“ 2006 წელს შეუერთდა და ხუთ წელზე მეტი დაჰყო სახაზინო და ფინანსური მომსახურების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2012 წლიდან 2015 წლამდე იყო „თიბისი კრედიტის“ გენერალური დირექტორი ბაქოში, აზერბაიჯანში. ამავდროულად, 2015 წლიდან 2016 წლამდე ეკავა „თიბისი ფეის“

გენერალური დირექტორის თანამდებობა. 2016 წლიდან გახდა „თიბისი დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე. დავითმა სლოვენიაში დაამთავრა IEDC - ბლედის მართვის სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდებით (2006 წ.).

ნიკოლაი კობზევი

საოპერაციო დირექტორი

ნიკოლაი კობზევმა დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით. 2003-2012 წლებში მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „ჯიპაიაი ჰოლდინგში“, სადაც სამი წლის განმავლობაში ეკავა საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის თანამდებობა. 2013 წელს დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლა მაგისტრის ხარისხით. 2013 წლიდან 2016 წლამდე მონაწილეობდა „ელი ლილი ენდ კომპანის“ ლიდერების განვითარების პროგრამაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებისთვის აშშ-ში და შემდეგ იმუშავა რუსეთში „ბოსტონ კონსალტინგში“. 2016 წლიდან არის „თიბისი დაზღვევის“ საოპერაციო დირექტორი.

ნინო გაჩეჩილაძე

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორი

ნინოს მიღებული აქვს მართვის ევროპული სკოლის (ESM) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი. 2002 წლიდან 2018 წლამდე ნინო მუშაობდა თიბისი ბანკში სხვადასხვა სტრატეგიული პროექტის მენეჯერად და ბოლო 8 წლის განმავლობაში უძღვებოდა ადამიანური რესურსების განყოფილებას. 2010 წელს ნინომ მიიღო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სერტიფიკატი პროექტების მართვაში. 2019-2021 წლებში ეკავა „თიბისი დაზღვევის“ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორის თანამდებობა.

2022 წლის ცვლილებები დირექტორთა საბჭოში

სერგო საყვარელიძე

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორი

სერგო საყვარელიძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ხარისხს. ის ასევე არის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სერტიფიკატების მფლობელი და გავლილი აქვს მმართველობის პროგრამა უმაღლესი რგოლისთვის. სერგო ფლობს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ზოგადი მენეჯმენტის სერტიფიკატს. 2006 წელს სერგო შეუერთდა სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლოდინგს და 2008 წლამდე სხვადასხვა პოზიცია ეკავა. 2008 წლიდან სადაზღვევო კომპანია ალდაგში სამედიცინო შემთხვევების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობდა, 2010 წლიდან კი გახლდათ ჯანმრთელობის ზარალების მართვის განყოფილების უფროსი. 2014-2017 წლებში სერგოს ეკავა ზარალების დარეგულირების დეპარტამენტის დირექტორის პოზიცია, ხოლო 2017 წელს გახდა სადაზღვევო კომპანია იმედი L-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ზარალებისა და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით. 2020-2021 წლებში სერგო ასევე იკავებდა თბილისის გულის ცენტრის გენერალური დირექტორის პოზიციას. 2022 წლის დასაწყისში სერგო შემოუერთდა თიბისი დაზღვევას და ჩაანაცვლა ნინო გაჩეჩილაძე ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების დირექტორის პოზიციაზე.

შოთა ცისკარაშვილი

ფინანსური დირექტორი

შოთა ფლობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს. 2015-2016 წლებში მუშაობდა აუდიტორი კომპანია დელოიტში და მონაწილეობდა წამყვანი კორპორატიული კლიენტების აუდიტის პროცესში: საბანკო და ელექტრომომარაგების სექტორში. 2016 წლიდან 2021 წლამდე შოთას ეკავა თიბისი დაზღვევის ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიცია, ხოლო 2022 წელს გახდა კომპანიის ფინანსური დირექტორი.

სს „თიბისი დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი, 2021 წ.

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 7
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი დაზღვევის“ აქციონერსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში, ერთობლივად, - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აუდიტის საგანი

ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე დართული შენიშვნები, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის ჩათვლით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

შპს "პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო"
ბიზნესცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. #12, თბილისი 0160, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

pwc

მიუკერძოებლობა

ჩვენ ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს და კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვაგვარად მოქცევის რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფისა და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ჯგუფი და კომპანია

გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს „პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო“ (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-775813)

ლევან კანკავა (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-592839)

6 აპრილი, 2022 წ.
თბილისი, საქართველო

ათას ლარში	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		31-დეკ-21	31-დეკ-20	31-დეკ-21	31-დეკ-20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	14,751	10,836	14,663	10,797
საბანკო ანაბრები	6	46,904	42,948	46,904	42,948
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	2,903	1,116	2,903	1,116
წარმოებული ფინანსური აქტივები	8	470	121	470	121
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	9	-	-	4,426	2,900
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10	33,366	22,503	33,366	22,503
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	11	3,887	3,048	3,887	3,048
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	12	8,874	7,509	8,874	7,509
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	13	1,474	1,204	1,474	1,204
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი		52	99	52	99
სხვა აქტივები	14	1,899	1,516	1,835	1,509
აქტივის გამოყენების უფლება	15	1,268	1,084	1,203	1,068
ძირითადი საშუალებები	16	1,471	1,429	1,423	1,362
არამატერიალური აქტივები	17	4,268	2,849	3,073	2,040
სულ აქტივები		**121,587**	**96,262**	**124,553**	**98,224**
სააქციო კაპიტალი	18 (ა)	7,482	7,482	7,482	7,482
სხვა რეზერვები	18 (გ)	1,300	1,300	220	220
გაუნაწილებელი მოგება, შემდეგის ჩათვლით:		25,036	17,811	29,154	20,909
წლის წმინდა მოგება		14,228	10,122	15,248	11,465
სულ საკუთარი კაპიტალი		**33,818**	**26,593**	**36,856**	**28,611**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	12	52,961	38,527	52,961	38,527
გადასახდელი საკომისიო		15,634	12,892	15,634	12,892
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	19	7,819	8,755	7,819	8,755
საიჯარო ვალდებულებები	15	1,470	1,449	1,414	1,437
ფინანსური ვალდებულებები		2,186	1,430	2,176	1,427
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		237	1,226	237	1,226
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	20	4,133	2,615	4,133	2,615
სხვა ვალდებულებები	21	3,329	2,775	3,323	2,734
სულ ვალდებულებები		**87,769**	**69,669**	**87,697**	**69,613**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**121,587**	**96,262**	**124,553**	**98,224**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია სამეთვალყურეო საბჭოს სახელით 2022 წლის 06 აპრილს.

დავით ქორიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

შოთა ცისკარაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-86 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ათას ლარში	შენიშვნა	კონსოლიდირებული 2021	კონსოლიდირებული 2020	ინდივიდუალური 2021	ინდივიდუალური 2020
მთლიანი მოზიდული პრემია		113,774	86,282	113,774	86,282
გადამზღვევლებისთვის გადაცემული მოზიდული პრემიები		(15,796)	(12,445)	(15,796)	(12,445)
წმინდა მოზიდული პრემიები	22	**97,978**	**73,837**	**97,978**	**73,837**
გამოუმუშავებელი პრემიების მთლიანი რეზერვების ცვლილება		(11,662)	(2,669)	(11,662)	(2,669)
გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვების ცვლილებაში		665	(1,061)	665	(1,061)
წმინდა გამომუშავებული პრემიები	22	**86,981**	**70,107**	**86,981**	**70,107**
საპროცენტო შემოსავალი	23	5,747	4,625	5,745	4,619
გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი		473	1,248	473	1,248
სხვა შემოსავალი		315	242	286	230
სულ შემოსავალი		**93,516**	**76,222**	**93,485**	**76,204**
დარეგულირებული ზარალი		(49,084)	(35,833)	(49,084)	(35,833)
გადაზღვევის წილი დარეგულირებულ ზარალში		9,571	8,175	9,571	8,175
აუნაზღაურებელი მოთხოვნების ცვლილება		(2,772)	(3,456)	(2,772)	(3,456)
გადაზღვევის წილი აუნაზღაურებელი მოთხოვნების ცვლილებაში		701	1,363	701	1,363
სუბროგაცია და ანაზღაურების თანხის ამოღება		5,343	1,950	5,343	1,950
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(927)	(932)	(927)	(932)
წმინდა დამდგარი ზარალი	24	**(37,168)**	**(28,733)**	**(37,168)**	**(28,733)**
აკვიზიციური ხარჯები	25	(18,576)	(15,897)	(18,576)	(15,897)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	26	(12,465)	(10,781)	(11,887)	(10,045)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	27	(5,801)	(5,653)	(5,473)	(5,204)
ცვეთა და ამორტიზაცია	15/16/17	(2,118)	(1,922)	(1,980)	(1,756)
გაუფასურების ხარჯი	28	(257)	(654)	(257)	(654)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(112)	(131)	(109)	(128)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი		(80)	465	(77)	472
სხვა ხარჯები	29	-	(308)	-	(308)
მოგება/(ზარალი) გადასახადით დაბეგვრამდე		16,939	12,608	**17,958**	**13,951**
მოგების გადასახადის ხარჯი	30	(2,711)	(2,486)	(2,711)	(2,486)
წმინდა მოგება/(ზარალი)		**14,228**	**10,122**	**15,247**	**11,465**
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,228	10,122	**15,247**	**11,465**

9-86 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ათას ლარში	შენიშვნა	კონსოლიდირებული 2021	კონსოლიდირებული 2020	ინდივიდუალური 2021	ინდივიდუალური 2020
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები					
დასაბეგრი მოგება		16,939	12,608	17,959	13,951
კორექტირებები:					
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	12	11,662	2,669	11,662	2,669
გადამზღვევლის წილის ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	12	(665)	1,061	(665)	1,061
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯში	13	(270)	(83)	(270)	(83)
ცვეთა და ამორტიზაცია	15/16/17	2,118	1,922	1,977	1,756
ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების წმინდა გაუფასურების ზარალი	28	(257)	(654)	(257)	(654)
ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობით შემცირებული ზარალი		(2)	(12)	(2)	(12)
ფინანსური შემოსავალი	23	(5,747)	(4,625)	(5,745)	(4,619)
ფინანსური დანახარჯები	15	112	131	109	128
საკურსო სხვაობები კონვერტაციის შედეგად		80	(465)	77	(472)
სხვა არაფულადი საოპერაციო დანახარჯები		-	198	-	198
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**23,970**	**12,750**	**24,845**	**13,923**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები (გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის გამოკლებით)	12	2,772	3,456	2,772	3,456
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვების წილის დათმობა (გარდა გადამზღვევლის წილისა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში)	12	(701)	(1,363)	(701)	(1,363)
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10	(11,854)	(31)	(11,854)	(31)
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	11	(1,141)	6,165	(1,141)	6,165
წარმოებული ფინანსური აქტივები		218	(335)	218	(335)
სხვა აქტივები	14	(256)	(934)	(198)	(938)
გადასახდელი საკომისიო		2,742	1,063	2,742	1,063
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება		14	(227)	14	(227)
ფინანსური ვალდებულებები		863	471	892	444
სხვა ვალდებულებები	21	554	(1,702)	554	(1,702)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	20	1,518	2,615	1,518	2,615
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(5,271)**	**9,178**	**(5,184)**	**9,147**
მოგების გადახდილი გადასახადი		(3,654)	(1,969)	(3,654)	(1,969)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		3,169	3,822	3,167	3,816
გადახდილი პროცენტი		(112)	(131)	(112)	(131)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**18,102**	**23,650**	**19,062**	**24,786**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(658)	(408)	(658)	(392)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		33	63	33	63

9-86 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ათას ლარში	შენიშვნა	კონსოლიდირებული 2021	კონსოლიდირებული 2020	ინდივიდუალური 2021	ინდივიდუალური 2020
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,236)	(1,976)	(1,765)	(1,288)
საბანკო ანაბრების ზრდა		9,500	16,702	9,500	16,702
საბანკო ანაბრების შემცირება		(11,000)	(28,999)	(11,000)	(28,999)
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(1,946)	-	(1,946)	-
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციის გადინება		-	-	(1,526)	(1,900)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(6,307)	(14,618)	(7,362)	(15,814)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები					
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირითადი თანხა	15	(854)	(838)	(808)	(800)
კომპანიის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	(7,003)	(4,997)	(7,003)	(4,997)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(7,857)**	**(5,835)**	**(7,811)**	**(5,797)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდა		3,938	3,197	3,889	3,175
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	5	10,836	7,481	10,797	7,462
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(23)	158	(23)	160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		14,751	10,836	14,663	10,797

9-86 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	1,300	12,686	21,468
წმინდა მოგება		-	-	10,122	10,122
წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**10,122**	**10,122**
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	-	-	(4,997)	(4,997)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**7,482**	**1,300**	**17,811**	**26,593**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	1,300	17,811	26,593
წმინდა მოგება		-	-	14,228	14,228
წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	14,228	14,228
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	-	-	(7,003)	(7,003)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**7,482**	**1,300**	**25,036**	**33,818**

9-86 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალური ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	220	14,441	22,143
წლის წმინდა მოგება				11,465	11,465
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	-	**11,465**	**11,465**
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)			(4,997)	(4,997)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7,482	220	**20,909**	**28,611**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		7,482	220	20,909	28,611
წმინდა მოგება		-	-	15,248	15,248
წლის სრული შემოსავალი		-	-	15,248	15,248
მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	18 (ბ)	-	-	(7,003)	(7,003)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7,482	220	**29,154**	**36,856**

9-86 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები შედგება სს „თიბისი დაზღვევის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას (ქვემოთ ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“).

სს „თიბისი დაზღვევა“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების თანახმად 2014 წლის 8 მაისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანიას აქვს საქართველოში სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურების გაწევის ლიცენზია, რომელიც გაცემულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 14 ივლისს და 2016 წლის 1 დეკემბერს, შესაბამისად. სს „თიბისი დაზღვევის“ სადაზღვევო მომსახურება მოიცავს ქონების და უბედური შემთხვევების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის დაზღვევას და სხვა პროდუქტებს. კომპანიის მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“. კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი #24ბ, III სართული, თბილისი, საქართველო. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 405042804.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია, ასევე საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბის ბანკის ჯგუფი“, რომელიც ჯგუფის აქციების 100.00%-ს ფლობდა (2020 წ.: 100.00%). საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ არის ინგლისსა და უელსში დაფუძნებული საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ელდერ ჰაუსი, წმ. ჯორჯის ბიზნეს პარკი. ბრუკლანდსის ქუჩა 207, ვეიბრიჯი, სუერის საგრაფო, KT13 0TS. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ სარეგისტრაციო ნომერია 10029943

კომპანია ერთპიროვნულად ფლობს ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „რედმედი“ შპს „რედმედი“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე 2019 წლის 21 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი დაზღვევამ“ შპს „რედმედის“ კაპიტალში 4,426 ათასი ლარის მთლიანი შენატანი განახორციელა. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ელექტრონული ჯანდაცვის მომსახურება.

საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარია (ლარი), რაც არის ჯგუფის როგორც სამუშაო, ისე წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობას საქართველოში ეწევა. შესაბამისად, ჯგუფზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

2022 წლის თებერვლიდან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა გამწვავდა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად. ეს უარყოფითად აისახა სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე და გაზარდა მერყეობა, განსაკუთრებით უცხოური ვალუტის კურსებთან მიმართებით. რამდენიმე ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად, რუსეთის ბაზარი ბევრმა კომპანიამ დატოვა და შეწყვიტა მომსახურებისა და პროდუქტების მიწოდება რუსული ბაზრისთვის. მოსალოდნელია შემდგომი სანქციები და შეზღუდვები რუსეთში მოქმედი კომპანიების ბიზნესსაქმიანობაზე. საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასარიდებლად საქართველოს მთავრობა არ შეუერთდა ყველა სანქციას, თუმცა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების, ასევე უკრაინის ეკონომიკის დაღმავლობის სრული ხასიათი და შესაძლო ეფექტები ჯერ კიდევ უცნობია. ამის მიუხედავად, უკრაინასა და რუსეთში განვითარებული მოვლენების მიმართ საქართველოს მოწყვლადობისა და ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გათვალისწინებით, ეს ყველაფერი არასახარბიელოდ აისახება ზრდის პერსპექტივაზე და ასევე სხვა მაკრო ცვლადებზე.

3 მომზადების საფუძველი

ეს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით, რომელიც მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, ასევე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად პირვანდელი ღირებულების მეთოდით. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკაში 2021 წლის 1 იანვარს ამოქმედებული ცვლილებების გარდა, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. იხილეთ 38-ე შენიშვნა.

ჯგუფმა გამოიყენა ფასს (IFRS) 9-ს გამოყენებისგან *„ფინანსური ინსტრუმენტები"* დროებითი განთავისუფლების უფლება, რომელსაც ითვალისწინებს ფასს (IFRS) 4 „სადაზღვევო ხელშეკრულებები" (ჯგუფის ვალდებულებების 90%-ზე მეტი სადაზღვევო ვალდებულებებისგან შედგება) და აქამდე არ გამოუყენებია ფასს (IFRS) 9-ის რომელიმე ვერსია, მათ შორის, 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის შემოსულობის და ზარალის წარდგენის მოთხოვნები იმ ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განიხილება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი მთლიანი ფასს 9-ის პირველად გამოყენებას 2023 წლის 1 იანვარს აპირებს.

4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია კრიტიკული შეფასებები გარდა იმ შეფასებებისა, რომლებზე დაყრდნობითაც აკეთებს პროგნოზს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

დაშვებები და მგრძნობელობა

დაშვებების გაკეთების პროცესი

სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების პროგნოზირებისას დაშვებების კეთდება იმ მიზნით, რომ შეიქმნას რეზერვები, რომლებიც საკმარისი იქნება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმომდგარი ნებისმიერი ვალდებულების დასაფარად, თუკი მათი წინასწარ განჭვრეტა რეალურად შესაძლებელია.

რეზერვი იქმნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, ყველა იმ მოთხოვნის ანაზღაურების (ზარალის დარეგულირების) მოსალოდნელი საბოლოო ხარჯისთვის, რომელთა შესახებაც ცნობილია და რომლებიც უკავშირდება დღემდე მომხდარ შემთხვევებს, განცხადებულს თუ განუცხადებელს, და შემცირებულია უკვე გადახდილი თანხებით.

ჯგუფი აკეთებს პროგნოზებს სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, საანგარიშგებო თარიღისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის გამოწვეული საბოლოო ვალდებულების შესაფასებლად. დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საბოლოო ხარჯი გამოითვლება სტანდარტული აქტუარული მეთოდებით, კერძოდ, ჯაჭვის კიბის მეთოდით სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში და მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტის მეთოდით - ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში. ჯაჭვის კიბის მეთოდის მთავარი საფუძველი არის დაშვება, რომ ისტორიული ზარალის ცვალებადობა მიანიშნებს სამომავლო ზარალის ცვალებადობაზე. მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი არის საბოლოო ზარალის გამომუშავებულ პრემიებთან თანაფარდობის კოეფიციენტი. საბოლოო ზარალის გამოთვლა შესაძლებელია გამომუშავებული პრემიის გამრავლებით მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტზე. მთლიანი რეზერვი გამოითვლება, საბოლოო ზარალიდან ანაზღაურებული ზარალის გამოკლებით.

დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის საბალანსო ღირებულება, გადაზღვევის გამოკლებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 549 ათასი ლარი (2020 წ.: 477 ათასი ლარი) იყო.

არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის შეფასებისას. სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, მგრძნობელობის ანალიზის მიხედვით, 5%-იანი ზრდა ჯაჭვის კიბის ცვალებადობის ფაქტორებში განაპირობებდა დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის ზრდის საჭიროებას 243 ათასი ლარით, შესაბამისად, 5%-იანი კლება ცვალებადობის ფაქტორებში 243 ათასი ლარით შეამცირებდა დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი რეზერვს.

ჯგუფმა შეაფასა კოვიდ-19-ის გავლენა დამდგარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალზე ცალკე, კოვიდ-19-ით გამოწვეული სადაზღვევო მოთხოვნების გათვალისწინებით. გავლენა ჯგუფისთვის არ იყო არსებითი.

4 შეფასებების და დაშვებების გამოყენება (გაგრძელება)

ჯანმრთელობის დაზღვევა მოკლევადიანი პროდუქტია და დადგომის შემდეგ ზარალის გაცხადება სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის გამოსათვლელად ხელმძღვანელობა იყენებს შემდგომი პერიოდის ფაქტობრივ მოთხოვნებს, რომლებიც გაცხადებულია ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე. დანარჩენი პერიოდისთვის პროფესიული განსჯა გამოიყენება. ზარალის დადგომის თარიღიდან ორი თვის გადაჭარბებით ზარალის გაცხადება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში. ვინაიდან წარსულში ასეთი ზარალები არ იყო არსებითი, არ გამოყენებულა აქტუარული მეთოდი და ამის ნაცვლად გამოყენებული იქნა პროფესიული განსჯა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რეზერვის ეს დონე საკმარისია და დამატებითი რეზერვის შექმნა არ დასჭირდება.

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს საქართველოს ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. ქვემოთ მოცემულია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020	2021	2020
BB+	-	5	-	5
BB-	14,731	10,813	14,643	10,774
B+	7	6	7	6
რეიტინგის გარეშე	13	12	13	12
სულ	14,751	10,836	**14,663**	**10,797**

6 საბანკო ანაბრები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020	2021	2020
სს „თიბისი ბანკი“	17,557	12,625	17,557	12,625
სს „საქართველოს ბანკი“	12,952	12,043	12,952	12,043
სს „ლიბერთი ბანკი“	10,692	10,779	10,692	10,779
სს „ვითიბი ბანკი“	3,386	4,237	3,386	4,237
სს „ტერა ბანკი“	2,317	3,264	2,317	3,264
სულ საბანკო ანაბრები	**46,904**	**42,948**	**46,904**	**42,948**

სს „ლიბერთი ბანკში“ განთავსებული ანაბრების მთლიანი ოდენობიდან 4,200 ათასი ლარი და სს „თიბისი ბანკში“ განთავსებული ანაბრების მთლიანი ოდენობიდან 3,000 ათასი ლარი მიკუთვნებადია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებისთვის.

6 საბანკო ანაბრები (გაგრძელება)

ბანკის ანაბრების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. საბანკო ანაბრები წარმოდგენილია ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებებით, რომელთა ვადა სამ წელზე ნაკლებია, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი - 10.55%-დან 14.30%-მდე. დაკავშირებულ მხარესთან (სს „თიბისი ბანკი") განთავსებულ საბანკო ანაბრებზე დარიცხული წლიური პროცენტი 10.55%-დან 14.30%-მდეა (32-ე შენიშვნა).

ბანკებში განთავსებული ანაბრების საკრედიტო რეიტინგები ასეთი იყო:

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021	2020	2021	2020
BB-	33,895	28,905	33,895	28,905
B+	13,009	14,043	13,009	14,043
სულ	**46,904**	**42,948**	**46,904**	**42,948**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ანაბრების მთლიანი ნაშთიდან 25,500 ათასი ლარი ერთ წელზე ნაკლები ვადით იყო განთავსებული, ხოლო დარჩენილი ნაშთის ვადა ერთი წლიდან სამ წლამდე იყო.

7 დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში	კონსოლი-დირებული	ინდივი-დუალური
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,116**	**1,116**
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა	-	-
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	139	139
მიღებული პროცენტი	(139)	(139)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,116**	**1,116**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,116**	**1,116**
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა	1,946	1,946
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	291	291
მიღებული პროცენტი	(279)	(279)
ობლიგაციის პრემიის ამორტიზაცია	(16)	(16)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება /(ზარალი)	(155)	(155)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,903**	**2,903**

7 დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შედგება შემდეგი კორპორაციული ობლიგაციებისგან:

საინვესტიციო კომპანია	ვადა	რეიტინგი	საბალანსო ღირებულება
სს „თიბისი ბანკი"	03 ოქტ. 2024 წ.	BB- (Fitch Ratings)	1,357
სს „ქართული ლუდის კომპანია"	21 დეკ. 2023 წ.	BB- (Scope Ratings)	503
სს „ნიკორა"	12 ნოემ. 2024 წ.	BB- (Scope Ratings)	409
სს „ნიკორა"	18 ოქტ. 2022 წ.	BB- (Scope Ratings)	327
შპს „თეგეტა მოტორსი"	30-აპრ. 2022 წ.	B- (Fitch Ratings)	307
სულ დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			**2,903**

8 წარმოებული ფინანსური აქტივები

ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებების მიხედვით მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაჰენტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით. ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა.

კონსოლიდირებული	**2021**		**2020**	
ათას ლარში	**ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით**	**ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით**	**ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით**	**ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით**
სავალუტო ფორვარდები:				
სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს				
ანგარიშსწორებისას მისაღები თანხა ლარში	11,610	-	3,234	-
ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა აშშ დოლარში	(11,140)	-	(3,113)	-
სავალუტო ფორვარდების წმინდა სამართლიანი ღირებულება	470	-	121	-

8. წარმოებული ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ინდივიდუალური

	2021		2020	
ათას ლარში	ხელშეკ-რულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკ-რულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკ-რულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკ-რულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ფორვარდები:				
სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს				
ანგარიშსწორებისას მისაღები თანხა ლარში	11,610	-	3,234	-
ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა აშშ დოლარში	(11,140)	-	(3,113)	-
სავალუტო ფორვარდების წმინდა სამართლიანი ღირებულება	470	-	121	-

როგორც წესი, ჯგუფი თავისი უცხოური ვალუტის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობს ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაჰენტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით. წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული სამართლიანი ღირებულება დროდადრო შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

9 ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

2021 წელს კომპანიამ თავისი ერთი შვილობილი კომპანიის, შპს „რედმედის“, კაპიტალში განახორციელა 1,526 ათასი ლარის შენატანი (2020 წ.: 1,900 ათასი ლარი). შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების სხვა მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

10 სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება, მთლიანი:	**34,932**	**23,812**
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები	3,222	2,543
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	31,710	21,269
გამოკლებული – დამზღვევებისგან მისაღები თანხების	**(1,566)**	**(1,309)**
გაუფასურების რეზერვი:		
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	(1,566)	(1,309)
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება, წმინდა:	**33,366**	**22,503**

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის ანარიცხები არ შექმნილა, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა თანხა სრულად ამოღებადია (28-ე შენიშვნა).

11 გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2021	2020
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	3,489	2,637
გადამზღვევლისგან მისაღები საკომისიო	419	432
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები და საკომისიო, სულ	**3,908**	**3,069**
გამოკლებული - გადამზღვევლებისგან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი:	(21)	(21)
სულ გადამზღვევლისგან მისაღები წმინდა პრემიები:	**3,887**	**3,048**

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2021	2020
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	40,558	28,896
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	11,854	9,154
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	549	477
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, სულ	**52,961**	**38,527**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	(4,447)	(3,782)
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	(4,427)	(3,727)
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	**(8,874)**	**(7,509)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, გადაზღვევის გამოკლებით		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	36,111	25,114
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	7,427	5,427
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	549	477
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი მთლიანი რეზერვები, გადაზღვევის გამოკლებით	**44,087**	**31,018**

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ათას ლარში	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა
სიცოცხლის დაზღვევა	392	(104)	288	177	(110)	67
ავტოდაზღვევა	22,179	(234)	21,945	16,896	-	16,896
ქონების დაზღვევა	7,245	(3,357)	3,888	6,384	(2,772)	3,612
პასუხისმგებლობის დაზღვევა	1,163	(726)	437	1,154	(888)	266
ჯანმრთელობის დაზღვევა	9,127	-	9,127	3,924	-	3,924
სხვა	452	(26)	426	361	(12)	349
სულ	40,558	(4,447)	36,111	28,896	(3,782)	25,114

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი *ათას ლარში*	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	გადამზღვევლების წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	წმინდა	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	გადამზღვევლების წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	წმინდა
სიცოცხლის დაზღვევა	3,327	(2,507)	820	2,166	(1,625)	541
ავტოდაზღვევა	3,002	(58)	2,944	2,368	(112)	2,256
ქონების დაზღვევა	1,266	(41)	1,225	1,745	(190)	1,555
პასუხისმგებლობის დაზღვევა	1,930	(1,821)	109	2,050	(1,800)	250
ჯანმრთელობის დაზღვევა	2,178	-	2,178	635	-	635
სხვა	151	-	151	190	-	190
სულ	11,854	(4,427)	7,427	9,154	(3,727)	5,427

დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი მხოლოდ სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებისთვის იქმნება. შესაბამისი რეზერვი არ იქმნება სხვა სადაზღვევო პოლისებისთვის, რადგან მათ არ ახასიათებს ინტერვალი უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის განცხადების თარიღს შორის.

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
ათას ლარში	სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა	სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა
სიცოცხლის დაზღვევის						
ა ხელშეკრულებები	4,061	(2,607)	1,454	2,681	(1,731)	950
ბ ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები	48,900	(6,267)	42,633	35,846	(5,778)	30,068
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, სულ	**52,961**	**(8,874)**	**44,087**	**38,527**	**(7,509)**	**31,018**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
ათას ლარში	სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა	სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა
ა **1 იანვრის მდგომარეობით**	**2,681**	(1,731)	**950**	1,290	**(793)**	**497**
საწყისი რეზერვების შეფასებების ცვლილება	(443)	332	**(111)**	(270)	202	**(68)**
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	32,267	(5,943)	**26,324**	26,674	(5,338)	**21,336**
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(32,051)	5,949	**(26,102)**	(26,611)	5,263	**(21,348)**
წლის განმავლობაში დამდგარი ზარალი	12,233	(9,168)	**3,065**	6,717	(5,034)	**1,683**
წლის განმავლობაში დარეგულირებული ზარალი	(10,629)	7,954	**(2,675)**	(5,297)	3,969	**(1,328)**
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	3	-	**3**	178	-	**178**
31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,061**	**(2,607)**	**1,454**	**2,681**	**(1,731)**	**950**

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021			2020		
ათას ლარში	სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა	სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	წმინდა
1 იანვრის მდგომარეობით	**35,846**	**(5,778)**	**30,068**	**31,112**	(6,414)	**24,698**
საწყისი რეზერვების შეფასებების ცვლილება	577	(1,037)	**(460)**	(261)	(103)	**(364)**
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	81,507	(9,853)	**71,654**	59,608	(7,107)	**52,501**
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(70,061)	9,183	**(60,878)**	(57,002)	8,243	**(48,759)**
წლის განმავლობაში დამდგარი ზარალი	39,417	(399)	**39,018**	32,867	(4,603)	**28,264**
წლის განმავლობაში დარეგულირებული ზარალი	(38,455)	1,617	**(36,838)**	(30,536)	4,206	**(26,330)**
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	69	-	**69**	58	-	**58**
31 დეკემბრის მდგომარეობით	48,900	**(6,267)**	**42,633**	**35,846**	(5,778)	**30,068**
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები, სულ	52,961	**(8,874)**	**44,087**	**38,527**	(7,509)	**31,018**

სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო ვალდებულების განსაზღვრის მეთოდები

(i) გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ეყრდნობა მოზიდულ პრემიებს და გამოითვლება პროპორციულად იმ პოლისის დარჩენილ ვადაზე, რომლისთვისაც პრემია მიღებული.

(ii) აუნაზღაურებელი მოთხოვნების რეზერვი

12 სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები და გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში (გაგრძელება)

დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს შეფასებები როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე საანგარიშგებო თარიღისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საბოლოო ხარჯის შესახებ (მე-4 შენიშვნა).

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები იქმნება ცნობილი აუნაზღაურებელი მოთხოვნებისთვის და მასში შედის ხარჯების დაფარვის და მართვის სათანადო ანარიცხებიც. ეს ანარიცხები ძირითადად ეყრდნობა თითოეული მოთხოვნის ინდივიდუალურ შეფასებას დამზღვევისგან, იურიდიული კონსულტანტებისგან და კომპანიის ექსპერტებისგან, რომლებიც ამუშავებენ მოთხოვნებს, მიღებული მოსაზრების თანახმად.

13 გადავადებული აკვიზიციური ხარჯი

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
2020 წლის 1 იანვარს	**1,121**
გადავადებული ხარჯები	2,322
გადავადებული ხარჯების ამორტიზაცია	(2,239)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,204**
გადავადებული ხარჯები	3,071
გადავადებული ხარჯების ამორტიზაცია	(2,801)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,474**

14 სხვა აქტივები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	671	-	671	-
გადახდილი ავანსები	669	1,203	662	1,204
სუბროგაციის მეშვეობით მიღებული აქტივები	250	116	250	116
სხვა დებიტორული დავალიანება	230	45	174	42
მარაგები	79	131	78	126
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	-	21	-	21
სხვა აქტივები, სულ	1,899	1,516	1,835	1,509

გადახდილი ავანსების უმეტესი ნაწილი მოდის პარტნიორ პროვაიდერ კლინიკაზე.

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ვადის გაგრძელების უფლებას, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	ოფისები	სულ	ოფისები	სულ
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,820	1,820	1,760	1,760
შემოსვლები	193	193	193	193
გასვლები	(161)	(161)	(150)	(150)
ცვეთის ხარჯი	(768)	(768)	(735)	(735)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,084	1,084	1,068	1,068
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,084	1,084	1,068	1,068
შემოსვლები	896	896	811	811
ცვეთის ხარჯი	(712)	(712)	(676)	(676)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,268	1,268	1,203	1,203

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	1,449	2,023	1,437	1,960
ფულადი ნაკადები	(966)	(969)	(920)	(925)
ძირითადი თანხის დაფარვა	(854)	(838)	(811)	(797)
გადახდილი პროცენტი	(112)	(131)	(109)	(128)
არაფულადი ცვლილებები	987	395	897	402
პროცენტის დარიცხვა	112	131	109	128
ახალი იჯარები	897	193	812	193
სავალუტო კურსის კორექტირებები	(22)	41	(24)	47
სხვა	-	30	-	34
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,470	1,449	1,414	1,437

15 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფმა შემდეგი საიჯარო ვალდებულებები აღიარა:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	6	19	6	19
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,464	1,430	1,408	1,418
სულ საიჯარო ვალდებულებები	**1,470**	1,449	1,414	**1,437**

2021 წელს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები (ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში) შეადგენს 110 ათას ლარს (2020 წ.: 103 ათასი ლარი).

16 ძირითადი საშუალებები

კონსოლიდირებული

ათას ლარში	ავეჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა	სატრან-სპორტო საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,394	182	1,004	2,580
შემოსვლები	189	20	199	408
გასვლები	(175)	(19)	(45)	(239)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,408	183	**1,158**	**2,749**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,408	183	1,158	2,749
შემოსვლები	176	259	223	658
გასვლები	(95)	(23)	(4)	(122)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,489**	**419**	**1,377**	**3,285**
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	531	17	420	968
წლის დანარიცხი	275	20	245	540
გასვლები	(146)	(11)	(31)	(188)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**660**	**26**	**634**	**1,320**

16 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	660	26	634	1,320
წლის დანარიცხი	275	29	281	585
გასვლები	(82)	(5)	(4)	(91)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**853**	**50**	**911**	**1,814**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2020 წ.	**748**	**157**	**524**	**1,429**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**636**	**369**	**466**	**1,471**

ინდივიდუალური

ათას ლარში	**ავეჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა**	**სატრან-სპორტო საშუალებები**	**საიჯარო ქონების გაუმჯობესება**	**სულ**
თვითღირებულება:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,321	182	1,000	2,503
შემოსვლები	173	20	199	392
გასვლები	(175)	(19)	(45)	(239)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,319**	**183**	**1,154**	**2,656**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,319	183	1,154	2,656
შემოსვლები	176	259	223	658
გასვლები	(94)	(23)	-	(117)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,401**	**419**	**1,377**	**3,197**
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	526	17	419	962
წლის დანარიცხი	257	20	243	520
გასვლები	(146)	(11)	(31)	(188)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**637**	**26**	**631**	**1,294**

16 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	637	26	631	1,294
წლის დანარიცხი	257	29	280	566
გასვლები	(81)	(5)	-	(86)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	813	50	911	**1,774**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2020 წ.	682	157	523	**1,362**
31 დეკემბერი, 2021 წ.	588	369	466	**1,423**

17 „არამატერიალური აქტივები“

კონსოლიდირებული

ათას ლარში	ლიცენზიები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	89	2,041	2,130
შემოსვლები	13	1,963	1,976
გასვლები	-	(261)	(261)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**102**	**3,743**	**3,845**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	102	3,743	3,845
შემოსვლები	19	2,221	2,240
გასვლები	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**121**	**5,964**	**6,085**
დაგროვილი ამორტიზაცია:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	70	375	445
წლის დანარიცხი	16	598	614
გასვლები	-	(63)	(63)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**86**	**910**	**996**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	86	910	996
წლის დანარიცხი	19	802	821
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	105	1,712	1,817
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2020 წ.	**16**	**2,833**	**2,849**
31 დეკემბერი, 2021 წ.	16	4,252	4,268

17 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათას ლარში	ლიცენ-ზიები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	53	1,948	2,001
შემოსვლები	13	1,275	1,288
გასვლები	-	(261)	(261)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**66**	**2,962**	**3,028**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	66	2,962	3,028
შემოსვლები	19	1,752	1,771
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**85**	**4,714**	**4,799**
დაგროვილი ამორტიზაცია:			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	34	515	549
წლის დანარიცხი	16	485	501
გასვლები	-	(62)	(62)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**50**	**938**	**988**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	50	938	988
წლის დანარიცხი	19	719	738
გასვლები	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69**	**1,657**	**1,726**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2019 წ.	**16**	**2,024**	**2,040**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**16**	**3,057**	**3,073**

18 საკუთარი კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუს ჰქონდა ნებადართული კაპიტალი 15,000 ათასი ლარის ოდენობით (2020 წ.: 15,000 ათასი ლარი). 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 7,481,870 აქცია იყო გამოშვებული და სრულად განაღდებული 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღებისა და ჯგუფის კრებებზე თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება აქვთ.

18 საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

(ბ) დივიდენდები

როგორც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, ჯგუფის განაწილებადი რეზერვები არ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ნაშთს, რომელიც აღრიცხულია ჯგუფის ფასს-ების ანგარიშგებაში.

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2021	2020
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	7,003	4,997
წლის განმავლობაში გაცემული დივიდენდები	(7,003)	(4,997)
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში ერთ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდები (ლარი)	**0.94**	**0.67**

(გ) სხვა რეზერვები

2021 ლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,300 ლარის სხვა რეზერვები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის შვილობილი კომპანიების მიყიდვის აკუმულირებულ შედეგს. სხვა რეზერვებში 2021 და 2020 წლებში მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

19 გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2021	2020
დასაფარი გადაზღვევის პრემია	7,819	5,959
გადაზღვევის სუბროგაციასთან და ზარალის ამოღებასთან დაკავშირებული დავალიანება	-	2,796
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	**7,819**	**8,755**

20 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები

2019 წლის განმავლობაში სს „თიბისი დაზღვევაში“ მოქმედებდა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპენსაციის სქემა. სქემა გულისხმობდა თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემას, ხუთ წელიწადში გამოსყიდვის სავალდებულო პირობით. სქემა ბუღალტრულად აღირიცხა ბასს 19-ის მიხედვით, თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯებისა და შესაბამისი ვალდებულების აღიარებით ხუთწლიან პერიოდზე. აქციის ფასი განისაზღვრა წინასწარ დადგენილი ფორმულით, ფასს-ის პროგნოზირებულ შედეგებზე დაყრდნობით, და 2019 წელს დარიცხული ხარჯი შეადგენდა 1,388 ათას ლარს.

20 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

2020 წელს სს „თიბისი დაზღვევამ“ დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლითაც ჩაანაცვლა ანაზღაურების ზემოაღნიშნული სქემა. ამ ახალი სქემის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად, საქმიანობის შედეგებისა და მომსახურების პირობების საფუძველზე, ხუთწლიანი ვადით (2019-2023) გადასცემს პირობით აქციებს, რომლებიც გარდაიქმნება მშობელი კომპანიის (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“) ფაქტობრივ აქციებად. პირობით აქციებზე არ გაიცემა დივიდენდები და მათი გასხვისება ან დაგირავება შეზღუდულია, ასევე ასეთი ტიპის აქციები არ მოიცავს ხმის მიცემის უფლებას.

ეფექტურობის ინდივიდუალური მაჩვენებლები დგინდება ინდივიდუალურად და გამოიყენება თითოეული თანამშრომლისთვის გადაცემული აქციების თანხის გამოსათვლელად.

ვადა ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას მანამ, სანამ სქემის მონაწილეებისთვის უფლების ეტაპობრივი გადაცემა დასრულდება. ამ კომპენსაციის სქემით, უფლების გადაცემის პერიოდი აქციების ყოველი წლის გადაცემისთვის გრძელდება 2024 წლის მარტამდე.

პირობითი აქციების რეალურ აქციებად გარდაქმნას ახდენს სს „თიბისი დაზღვევა“ და სს „თიბისი ბანკის ჯგუფი“ ფასს-ის მიხედვით ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით, დაუყოვნებლივ, გარდაქმნის თარიღამდე და წინასწარ განსაზღვრული ფორმულით (იგივე ფორმულა, რომელიც 2019 წლის სქემაში იქნა გამოყენებული).

ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი გადაცემული აქციების ოდენობის ყველაზე ზუსტად ასახავს კომპანიის მეხუთე წლის (2023) ფინანსურ მაჩვენებლებს და ასევე ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე. თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

ძველი სქემიდან ახალზე გადასვლით განპირობებული კორექტირებები – ვალდებულება საბალანსო უწყისზე სხვა ვალდებულებებიდან გადატანილია წილობრივი გადახდის მუხლში. დაბალანსების (ანაზღაურების) კორექტირების მოდიფიკაცია მოხდა მოგება-ზარალის მეშვეობით.

20 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური

ათას ლარში	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ვალდებულება პერიოდის დასაწყისში	(2,615)	-
ახალ სქემაზე გადასვლის ეფექტი	-	**(1,388)**
წინა წლის გაცემების გადაფასება	97	193
აქციების მიმდინარე წლის გადაცემა	(1,378)	(1,308)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის შემობრუნება	(237)	(112)
თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯად აღიარებული მთლიანი ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(1,518)	(1,227)
წილობრივი გადახდის ვალდებულება პერიოდის ბოლოს	**(4,133)**	**(2,615)**

21 სხვა ვალდებულებები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020	2021	2020
მიღებული ავანსები	1,532	1,238	1,532	1,238
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	1,702	1,394	1,702	1,394
სხვა ვალდებულებები	95	143	89	102
სხვა ვალდებულებები, სულ	**3,329**	**2,775**	**3,323**	**2,734**

22 წმინდა გამომუშავებული პრემიები

	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
ათას ლარში	2021	2020
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	32,267	26,674
ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდული პრემია	81,507	59,608
სულ მოზიდული პრემიები	**113,774**	**86,282**
სიცოცხლის დაზღვევის გამოუმუშავებელი პრემიების მთლიანი რეზერვების ცვლილება	(216)	(63)
ზოგადი დაზღვევის გამოუმუშავებელი პრემიების მთლიანი რეზერვების ცვლილება	(11,446)	(2,606)
სულ გამომუშავებული პრემიები	**102,112**	**83,613**
გადამზღვევლების მიერ გამომუშავებული პრემიები სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე	(5,948)	(5,263)
გადამზღვევლების მიერ გამომუშავებული პრემიები ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებზე	(9,183)	(8,243)
სულ წმინდა გამომუშავებული პრემიები	**86,981**	**70,107**

23 საპროცენტო შემოსავალი

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021	2020	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი სადეპოზიტო სერტიფიკატზე	4,556	3,813	4,556	3,813
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე	788	642	786	636
საპროცენტო შემოსავალი ობლიგაციებზე	275	138	275	138
სხვა საპროცენტო შემოსავალი	128	32	128	32
მოგებაში ან ზარალში აღიარებული საპროცენტო შემოსავალი	**5,747**	**4,625**	**5,745**	**4,619**

24 წმინდა დამდგარი ზარალი

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2021	2020
სიცოცხლის დაზღვევის დარეგულირებული ზარალი	(10,629)	(5,297)
ზოგადი დაზღვევის დარეგულირებული ზარალი	(38,455)	(30,536)
გადამზღვევლის წილი სიცოცხლის დაზღვევის დარეგულირებულ ზარალში	7,954	3,969
გადამზღვევლის წილი ზოგადი დაზღვევის დარეგულირებულ ზარალში	1,617	4,206
სულ წმინდა დარეგულირებული ზარალი	**(39,513)**	**(27,658)**
მთლიანი ცვლილება განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	(2,700)	(3,221)
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	(72)	(235)
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის ცვლილებაში	701	1,363
სუბროგაცია და ანაზღაურების თანხის ამოღება	5,343	1,950
ზარალის დარეგულირების ხარჯები	(927)	(932)
წმინდა დამდგარი ზარალი	**(37,168)**	**(28,733)**

სუბროგაციისა და ამოღებების მნიშვნელოვანი ზრდა 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, გამოწვეულია ერთ-ერთი თავისი გადაზღვევის სუბროგაციისა და ამოღებებთან დაკავშირებული დავალიანების სავარაუდო შეფასების ცვლილებით.

2021 და 2020 წლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დამდგარი ზარალის გადანაწილება პროდუქტების ტიპებზე:

24 წმინდა დამდგარი ზარალი (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021					
ათას ლარში	დარეგულირებული ზარალი	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	სულ ზარალი	გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალში	გადამზღვევლის წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	სულ გადამზღვევლის წილი ზარალში
სიცოცხლის დაზღვევა	7,962	1,873	9,835	6,000	1,417	7,417
ავტოდაზღვევა	11,755	2,173	13,928	147	58	205
ქონების დაზღვევა	479	395	874	-	-	-
პასუხისმგებლობის დაზღვევა	13	100	113	-	-	-
ჯანმრთელობის დაზღვევა	7,273	2,090	9,363	-	-	-
სხვა	2,072	256	2,328	1,342	17	1,359
სულ	**29,554**	**6,887**	**36,441**	**7,489**	**1,492**	**8,981**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2020					
ათას ლარში	დარეგულირებული ზარალი	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი	სულ ზარალი	გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალში	გადამზღვევლის წილი განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალში	სულ გადამზღვევლის წილი ზარალში
სიცოცხლის დაზღვევა	4,350	1,747	6,097	3,276	1,310	4,586
ავტოდაზღვევა	8,420	1,746	10,166	-	-	-
ქონების დაზღვევა	541	922	1,463	-	172	172
პასუხისმგებლობის დაზღვევა	13	2,050	2,063	-	1,800	1,800
ჯანმრთელობის დაზღვევა	3,993	601	4,594	-	-	-
სხვა	852	112	964	457	1	458
სულ	**18,169**	**7,178**	**25,347**	**3,733**	**3,283**	**7,016**

25 აკვიზიციური ხარჯები

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2021	2020
აკვიზიციური ხარჯები	(18,846)	(15,980)
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	3,071	2,322
გადავადებული აკვიზიციური ხარჯების ამორტიზაცია	(2,801)	(2,239)
აკვიზიციური ხარჯები, სულ	**(18,576)**	**(15,897)**

26 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021	2020	2021	2020
ხელფასები	(7,282)	(6,849)	(6,736)	(6,155)
პრემიების მართვა	(2,758)	(1,840)	(2,758)	(1,840)
სხვა პრემიები	(1,897)	(1,529)	(1,897)	(1,529)
დაზღვევა და სხვა სარგებელი	(528)	(563)	(496)	(521)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(12,465)**	**(10,781)**	**(11,887)**	**(10,045)**

27 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021	2020	2021	2020
პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა	(1,152)	(1,072)	(1,055)	(975)
ზედამხედველობის გასამრჯელო	(1,020)	(836)	(1,020)	(836)
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა	(900)	(956)	(717)	(658)
პროფესიული მომსახურების ღირებულება	(411)	(451)	(410)	(448)
საოფისე ინვენტარი	(362)	(350)	(356)	(347)
საფოსტო, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური მომსახურება	(276)	(275)	(271)	(271)
ოფისის იჯარა	(269)	(273)	(256)	(260)
ბანკის მომსახურების ღირებულება და სხვა საკომისიო	(239)	(185)	(239)	(185)
მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის მართვის გასამრჯელო*	(216)	(176)	(216)	(176)
გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(157)	(235)	(157)	(235)
მანქანის საწვავის ხარჯები	(132)	(87)	(132)	(87)
სამივლინებო ხარჯები	(27)	(19)	(27)	(19)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(20)	(20)	(20)	(20)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(620)	(718)	(597)	(687)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(5,801)	(5,653)	(5,473)	(5,204)

27 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

* 2018 წელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ცენტრის მიზანი იყო სადაზღვევო სისტემაში მონაწილე მზღვეველების მიერ მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მართვა. მზღვეველები ყოველთვიურ მართვის ღირებულებას უხდიან ცენტრს, რომლის მთავარი ფუნქცია-მოვალეობები არის კლიენტების უწყვეტი მომსახურება, სადაზღვევო პოლისების რეალიზაცია და ზარალების რეგულირება.

ზემოაღნიშნული პროფესიული მომსახურების ღირებულება მოიცავს 124 ათას ლარს (2020 წ.: 128 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ აუდიტორულ და სხვა მომსახურებაში გადახდილ გასამრჯელოს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების შესაბამისად.

28 გაუფასურების ხარჯი

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვების მოძრაობა ასეთია:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ლარში	სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები
2020 წლის 1 იანვარს	(655)	(21)	(655)	(21)
დანარიცხი	(654)	-	(654)	-
2020 წლის 31 დეკემბერს	**(1,309)**	**(21)**	**(1,309)**	**(21)**
დანარიცხი	(257)		(257)	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(1,566)**	**(21)**	**(1,566)**	**(21)**

აქტივების გაუფასურების რეზერვი გამოიქვითება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებიდან.

29 სხვა ხარჯები

საქართველოში ჯანდაცვის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, „თიბისი დაზღვევამ“ შექმნა კოვიდ-19-ის საქველმოქმედო ფონდი. 2020 წელს ჩვენმა ფონდმა გაიღო 308 ათასი ლარი, რათა ჯანდაცვის 88 მომსახურეს დახმარებოდა ფინანსური სარგებლის პაკეტების მიღებაში. 2021 წელს აქტივობები არ ყოფილა.

30 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021	2020	2021	2020
მიმდინარე გადასახადი	2,664	2,590	2,664	2,590
გადავადებული გადასახადის ხარჯი/(კრედიტი)	47	(104)	47	(104)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	2,711	2,486	2,711	2,486

2021 წელს იბეგრებოდა მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (2020 წ.: 15%).

ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი და ფაქტობრივად დარიცხული გადასახადების შეჯერება:

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2021	2020	2021	2020
დასაბეგრი მოგება	**16,939**	**12,608**	**16,939**	**12,608**
თეორიული გადასახადის დანარიცხი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით	2,541	1,891	2,541	1,891
- გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავალი	(185)	(64)	(185)	(64)
- გამოუქვითავი ხარჯები	355	659	355	659
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**2,711**	**2,486**	**2,711**	**2,486**

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. 2018 წლის 28 დეკემბერს კანონი ისევ შეიცვალა და 2023 წლის 1 იანვარი დაადგინა კანონის ძალაში შესვლის თარიღად ფინანსური დაწესებულებებისთვის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა).

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოიქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

31 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

2021 წლისა და 2020 წლის მდგომარეობით, არ დაფიქსირებულა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს.

32 კაპიტალის მართვა

(ა) კაპიტალის მართვის მიზნები, პრინციპები და მეთოდი

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია, კაპიტალი ყოველთვის ჯგუფის რისკის პროფილის შესაბამის დონეზე შენარჩუნდეს და გაკონტროლდეს. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება საქმიანობის გაფართოების მხარდასაჭერად და დამზღვევების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება, დაფარვის დროისთვის და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულება; და
- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კაპიტალის ადეკვატური რესურსების მუდმივი შენარჩუნება და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესრულება ჯგუფის ინტერესშია. ჯგუფის მიერ გამოყენებული კაპიტალის მთავარი წყაროა აქციების გამოშვებით დაფინანსება. კაპიტალის ძლიერი ბაზის შენარჩუნებას ჯგუფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა მას საშუალება ჰქონდეს ზრდის მომგებიანი შესაძლებლობებით ისარგებლოს და დიდი ზარალის დადგომის შედეგებისგან მაქსიმალურად დაიცვას თავი.

კაპიტალის მონიტორინგისა და მართვის პროცესის ფარგლებში ჯგუფმა დანერგა აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის კონტროლის მექანიზმები, რათა წამყვან ქართულ ბანკებში მუდმივად მინიმალური ფულადი სახსრები ჰქონდეს განთავსებული.

საქართველოს დაზღვევის სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებული აქვს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია გადახდისუნარიანობის საკმარისი მარჟების უზრუნველყოფა.

(ბ) მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივის თანახმად, სადაზღვევო კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნას პერიოდის განმავლობაში და ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს ამ თანხის მთლიან ოდენობას ან ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ან საბანკო ნაშთების სახით. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №27 დირექტივის მიხედვით, 2021 წლის 31 დეკემბრიდან კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა 4,200 ათასი ლარიდან 7,200 ათას ლარამდე გაიზარდა.

2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოუშვა №15 და №16 დირექტივები გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟისა და საზედამხედველო კაპიტალის შესახებ, შესაბამისად. კანონი ასევე აწესებს მოთხოვნებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ზღვრის შენარჩუნებაზე გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის ოდენობით.

2021 და 2020 წლებში სს „თიბისი დაზღვევა" აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

32 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფასს-ის მიხედვით აღრიცხული კაპიტალის საფუძველზე, რომელშიც კორექტირებები შესულია, მაგალითად, შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების, არაუზრუნველყოფილი სესხები და გადასახდელი ანგარიშების და სხვ. მიხედვით, როგორც ამას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №16 დირექტივა ითვალისწინებს.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის დონეს, კერძოდ, შეადგენს გადასახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 100%-ს.

33 სადაზღვევო რისკის მართვა

(ა) რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა სადაზღვევო რისკის შესამცირებლად

ჯგუფის ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა თავის თავზე იღებს ზარალის რისკს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან ამ რისკს. ასეთი რისკები ძირითადად უკავშირდება სიცოცხლეს, ავტომობილებს და სხვა სეგმენტებს ჯანდაცვის გარდა, მაგალითად, ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებისგან დაზღვევას, რომლებიც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოიშვას. ჯგუფი წინასწარ ვერ საზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს.

ჯგუფს ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო. ჯგუფი თავის სადაზღვევო რისკს მართავს რისკების კონცენტრაციების გადაზღვევის, ანდერაიტინგის ლიმიტების, ოპერაციების დამტკიცების პროცედურებისა და პრობლემების მყისიერი მონიტორინგის მეშვეობით.

(i) ანდერაიტინგის სტრატეგია

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგიის მიზანია დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა, რათა ჯგუფის პორტფელს ყოველთვის ახასიათებდეს სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან დაუკავშირებელი რისკები და რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, გადანაწილებული იყოს ბევრ პოლისზე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს მიდგომა ამცირებს რეალურად დამდგარი შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგის სტრატეგია მოცემულია ჯგუფის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკაში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის ინსტრუქციებით, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ანდერაიტინგის წესები პროდუქტის თითოეული ტიპისთვის. ინსტრუქციები მოიცავს კონცეფციებსა და პროცედურებს, თანმდევი რისკის აღწერას, პირობებს, უფლებებსა და მოვალეობებს, დოკუმენტირების მოთხოვნებს, ხელშეკრულებების ნიმუშებს / პოლისების მაგალითებს, მოქმედი ტარიფების დასაბუთებას და ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება მოქმედ ტარიფებზე გავლენა იქონიოს. ტარიფის გამოთვლა ეყრდნობა ალბათობასა და ცვალებადობას.

ანდერაიტინგის ინსტრუქციების დაცვას მუდმივად აკონტროლებს გენერალური დირექტორის მოადგილე.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) გადაზღვევის სტრატეგია

ჯგუფი დაზღვეული რისკების ნაწილს გადააზღვევს, რომ გააკონტროლოს ზარალის მოცულობა და დაიცვას თავისი ფინანსური რესურსები. ჯგუფი თავისი საქმიანობის ყველაზე მსხვილი მიმართულებებისთვის - სიცოცხლის, კასკო და ქონების დაზღვევისთვის - ყიდულობს სავალდებულო გადაზღვევას და ასევე ფაკულტატურად გადააზღვევს ზემოაღნიშნული პროდუქტების ყველა იმ რისკს, რომლებიც ვერ ექცევა სავალდებულო დაზღვევის ლიმიტებში.

გადაცემული გადაზღვევა შეიცავს საკრედიტო რისკს და ასეთი გადაზღვევიდან მისაღები თანხები აღირიცხება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გამოაკლდება ცნობილი გადახდისუუნარობის და უიმედო ვალდებულებების შესაბამისი მუხლები. ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას და პერიოდულად გადასინჯავს თავის გადაზღვევის ხელშეკრულებებს.

(ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები და დაზღვევით მოცული რისკის ხასიათი

სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობაზე, ვადებსა და განუსაზღვრელობაზე, განხილულია ქვემოთ. გარდა ამისა, შეფასებულია ჯგუფის ძირითადი პროდუქტები და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის გზები.

(i) ავტოდაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფს აქვს ორი ტიპის ავტოდაზღვევა, ავტომობილის სრული დაზღვევა („კასკო") და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა. კასკო ხელშეკრულებების მიხედვით, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანების შედეგად დამდგარი ზარალი; მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს ავტომობილის მფლობელის მიერ, სადაზღვევო პერიოდში, მსუბუქი ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად, მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ავტოდაზღვევა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოდგენას და დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

როგორც წესი, დაუყოვნებლივ ხდება იმ მოთხოვნების წამოყენება, რომლებიც ეხება დამზღვევისთვის ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების ან დაკარგვის ანაზღაურებას. უფრო დიდი დრო ესაჭიროება და უფრო რთული შესაფასებელია ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება სხეულის დაზიანების ხარჯების დაფარვას.

რისკის მართვა

ზოგადად, ავტოდაზღვევის ფარგლებში ზარალის მოთხოვნა იშვიათად და უმნიშვნელოდ გვიანდება, და მოთხოვნების რეგულირებაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საერთოდ, ამ საქმიანობაში ზარალის ანაზღაურების ვალდებულებების პროგნოზს ზომიერი რისკი ახასიათებს. ჯგუფი აკონტროლებს და რეაგირებს რემონტის, მკურნალობის ხარჯების ტენდენციებსა და ქურდობისა თუ უბედური შემთხვევების სიხშირეზე.

სადაზღვევო მოთხოვნების სიხშირეზე გავლენას ახდენს უამინდობა. ამასთან, ზარალის მოცულობა ზამთრის თვეებში იზრდება. ავტოდაზღვევის ყველა ტიპისთვის რისკების შეფასება ხდება ჯგუფის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) ქონების დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა მოიცავს კორპორაციულ და საცალო პაკეტებს. ქონების დაზღვევა დამზღვევს უნაზღაურებს კუთვნილი მატერიალური ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად განცდილ ზარალს გარკვეული ლიმიტების ან ფრანშიზის ფარგლებში.

შენობების ან შენობების შიგთავსის დაზიანების შემთხვევები, რომლებიც წარმოშობს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნები, მოულოდნელი ხასიათისაა (მაგ. ხანძარი ან ძარცვა) და მიზეზის დადგენა ადვილია. შესაბამისად, ზარალის განსაზღვრა მაღიევე ხდება და დაყოვნების გარეშე ნაზღაურდება. შესაბამისად, ქონების დაზღვევის მიმართულებას ახასიათებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოდგენა და დაკმაყოფილება.

რისკის მართვა

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია ანდერაიტინგის, კონკურენტუნარიანობის გაუარესებისა და სადაზღვევო მოთხოვნების დაკმაყოფილების რისკები (სტიქიური უბედურებების ცვალებადი სიხშირის ჩათვლით). ჯგუფს ასევე აქვს სადაზღვევო ანაზღაურების მომთხოვნთ მხრიდან ზარალის გაზვიადების და არაკეთილსინდისიერი ქმედებების რისკი.

ანდერაიტინგის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი არ დააკისრებს სათანადო სადაზღვევო პრემიებს მის მიერ სხვადასხვა ქონების დაზღვევისთვის. ბევრი კომერციული ქონების დაზღვევა მოიცავს ადგილმდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და უსაფრთხოების დანერგილი ზომების უნიკალურ ერთობლიობას. ასეთი პოლისების რისკის თანაზომიერი პრემიის გამოთვლა სუბიექტური და, შესაბამისად, რისკიანი იქნება.

ეს რისკები, ძირითადად, იმართება ფასწარმოქმნის და გადაზღვევის პროცესებით. ჯგუფი მიმართავს ანდერაიტინგის მკაცრ კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისთვის მისაღები იყოს. ჯგუფი თავის ქონების რისკებს გადააზღვევს ზარალის ექსცედენტის, თანხის ექსცედენტის, სტიქიური უბედურებების გადაზღვევის ხელშეკრულებებით.

(iii) სიცოცხლის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი ახდენს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების ანდერაიტინგს, რომელთა მიხედვითაც სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მოსარგებლის გარდაცვალება ან მუდმივი ქმედუუნარობა და დამზღვევი აზღვევს ფინანსური დაწესებულების წინაშე დარჩენილ დავალიანებას წინასწარ განსაზღვრული თანხით.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვა

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული საქმიანობის სფეროებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით. ჯგუფს ასევე უფლება აქვს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თაღლითური მოთხოვნის აღმოჩენის შემთხვევაში. ჯგუფი გადაზღვევის ხელშეკრულებებს იყენებს სიცოცხლის დაზღვევის ყველა რისკისთვის და რისკის მოცულობა დაყვანილი აქვს მთლიანი ზარალის 25%-მდე. ამ პროდუქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი რისკია უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის განცხადების თარიღს შორის ინტერვალის არსებობა. ამ რისკის გამო, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი იქმნება, რომელიც გამოითვლება ჯაჭვის კიბის სტატისტიკური მეთოდებით.

(iv) ჯანმრთელობის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯანმრთელობის დაზღვევის წილი ჯგუფის მთლიან სადაზღვევო ბიზნესში 10%-დან 16%-მდე გაიზარდა 2021 წელს სულ მოზიდული პრემიის სახით. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებები ბენეფიციარებს უხდის სადაზღვევო ანაზღაურებას სამედიცინო მკურნალობისა და ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯებისთვის. პორტფელი მთლიანად შედგება კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებებისგან.

რისკის მართვა

ჯანმრთელობის დაზღვევის საგანი ძირითადად არის სამედიცინო მკურნალობის აუცილებლობის საფრთხე. ჯგუფი ამის რისკებს მართავს კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებების მოზიდვით და ფასწარმოქმნის პოლიტიკით ბენეფიციარების ჯანმრთელობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. გარდა ამისა, ჯგუფი იყენებს თავისი პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების და აფთიაქების მომსახურებას წინასწარ შეთანხმებული ფასებით.

(გ) დაზღვევის რისკის კონცენტრაცია

ჯგუფის სადაზღვევო რისკის უმთავრესი ასპექტია სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის დონე, რომელიც მაღალია მაშინ, როდესაც გარკვეულმა შემთხვევამ ან შემთხვევებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჯგუფის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება გამოიწვიოს ერთმა სადაზღვევო ხელშეკრულებამ ან რისკის საერთო მახასიათებლების მქონე რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულმა ხელშეკრულებამ, და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს წარმოშობს. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ იგი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ინდივიდუალურ კლასებში ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ტრანშებში რისკების კონცენტრაციის შედეგად.

რისკის კონცენტრაცია შეიძლება მოხდეს როგორც სერიოზული დანაკარგების მომტანი იშვიათი შემთხვევების დროს, როგორიცაა, მაგალითად სტიქიური უბედურებები, ისე სიტუაციებში, როცა ანდერაიტინგი გარკვეული ჯგუფის სასარგებლოდ, მაგალითად, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში, ხდება.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ამ რისკებს ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერაიტინგით. ანდერაიტერებს არ აქვთ რისკების დაზღვევის უფლება, თუ მოსალოდნელი მოგება არ შეესაბამება აღებულ რისკს. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. ჯგუფი ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის ავტო, სიცოცხლის და ქონების დაზღვევისთვის. ჯგუფი მუდმივად აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებელს.

(დ) ზარალის რეგულირება

ინფორმაცია ზარალის რეგულირების შესახებ წარმოდგენილია ჯგუფისთვის დამახასიათებელი სადაზღვევო რისკის საილუსტრაციოდ. ცხრილში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის წლების მიხედვით გადახდილი ზარალი შედარებულია ამ ზარალისთვის შექმნილ რეზერვებთან. პროგნოზირებული მაჩვენებელი იზრდება ან მცირდება, როდესაც გადაიხდება ზარალი და მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდელი ზარალის სიხშირესა და სიმძიმეზე. ცხრილის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული მთლიანი რეზერვებისა და პროგნოზირებული კუმულაციური ზარალის შეჯერება. მართალია, ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეხება წინა წლებში ასანაზღაურებელი ზარალის შესახებ გაკეთებული პროგნოზების მართებულობას, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მკითხველები სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ წარსულის ზედმეტობის ან დეფიციტის ამჟამინდელი გადაუხდელი ზარალის ნაშთებზე ექსტრაპოლაციას. ჯგუფს მიაჩნია, რომ 2021 წლის ბოლოსთვის აუნაზღაურებელი მთლიანი მოთხოვნების პროგნოზი ადეკვატურია.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური საერთო ზარალის შეფასება

ათას ლარში	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	სულ
ზარალის დადგომის წელი	323	5,415	4,131	10,830	49,050	32,549	39,583	51,648	-
ერთი წლის შემდეგ	324	5,632	4,117	11,214	20,552	31,981	39,625	-	-
ორი წლის შემდეგ	323	5,674	4,131	11,194	20,611	32,097	-	-	-
სამი წლის შემდეგ	323	5,780	4,123	11,218	20,593	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	323	5,817	4,123	11,218	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	323	5,771	4,123	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	323	5,766	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	323	-	-	-	-	-	-	-	-
დამდგარი საერთო ზარალის ამჟამინდელი შეფასება	323	**5,766**	**4,123**	11,218	20,593	32,097	**39,625**	**51,648**	**165,393**
ზარალის დადგომის წელი	(245)	(4,724)	(3,580)	(8,621)	(16,978)	(26,917)	(31,279)	(43,512)	-
ერთი წლის შემდეგ	(323)	(5,569)	(4,108)	(11,145)	(20,428)	(31,279)	(36,540)	-	-
ორი წლის შემდეგ	(323)	(5,584)	(4,108)	(11,174)	(20,546)	(31,586)	-	-	-
სამი წლის შემდეგ	(323)	(5,659)	(4,123)	(11,218)	(20,548)	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	(323)	(5,659)	(4,123)	(11,218)	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	(323)	(5,689)	(4,123)	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	(323)	(5,689)	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	(323)	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	**(323)**	**(5,689)**	**(4,123)**	**(11,218)**	**(20,548)**	**(31,586)**	**(36,540)**	**(43,512)**	**(153,539)**
აუნაზღაურებელი ზარალის მთლიანი რეზერვი	-	**77**	-	-	46	**511**	**3,084**	**8,136**	**11,854**

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური წმინდა ზარალის შეფასება

ათას ლარში	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	სულ
ზარალის დადგომის წელი	236	3,801	3,703	6,120	7,453	16,242	29,948	42,082	-
ერთი წლის შემდეგ	236	4,182	3,900	6,327	5,815	15,901	29,307	-	-
ორი წლის შემდეგ	236	4,209	3,914	6,316	5,818	15,970	-	-	-
სამი წლის შემდეგ	236	4,277	3,906	6,329	5,817	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	236	4,300	3,723	6,329	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	236	4,376	3,723	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	236	4,379	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	236	-	-	-	-	-	-	-	-
დამდგარი წმინდა ზარალის ამჟამინდელი შეფასება	**236**	4,379	**3,723**	**6,329**	5,817	15,970	**29,307**	**42,082**	**107,843**
ზარალის დადგომის წელი	(179)	(3,358)	(3,107)	(4,877)	(5,710)	(12,592)	(24,941)	(36,043)	-
ერთი წლის შემდეგ	(236)	(4,182)	(3,912)	(6,333)	(5,714)	(15,676)	(28,199)	-	-
ორი წლის შემდეგ	(236)	(4,197)	(3,800)	(6,526)	(5,698)	(15,795)	-	-	-
სამი წლის შემდეგ	(236)	(4,272)	(3,906)	(6,329)	(5,789)	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	(236)	(4,272)	(3,723)	(6,329)	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	(236)	(4,302)	(3,723)	-	-	-	-	-	-
ექვსი წლის შემდეგ	(236)	(4,302)	-	-	-	-	-	-	-
შვიდი წლის შემდეგ	(236)	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	**(236)**	**(4,302)**	**(3,723)**	**(6,329)**	**(5,789)**	**(15,795)**	**(28,199)**	**(36,043)**	**(100,416)**
აუნაზღაურებელი წმინდა ზარალის რეზერვი	**-**	**77**	**-**	**-**	**28**	**175**	**1,108**	**6,039**	**7,427**

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ვალდებულების ადეკვატურობის ტესტირება, გამოუმუშავებელი პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად. მათში არ შედის შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯების აქტივები საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის, რომლებიც ერთად იმართება. ამ ტესტირების ჩატარებისას გამოიყენება მოქმედი პოლისების ვადებისთვის მიკუთვნებადი სამომავლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, მოთხოვნების დარეგულირების და პოლისების ადმინისტრირების ხარჯების შეძლებისდაგვარად ზუსტი პროგნოზები. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯის ჩამოფასება და, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკის რეზერვი). დეფიციტის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. 2021 და 2020 წლების განმავლობაში დანაკლისი არ გამოვლენილა და ამიტომ არ გამხდარა საჭირო დამატებითი ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნა.

(ე) გადაზღვევის რისკი

ჯგუფი სადაზღვევო რისკს გადააზღვევს, რათა შეამციროს ანდერაიტინგის ზარალის მოცულობა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. გადაცემული გადაზღვევის ბიზნესის განთავსება ხდება პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევის კვოტის/ზარალის ექსცედენტის საფუძველზე, ხოლო შენარჩუნებული რისკის ლიმიტები მერყეობს პროდუქტების ტიპების მიხედვით. ეს გადაზღვევის ხელშეკრულებები გადაანაწილებს რისკს და მინიმუმამდე დაჰყავს ზარალის ეფექტი. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ჯგუფი ამ კონკრეტულ რისკს. ყველა მნიშვნელოვანი რისკი საქმიანობის ყველა მიმართულებით იმართება არსავალდებულო დაფარვით, მნიშვნელოვანი შენარჩუნების გარეშე. გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობებით, გადამზღვეველი თანხმდება, რომ აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის გადახდის შემთხვევაში. თუმცა, ჯგუფს რჩება ვალდებულება თავისი დამზღვევების მიმართ ამ გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, თუ გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვევლის შერჩევისას ჯგუფი ითვალისწინებს მის კრედიტუნარიანობას.

(ვ) კოვიდ-19-ის პანდემია

კოვიდ 19-ის პანდემია კვლავაც დიდ გავლენას ახდენს ცალკეულ ადამიანებზე, საზოგადოებაზე, ბიზნესსა და მსოფლიო ეკონომიკაზე. ჩვენ განვიხილეთ კოვიდ-19-ის პანდემია და მისი დღევანდელი და სამომავლო პოტენციური შედეგები ჯგუფსა და კომპანიაზე.

ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ისინი დაუყოვნებლივ გადავიყვანეთ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. ჩვენ პანდემიის დასაწყისშივე მოვახერხეთ დისტანციური მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართვა.

ამასთანავე ჩვენი მომხმარებლების მხარდასაჭერად გარკვეული ინიციატივები განვახორციელეთ. საყოველთაო ჩაკეტვის დროს ავტოდაზღვევის საცალო პოლისების მფლობელებს შევთავაზეთ საშეღავათო პერიოდი პრემიების გადახდაზე. გარდა ამისა, იმ საცალო მომხმარებლებმა, რომელთა ავტოდაზღვევის პოლისები საყოველთაო ჩაკეტვის დროს აქტიური იყო, პოლისების განახლებისას გარკვეული შეღავათებით ისარგებლეს. სადაზღვევო პრემიების გადახდაზე საშეღავათო პერიოდი შევთავაზეთ იმ კორპორატიულ კლიენტებსაც, რომელთა საქმიანობაზეც ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა.

პანდემიის გავლენა ავსახეთ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზეც. ჩვენ ის ცალკე არ გამოვყავით, რადგან მისი გავლენა ჯგუფსა და კომპანიაზე არ იყო არსებითი.

33 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

„თიბისი დაზღვევას“ აქვს საკმაოდ მძლავრი ლიკვიდურობის პოზიცია და ფინანსური სიმტკიცე, რაც მას საშუალებას აძლევს, კოვიდ 19-ის პანდემიის ფონზეც კი შესაშური შედეგები აჩვენოს. „თიბისი დაზღვევის“ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი მარეგულირებლის მიერ მოთხოვნილ დონეზე გაცილებით მაღალია. ჩვენ ფხიზლად ვმართავთ ჩვენს პორტფელებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ კომპანიას საკმარისი რესურსები აქვს თავისი კაპიტალის ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში ჯანდაცვის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, „თიბისი დაზღვევამ“ შექმნა კოვიდ-19-ის საქველმოქმედო ფონდი. 2020 წელს ჩვენმა ფონდმა გაიღო 308 ათასი ლარი, რათა ჯანდაცვის 88 მომსახურეს დახმარებოდა ფინანსური სარგებლის პაკეტების მიღებაში.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა და ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენის მიზნებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყენებს საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების კატეგორიზაცია ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, შეფასების მეთოდებში ამოსავალი მონაცემების გამოყენების მიხედვით:

- *დონე 1:* ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- *დონე 2:* აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) საბაზრო მონაცემები
- დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო მონაცემებს (არასაბაზრო მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე შესაძლებელია, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში:

	კონსოლიდირებული								ინდივიდუალური							
	31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.				31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	14,751	-	**14,751**	-	10,836	-	**10,836**	-	14,663	-	**14,663**	-	10,836	-	**10,836**
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	43,516	-	**43,516**	-	38,711	-	**38,711**	-	43,516	-	**43,516**	-	38,711	-	**38,711**
ვადიანი ანაბრები	-	3,386	-	**3,386**	-	4,237	-	**4,237**	-	3,386	-	**3,386**	-	4,237	-	**4,237**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,948	-	-	**1,948**	-	1,121	-	**1,121**	1,948	-	-	**1,948**	-	1,121	-	**1,121**
სულ აქტივები	1,948	**61,653**	-	**63,601**	-	**54,905**	-	**54,905**	1,948	**61,565**	-	**63,513**	-	**54,905**	-	**54,905**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	2,186	-	**2,186**	-	1,430	-	**1,430**	-	2,176	-	**2,176**	-	1,430	-	**1,430**
სულ ვალდებულებები	-	**2,186**	-	**2,186**	-	**1,430**	-	**1,430**	-	**2,176**	-	**2,176**	-	**1,430**	-	**1,430**

(ii) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება:

	კონსოლიდირებული								ინდივიდუალური							
	31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.				31 დეკემბერი, 2021 წ.				31 დეკემბერი, 2020 წ.			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	470	-	**470**	-	121	-	**121**	-	470	-	**470**	-	121	-	**121**
სულ აქტივები	-	**470**	-	**470**	-	**121**	-	**121**	-	**470**	-	**470**	-	**121**	-	**121**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე და მესამე დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმრავლესობა მოკლევადიანია. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთებზე და ამიტომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

(ა) სესხები და მისაღები ანგარიშები; (ბ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვეკატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომლებიც ასეთად კლასიფიცირდება თავდაპირველი აღიარებისას, და (ii) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. საანგარიშგებო თარიღისთვის (ასევე 2020 ფინანსურ წელს) ყველა ფინანსური აქტივი, გარდა დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, მიეკუთვნებოდა (ა) სესხებსა და მისაღებ ანგარიშებს. დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდა, როგორც (გ) დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხებოდა.

(გ) წარმოებული ფინანსური აქტივები

წარმოებული ფინანსური აქტივები შედგება სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებისგან, რომლებიც გამოიყენება სავალუტო კურსის ცვალებადობით გამოწვეული რისკის სამართავად. წარმოებული აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება სავალუტო კურსები, რომლებიც პირდაპირ მოიძებნება აქტიური ბაზრიდან.

(დ) ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად შემდეგი რისკები აქვს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოცულობით აქვს ჯგუფს ზემოაღნიშნული რისკები, აგრეთვე რისკის შეფასებისა და მართვის რა მიზნები, პოლიტიკა და პროცესები აქვს ჯგუფს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ხელმძღვანელობის შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად ხდება.

ჯგუფი გარკვეულ რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეყრდნობა, ძირითადად, კონტრაჰენტის გადახდისუნარიანობასთან, საიმედოობასთან და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში: გაცემული ფინანსური გარანტიების შემთხვევაში, საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოადგენს აღებული ვალდებულების თანხას.

საკრედიტო რისკის მოცულობა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტისთვის.

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
საბანკო ანაბრები	46,904	42,948	46,904	42,948
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	33,366	22,503	33,366	22,503
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,751	10,836	14,663	10,797
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	4,427	3,727	4,427	3,727
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	3,887	3,048	3,887	3,048
დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,903	1,116	2,903	1,116
სხვა აქტივები	742	46	684	45
წარმოებული ფინანსური აქტივები	470	121	470	121
საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა	**107,450**	**84,345**	**107,304**	**84,305**

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების ვადიანობა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო:

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური						
ათას ლარში	საერთო 2021 წ.	გაუფასურება, 2021 წ.	წმინდა 2021 წ.	საერთო 2020 წ.	გაუფასურება, 2020 წ.	წმინდა 2020 წ.
ვადაგადაუცილებელი	29,199	-	29,199	19,247	-	19,247
0-30 ვადაგადაცილებული დღე	4,059	215	3,844	3,182	90	3,092
30-90 ვადაგადაცილებული დღე	384	115	269	221	120	101
91-180 ვადაგადაცილებული დღე	203	157	46	267	227	40
181-270 ვადაგადაცილებული დღე	95	88	7	182	165	17
271-365 ვადაგადაცილებული დღე	73	72	1	96	90	6
ერთ წელზე მეტ ხნით ვადაგადაცილებული	919	919	-	617	617	-
სულ	**34,932**	**1,566**	**33,366**	**23,812**	**1,309**	**22,503**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით, რადგან ხდება პოლისების გაუქმება და ამ პოლისებთან დაკავშირებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვიც ანალოგიურად უქმდება, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ დამზღვევს არ სურს ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდა.

ხელმძღვანელობა სადაზღვევო პოლისებს გაუფასურებულად მიიჩნევს მათი 30 დღით ვადაგადაცილების შემდეგ.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობაში მოყვანა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური ინსტიტუტების მართვისთვის, ჯგუფის ჩათვლით. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციებს ხელმძღვანელობა თვეში ერთხელ ამოწმებს.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

	კონსოლიდირებული				
ათას ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-5 წელი	სულ
31-დეკ-21					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,751	-	-	-	**14,751**
საბანკო ანაბრები	3,315	14,355	11,655	17,579	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	34	361	300	2,208	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	430	40	-	**470**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10,374	9,676	12,799	517	**33,366**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	-	2,946	941	-	**3,887**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	4,427	-	**4,427**
სხვა აქტივები	150	272	177	143	**742**
ფინანსური აქტივები, სულ	**28,624**	**28,040**	**30,339**	**20,447**	**107,450**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	6,120	5,259	296	178	**11,853**
გადასახდელი საკომისიო	187	13,985	1,462	-	**15,634**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	326	1,629	1,629	4,235	**7,819**
საიჯარო ვალდებულებები	-	350	503	617	**1,470**
ფინანსური ვალდებულებები	182	911	1,093	-	**2,186**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	237	-	-	237
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	4,133	**4,133**
სხვა ვალდებულებები	150	749	749	150	**1,798**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**6,965**	**23,120**	**5,732**	**9,313**	**45,130**
წმინდა ვადიანობის გეპი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,659	4,920	24,607	11,134	62,320

ათას ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-5 წელი	სულ
31-დეკ-20					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,836	-	-	-	**10,836**
საბანკო ანაბრები	2,221	5,888	3,887	30,952	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14	2	-	1,100	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	45	76	-	121
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	8,453	6,738	6,686	626	**22,503**
გადამზღვეველისგან მისაღები პრემიები	-	2,653	395	-	**3,048**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	3,727	-	**3,727**
სხვა აქტივები	4	19	19	4	**46**
ფინანსური აქტივები, სულ	21,528	15,345	14,790	32,682	84,345
ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	4,778	3,796	407	173	**9,154**
გადასახდელი საკომისიო	157	11,436	1,299	-	**12,892**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	365	1,824	1,824	4,742	8,755
საიჯარო ვალდებულებები	-	399	477	574	**1,450**
ფინანსური ვალდებულებები	119	596	715	-	**1,430**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	1,226	-	-	**1,226**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	2,615	**2,615**
სხვა ვალდებულებები	128	640	640	128	**1,536**
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,547	19,917	5,362	8,232	39,058
წმინდა ვადიანობის გეპი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**15,981**	**(4,572)**	**9,428**	**24,450**	**45,287**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

	ინდივიდუალური				
ათას ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-5 წელი	სულ
31-დეკ-21					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,663	-	-	-	**14,663**
საბანკო ანაბრები	3,315	14,355	11,655	17,579	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	34	361	300	2,208	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	430	40	-	**470**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	10,374	9,676	12,799	517	**33,366**
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	-	2,946	941	-	**3,887**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	4,427	-	4,427
სხვა აქტივები	145	248	148	143	684
ფინანსური აქტივები, სულ	28,531	28,016	30,310	20,447	**107,304**
ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	6,120	5,259	296	178	**11,853**
გადასახდელი საკომისიო	187	13,985	1,462	-	**15,634**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	326	1,629	1,629	4,235	**7,819**
საიჯარო ვალდებულებები	-	334	478	602	**1,414**
ფინანსური ვალდებულებები	181	907	1,088	-	**2,176**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	237	-	-	**237**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	4,133	**4,133**
სხვა ვალდებულებები	149	746	746	150	**1,791**
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,963	23,097	5,699	9,298	**45,057**
წმინდა ვადიანობის გეპი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**21,568**	**4,919**	**24,611**	**11,149**	**62,247**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-5 წელი	სულ
31-დეკ-20					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,797	-	-	-	**10,797**
საბანკო ანაბრები	2,221	5,888	3,887	30,952	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14	2	-	1,100	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	45	76	-	**121**
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	8,453	6,738	6,686	626	**22,503**
გადამზღვეველისგან მისაღები პრემიები	-	2,653	395	-	**3,048**
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	-	-	3,727	-	**3,727**
სხვა აქტივები	4	18	19	4	**45**
ფინანსური აქტივები, სულ	**21,489**	**15,344**	**14,790**	**32,682**	**84,305**
ვალდებულებები					
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	4,778	3,796	407	173	**9,154**
გადასახდელი საკომისიო	157	11,436	1,299	-	**12,892**
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	365	1,824	1,824	4,742	**8,755**
საიჯარო ვალდებულებები	-	386	477	574	**1,437**
ფინანსური ვალდებულებები	119	595	713	-	**1,427**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	1,226	-	-	**1,226**
წილობრივი გადახდის ვალდებულება	-	-	-	2,615	2,615
სხვა ვალდებულებები	125	623	619	128	**1,495**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,544**	**19,886**	**5,339**	**8,232**	**39,001**
წმინდა ვადიანობის გეპი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**15,945**	**(4,542)**	**9,451**	**24,450**	**45,304**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iv) ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი ვადიანობის ანალიზს იყენებს თავისი ლიკვიდურობის რისკის სამართავად. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა, ხელშეკრულებების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან ერთ წელიწადში უნდა დაიფაროს, გარდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი ვალდებულებისა. ხელმძღვანელობის შეფასებით, სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გამო ფულადი ნაკადების გადინების ვადა ერთ წელს არ აღემატება.

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

ჯგუფის საბაზრო რისკის მოცულობის შემცირების მიზნით, აქტივების განაწილებისა და პორტფელის ლიმიტის სტრუქტურების მონიტორინგისთვის დანერგილია შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.

(vi) სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია ერთზე მეტ ვალუტაში. თუ ერთ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მასზე შეიძლება არასახარბიელოდ იმოქმედოს სავალუტო კურსების ცვლილებებმა.

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მუდმივად მოახდინოს სავალუტო კურსების ცვალებადობისა და სავალუტო ბაზრების მონიტორინგი. ჯგუფის მიზანია, დახუროს სავალუტო პოზიციები და უზრუნველყოს ღია სავალუტო პოზიციის მუდმივად ლიმიტებში მოქცევა.

ჯგუფს სავალუტო რისკი, ძირითადად, ექმნება აშშ-ში და ევროში გამოხატული სადაზღვევო დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გამო. ჯგუფის სავალუტო რისკები ასეთია:

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური

ათას ლარში	აშშ-ში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2021 წ.	ევროში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2021 წ.	ლარში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2021 წ.	აშშ-ში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2020 წ.	ევროში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2020 წ.	ლარში გამოხატული, 31 დეკემბერი, 2020 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,038	356	13,357	135	11	10,690
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	14,709	1,064	17,593	12,803	1,052	8,648
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	2,244	1,545	98	2,273	792	(17)
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,357	-	1,546	-	-	-
სხვა დებიტორული დავალიანება	5	14	1,880	-	-	-
გადაცემული წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილ რეზერვებში	702	286	7,886	533	327	6,649
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	(1,844)	(591)	(50,526)	(1,671)	(1,083)	(35,773)
გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება	(5,848)	(1,143)	(828)	(7,552)	(1,081)	(121)
საიჯარო ვალდებულებები	(1,413)	-	(57)	(1,437)	-	(12)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(818)	(332)	(4,365)	(809)	169	(790)
რისკის წმინდა საბალანსო მოცულობა	**10,132**	1,199	(13,416)	4,275	**187**	**(10,726)**
წარმოებული ინსტრუმენტები	(11,140)	-	11,610	(3,113)	-	3,234
რისკის ნეტო ოდენობა	**(1,008)**	**1,199**	**(1,806)**	**1,162**	**187**	**(7,492)**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო კურსი 2021	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი, 2021 წ.
აშშ დოლარი	3.2209	3.0976
ევრო	3.8140	3.5040

ლარში	საშუალო კურსი 2020	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი, 2020 წ.
აშშ დოლარი	3.1097	3.2766
ევრო	3.5519	4.0233

მგრძნობელობის ანალიზი

გონივრულობის ფარგლებში, ლარის მოსალოდნელი გამყარება (გაუფასურება) 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, შემდეგ გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალისა და წმინდა მოგებისა თუ ზარალის ოდენობაზე. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

ათას ლარში	გამყარება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი	გაუფასურება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი
31 დეკემბერი, 2021 წ.		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	171	(171)
ევრო (20%-იანი ცვლილება)	(204)	204
31 დეკემბერი, 2020 წ.		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	(198)	198
ევრო (20%-იანი ცვლილება)	(32)	32

(vii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ჯგუფს დაბალი რისკი აქვს მცოცავი განაკვეთის მქონე პროცენტიან ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. საპროცენტო განაკვეთის რისკის მქონე ფინანსური აქტივები წარმოდგენილია დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით, რაც შეადგენს მთლიანი საკრედიტო რისკის მოცულობის მხოლოდ 2.8%-ს, შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი რისკი.

(viii) ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებების მიმოხილვა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობები/ზარალები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ცალ-ცალკე ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს და ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის:

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული					ინდივიდუალური				
ათას ლარში	აქტივები, რომლებიც არ არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები		აქტივები, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია		აქტივების სამართლიანი ღირებულება	აქტივები, რომლებიც არ არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები		აქტივები, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია		აქტივების სამართლიანი ღირებულება
	სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)	სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)		სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)	სამართლიანი ღირებულება	წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებიდან შემოსულობა/ (ზარალი)	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,751	-	**14,751**	-	-	14,663	-	**14,663**
საბანკო ანაბრები	-	-	46,904	-	**46,904**	-	-	46,904	-	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	2,903	-	**2,903**	-	-	2,903	-	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	470	470	-	-	**470**	470	470	-	-	**470**
სხვა აქტივები	-	-	742	-	**742**	-	-	684	-	**684**
სულ ფინანსური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**470**	**470**	**65,300**	**-**	**65,770**	**470**	**470**	**65,154**	**-**	**65,624**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	10,836	-	**10,836**	-	-	10,797	-	**10,797**
საბანკო ანაბრები	-	-	42,948	-	**42,948**	-	-	42,948	-	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,116	-	**1,116**	-	-	1,116	-	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	121	121	-	-	**121**	121	121	-	-	**121**
სხვა აქტივები	-	-	46	-	**46**	-	-	45	-	**45**
სულ ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**121**	**121**	**54,946**	**-**	**55,067**	**121**	**121**	**54,906**	**-**	**55,027**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული	აქტივების საბალანსო ღირებულება (ბასს 39), რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები და გაანალიზებული საკრედიტო რეიტინგის მიხედვით						
ათას ლარში	BB+	BB	BB-	B+	B-	რეიტინგის გარეშე	სულ საბალანსო ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,733	5	-	13	**14,751**
საბანკო ანაბრები	-	-	33,895	13,009	-	-	**46,904**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	503	2,093	-	307	-	**2,903**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	742	**742**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	503	**50,721**	13,014	307	**755**	**65,300**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	-	10,813	6	-	12	**10,836**
საბანკო ანაბრები	-	-	28,905	14,043	-	-	**42,948**
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	502	614	-	-	-	**1,116**
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	46	**46**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5**	**502**	**40,332**	14,049	-	**58**	**54,946**

34 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური	აქტივების საბალანსო ღირებულება (ბასს 39), რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები და გაანალიზებული საკრედიტო რეიტინგის მიხედვით						
ათას ლარში	BB+	BB	BB-	B+	B-	რეიტინგის გარეშე	სულ საბალანსო ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,645	5	-	13	14,663
საბანკო ანაბრები	-	-	33,895	13,009	-	-	46,904
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	503	2,093	-	307	-	2,903
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	684	684
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**503**	50,633	**13,014**	**307**	697	65,154
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	-	10,774	6	-	12	10,797
საბანკო ანაბრები	-	-	28,905	14,043	-	-	42,948
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	502	614	-	-	-	1,116
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-	-	45	45
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5**	**502**	**40,293**	**14,049**	-	**57**	54,906

35 პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლოში საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გამოდის ძირითადად ზარალთან ან სუბროგაციის გადახდებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების მხარედ. საანგარიშგებო თარიღისთვის არ მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი სასამართლო დავები, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ოთხი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოებს, შეიძლება, ხელმძღვანელობისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდეთ და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი მოსაზრების დამტკიცებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე. (შენიშვნა 30)

36 დაკავშირებული მხარეები

(ა) ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ხელმძღვანელ პირებში შედიან დირექტორები (აღმასრულებელი).

	2021		2020	
ათას ლარში	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**
მოკლევადიანი სარგებელი				
ხელფასები და პრემიები	2,438	1,235	1,657	799
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები				
სახელმწიფო პენსია და დაზღვევა	20	-	12	-
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია				
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია				
წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით	1,517	4,133	1,228	2,615
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**3,975**	**5,368**	**2,897**	**3,414**

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

(ბ) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან მიმდინარე ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

კონსოლიდირებული	2021				2020			
ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	14,731	-	100%	-	10,667	-	100%
საბანკო ანაბრები	-	17,557	-	37%	-	12,625	-	29%
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	470	-	100%	-	121	-	100%
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	1,308	-	45%	-	-	-	-
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	-	3,585	339	12%	-	3,081	314	15%
სხვა აქტივები	-	3	-	31%	-	-	-	0%
სულ აქტივები	**-**	**37,654**	**339**	**31%**	**-**	**26,494**	**314**	**28%**
ვალდებულებები								
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	-	8,672	480	17%	-	8,784	478	24%
გადასახდელი საკომისიო	-	13,390	-	86%	-	11,009	-	85%
საიჯარო ვალდებულებები	-	143	-	10%	-	65	-	4%
სულ ვალდებულებები	**-**	**22,205**	480	26%	-	19,858	478	29%
საკუთარი კაპიტალი								
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	7,003	-	-	100%	4,997	-	-	100%
სულ საკუთარი კაპიტალი	**7,003**	-	-	21%	4,997	-	-	19%

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული	2021				2020			
ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი
მოგება-ზარალის ანგარიშგება								
გამომუშავებული პრემია	-	44,471	1,316	45%	-	38,136	999	47%
საპროცენტო შემოსავალი	-	2,345	-	41%	-	1,929	-	42%
დამდგარი ზარალი	-	(16,486)	(752)	33%	-	(13,401)	(703)	-36%
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	-	(3)	-	4%	-	(178)	-	76%
აკვიზიციის ხარჯები	-	(13,126)	-	71%	-	(10,634)	-	67%
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი	-	401	-	-502%	-	(256)	-	-55%
	-	**17,602**	**564**		**-**	**15,596**	**296**	

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	2021					2020				
ათას ლარში	მშობელი კომპანია	შვილობილი კომპანიები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი კომპანია	შვილობილი კომპანიები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი
აქტივები										
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	14,731	-	100%	-	-	10,667	-	100%
საბანკო ანაბრები	-	-	17,557	-	37%	-	-	12,625	-	29%
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	-	4,426	-	-	100%	-	2,900	-	-	100%
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	470	-	100%	-	-	121	-	100%
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,308	-	45%	-	-	-	-	-
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	-	13	3,585	339	12%	-	2	3,081	314	15%
სხვა აქტივები	-	-	3	-	0%	-	-	-	-	0%
სულ აქტივები	-	**4,439**	37,654	**339**	**34%**	-	**2,902**	**26,494**	314	**30%**
ვალდებულებები										
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	-	-	8,672	480	17%	-	-	8,784	478	24%
გადასახდელი საკომისიო	-	-	13,390	-	86%	-	-	11,009	-	85%
ფინანსური ვალდებულებები	-	3	-	-	0%	-	-	-	-	0%
საიჯარო ვალდებულებები	-	-	143	-	10%	-	-	65	-	5%
სულ ვალდებულებები	-	**3**	22,205	**480**	**26%**	-	-	**19,858**	478	**29%**
საკუთარი კაპიტალი										
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	7,003	-	-	-	100%	4,997	-	-	-	100%
სულ საკუთარი კაპიტალი	**7,003**	-	-	-	**19%**	**4,997**	-	-	-	**17%**

36 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდულური

ათას ლარში	2021					2020				
	მშობელი კომპანია	შვილობილი კომპანიები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი	მშობელი კომპანია	შვილობილი კომპანიები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა	მთლიანის პროცენტული წილი
მოგება-ზარალის ანგარიშგება										
გამომუშავებული პრემია	-	40	44,471	1,316	45%	-	1	38,136	999	47%
საპროცენტო შემოსავალი	-	-	2,345	-	41%	-	-	1,929	-	42%
დამდგარი ზარალი	-	(13)	(16,486)	(752)	33%	-	(11)	(13,401)	(703)	36%
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალი	-	-	(3)	-	4%	-	-	(178)	-	76%
აკვიზიციის ხარჯები	-	-	(13,126)	-	71%	-	-	(10,634)	-	67%
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი	-	-	401	-	-521%	-	-	(256)	-	-54%
	-	**27**	**17,602**	**564**		**-**	**(10)**	**15,596**	**296**	

დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებულ საბანკო ანაბრებზე დარიცხული წლიური პროცენტი 10.55%-დან 14.30%-მდეა.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებში შედიან საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიები.

სხვა დაკავშირებული მხარეები, ძირითადად, მოიცავს საჯარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის ჯგუფის" წამყვან ხელმძღვანელობასა და საჯარო სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის ჯგუფის" წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

შვილობილი კომპანიები ის ინვესტიციის ობიექტებია, სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან (i) შეუძლია წარმართოს ინვესტიციის ობიექტის ის საქმიანობები, რომლებიც მის უკუგებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს, (ii) აქვს ინვესტიციის ობიექტში მონაწილეობის შედეგად ცვლად უკუგებასთან დაკავშირებული რისკი და უფლებები, და (iii) შეუძლია გამოიყენოს ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენა და იმოქმედოს ინვესტორის უკუგების ოდენობაზე. სხვა საწარმოზე ჯგუფის გავლენის შეფასებისას ხდება არსებითი უფლებების, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, არსებობის და ეფექტის გათვალისწინება. იმისათვის, რომ უფლება არსებითად ჩაითვალოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობების წარმართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის ობიექტზე მაშინაც კი, როდესაც მისი ხმის უფლებების ნახევარს ან ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ადარებს თავის ხმის უფლებათა რაოდენობას სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან, რათა განსაზღვროს აქვს თუ არა ფაქტობრივი გავლენა ინვესტიციის ობიექტზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა უფლებები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციის ობიექტის საქმიანობაში ფუნდამენტურ ცვლილებებს ან გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ჯგუფს ინვესტიციის ობიექტის გაკონტროლებაში ხელს არ უშლის. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირდება იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფს გადაეცემა კონტროლი და მათი დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

(ბ) ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელზეც კომპანიას კონტროლი აქვს. კონტროლი ხორციელდება მაშინ, როდესაც ინვესტორი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვალებადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილი ან მეკავშირე საწარმოსგან მიღებული დივიდენდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც განისაზღვრება მის მიერ დივიდენდის მიღების უფლება.

ბასს 36-ის მოთხოვნების საფუძველზე განისაზღვრება, არის თუ არა საჭირო გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ საწარმოში კომპანიის ინვესტიციასთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) მოწმდება გაუფასურებაზე ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, როგორც ერთი აქტივი. ამისათვის ხდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების (გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი) შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. გაუფასურების ზარალის შემობრუნების აღიარება ხდება ბასს 36-ის მიხედვით იმდენად, რამდენადაც შემდგომში გაიზრდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

(გ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება ლარში ხდება სამუშაო ვალუტის ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაანგარიშებულია ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად.

გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) სადაზღვევო ხელშეკრულებები

(i) ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებებს განეკუთვნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა გაფორმებითაც ჯგუფი კისრულობს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარის („დამზღვევი“) წინაშე იმით, რომ თანხმდება, დამზღვევს ან სხვა მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი, თუ მომავალში დამდგარი გაუთვალისწინებელი შემთხვევა („სადაზღვევო შემთხვევა“) უარყოფითად იმოქმედებს დამზღვევზე ან სხვა მოსარგებლეზე.

სადაზღვევო რისკი არის რისკი, რომელიც ფინანსური რისკი არაა.

ფინანსური რისკი ერთი ან რამდენიმე ისეთი მაჩვენებლის ცვლილების რისკია, როგორებიცაა: განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი, ფინანსური ინსტრუმენტის ფასი, სასაქონლო ღირებულება, სავალუტო გაცვლითი კურსი, განაკვეთების ან ფასის ინდექსი, საკრედიტო რეიტინგი ან საკრედიტო ინდექსი თუ სხვა ცვლადები. არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს დამახასიათებელი ხელშეკრულების მხარისათვის. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ასევე შეიძლება გადავიდეს გარკვეული ფინანსური რისკი.

სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჯგუფს შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება მოუხდეს. მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება კლასიფიცირდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, იგი რჩება ამ კატეგორიაში მანამ, სანამ

ამოიწურება ან შესრულდება ყველა უფლება-მოვალეობა. ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც დამზღვევიდან ჯგუფზე გადაცემული სადაზღვევო რისკი არ არის მნიშვნელოვანი, ფინანსურ ინსტრუმენტებად კლასიფიცირდება.

ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებად აღირიცხება.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) ხელშეკრულებების აღიარება და შეფასება

პრემიები

მთლიანი მოზიდული პრემიები მოიცავს წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების პრემიებს განურჩევლად იმისა, მთლიანად თუ ნაწილობრივ უკავშირდებიან ისინი გვიანდელ სააღრიცხვო პერიოდს. პრემიების გაცხადება ხდება შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოს ჩათვლით და პრემიებზე დარიცხული გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. მოზიდული პრემიების გამომუშავებული ნაწილის აღიარება შემოსავალში ხდება. პრემიები გამომუშავებულია რისკის მინიჭების თარიღიდან, ზარალის ანაზღაურების პერიოდის განმავლობაში, დღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით. გადაზღვევის გამავალი პრემიების აღიარება ხდება ხარჯად, დღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით. გადაზღვევის გამავალი პრემიების ის ნაწილი, რომელიც ხარჯად არ აღიარდება, აღირიცხება ავანსის სახით.

პოლისების გაუქმება

პოლისების გაუქმება ხდება მაშინ, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ დამზღვევს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიების გადახდის გაგრძელება. შესაბამისად, გაუქმება მეტწილად მოქმედებს იმ პოლისებზე, რომლებზეც პრემიები გადაიხდება ნაწილ-ნაწილ პოლისის ვადის განმავლობაში.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი მოიცავს მთლიანი მოზიდული პრემიების იმ წილს, რომლის გამომუშავებაც პროგნოზირებულია მომდევნო ან ამის შემდგომ ფინანსურ წლებში და თითოეული სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის ცალკე, დღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით, გამოითვლება.

(iii) მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერები

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვის მიხედვით დაკორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს აღარ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ეს უკანასკნელი მოიცავს ადგილობრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ ჯარიმებს. პრემიები ჩამოსაწერად ფასდება ან კოლექტიურად, ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე, ან ინდივიდუალურად, პრემიის სეგმენტისა და კლიენტის ტიპის მიხედვით.

(iv) სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

დაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება წარმოებს სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და ფასდება თვითღირებულებით. სადაზღვევო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების გასტუმრება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სადაზღვევო ზარალი

წმინდა დარეგულირებული ზარალი შედგება ფინანსური წლის განმავლობაში დარეგულირებული ზარალისგან, შეტყობინებული ზარალისთვის შექმნილ რეზერვში მოძრაობასთან ერთად. აუნაზღაურებელი ზარალი შედგება ჯგუფის მიერ დამდგარი, მაგრამ გადაუხდელი ზარალის ანაზღაურების საბოლოო დანახარჯის პროგნოზის მიხედვით შექმნილი რეზერვებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ზარალი განცხადებულია თუ არა.

შეტყობინებული ზარალი ფასდება ცალკეული ზარალის შემოწმებით და რეზერვის შექმნით დამდგარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალისთვის და შიდა და გარე პროგნოზირებადი შემთხვევების ეფექტისთვის, როგორიცაა

მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები, მიღებული გამოცდილება და წარსულში არსებული ტენდენციები. შეტყობინებული ზარალის რეზერვების დისკონტირება არ ხდება.

გადაზღვევიდან და სუბროგაციიდან მოსალოდნელი ანაზღაურების აღიარება ცალკე ხდება აქტივებად. გადაზღვევიდან და სუბროგაციიდან ანაზღაურება ფასდება შეტყობინებული ზარალის შეფასების ანალოგიურად.

ზარალის თანხების წინა წლებში შექმნილი რეზერვების კორექტირება აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელშიც შევიდა კორექტირებები და, თუ არსებითია, ცალკე აღირიცხება. გამოყენებული მეთოდებისა და გაკეთებული პროგნოზების გადამოწმება რეგულარულად ხდება.

(v) გადაზღვევა

ჯგუფი გადაზღვევას გადასცემს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რათა შეამციროს თავისი პოტენციური წმინდა ზარალი გადამზღვევლებზე რისკის ნაწილობრივი გადაცემით. გადაზღვევის ხელშეკრულებები ჯგუფს არ ათავისუფლებს თავისი დამზღვევების წინაშე აღებული პირდაპირი ვალდებულებებისგან.

გადაცემული პრემიები და ანაზღაურებული სარგებელი წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოგებაში ან ზარალში მთლიანი თანხებით.

გადაზღვევის აქტივები მოიცავს გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს გადაცემული სადაზღვევო ვალდებულებებისთვის. გადაზღვევიდან ამოღებადი თანხების პროგნოზირება ხდება იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვს ან გადაზღვევის პოლისებთან დაკავშირებულ დარეგულირებულ ზარალს.

გადაზღვევის აღებული პრემიების შემოსავლად აღიარება ხდება და აღირიცხება ისე, თითქოს გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად მიიჩნეოდეს, გადაზღვეული გარიგების პროდუქტების კლასიფიკაციის გათვალისწინებით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადაზღვევის ხელშეკრულებების თანახმად ამოღებადი თანხების გაუფასურება ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. ასეთი აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ დამდგარი მოვლენის შედეგად ჩნდება ობიექტური ნიშნები იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს ვალდებულებები და როდესაც ამ მოვლენას სარწმუნოდ შეფასებადი გავლენა აქვს ჯგუფის მიერ გადამზღვევლისგან მისაღებ თანხებზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხოლოდ ის უფლებები აღირიცხება გადაზღვევის აქტივებად, რომლებიც განაპირობებენ სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვან გადაცემას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები, რომლებიც არ გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, აღირიცხება ფინანსურ ინსტრუმენტებად.

(vi) გადავადებული საკომისიო შემოსავალი

ჯგუფი იღებს საკომისიოს გადამზღვევლებისთვის პრემიების გადაცემისთვის. ამ ტიპის საკომისიოს აღიარება ხდება სადაზღვევო საქმიანობიდან მოგებაში ან ზარალში. საკომისიო შემოსავალი გადაცემული გადაზღვევის პრემიებიდან, რომლებიც წარმოადგენს ამოღებულ აკვიზიციურ ხარჯებს, ამცირებს არაამორტიზებულ აკვიზიციურ ხარჯებს იმგვარად, რომ წმინდა აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და

აღირიცხება ხარჯებში აღიარებული წმინდა სადაზღვევო შემოსავლის პროპორციულად. გადაცემული გადაზღვევიდან გადავადებულ საკომისიო შემოსავალში ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებში.

(vii) გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

აკვიზიციური ხარჯები, რომლებიც წარმოადგენს სადაზღვევო აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილ საკომისიოებს და აკვიზიციასთან პირდაპირ დაკავშირებული სხვა ხარჯები გადავადდება და ამორტიზდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მოხდა შესაბამისი მოზიდული პრემიების გამომუშავება იმდენად, რამდენადაც ეს დანახარჯები ამოღებადია მომავალი პრემიებიდან. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მცირდება მომავალ პერიოდებთან დაკავშირებულ გაუფასურებულ სადაზღვევო პოლისებზე გადასახდელი საკომისიოებით.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს მიაკუთვნებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას. ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს მიაკუთვნებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი სესხებისა და მისაღები ანგარიშების თავდაპირველად აღიარებს მათი შექმნის დღეს. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია გარიგების იმ თარიღისთვის, როდესაც ჯგუფი ხდება ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

(ii) ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).წარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო ხელშეკრულებები, აღირიცხება მათი სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი ამ ინსტრუმენტებზე ჰეჯირების აღრიცხვას არ აწარმოებს.

(iii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს მიაკუთვნებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიას. ასეთი ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. აღნიშნული ურთიერთგაქვითვის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალში რამე კონკრეტულ მოვლენაზე და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად აღსრულებადი ყველა ქვემოთ მოყვანილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(v) სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის ფინანსური აქტივების ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდების მქონე კატეგორია, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ასეთი ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება, რასაც შემდეგ ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი.

(vi) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთებისგან და მოთხოვნამდე ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ შეძენის თარიღიდან სამ თვემდე ვადა და შეიცავენ მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(vii) შემდგომი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, შემოსულობის ან ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარება წყდება ან ფინანსური აქტივი ან ვალდებულება უფასურდება, და ამორტიზაციის პროცესის მეშვეობით.

(ვ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებისა და აქციის ოფციონებისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი ზღვრული ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

(ზ) დივიდენდები

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცდებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „ანგარიშგების შემდგომი მოვლენების“ თავში.

(თ) შვილობილი კომპანიების შესყიდვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისგან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისგან შვილობილი კომპანიების შესყიდვა აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდით, წინამორბედი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის მიხედვით, გაერთიანებული საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია, ისე, თითქოს ბიზნესები გაერთიანებული წარმოდგენილთაგან უადრესი პერიოდის დასაწყისიდან და, თუ უფრო გვიან, იმ თარიღიდან, როდესაც გაერთიანებული საწარმოები პირველად დაექვემდებარა საერთო კონტროლს. საერთო კონტროლის ქვეშ გადაცემული შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წინამორბედი საწარმო მიიჩნევა უმსხვილეს ანგარიშვალდებულ საწარმოდ, რომელშიც შვილობილი კომპანიის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ინფორმაცია კონსოლიდირდა. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველ შეძენასთან დაკავშირებული გუდვილი ასევე ასახულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერი სხვაობა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას, წინამორბედი საწარმოს გუდვილის ჩათვლით, და შესყიდვის ანაზღაურების თანხას შორის, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალში სხვა რეზერვების კორექტირება.

(ი) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ძირითადი საშუალებების ნებისმიერი ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების მუხლში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟების და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის თარიღიდან ან, შიდა რესურსებით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც დასრულდა აქტივის შექმნა და იგი ექსპლუატაციისთვის მზად არის. ცვეთა ეყრდნობა აქტივის თვითღირებულება, რომელიც შემცირებულია მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულებით. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ავეჯისა და ინვენტარის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები 5-დან 10 წლამდე მერყეობს; საიჯარო ქონების გაუმჯობესების სასარგებლო მომსახურების ვადაა შესაბამისი იჯარის ვადა და, თუ იჯარის ვადა განსაზღვრული არ არის, მაქსიმუმ, 7 წელი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია. ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(კ) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. ჯგუფი სახელშეკრულებო ანაზღაურების თანხას საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე ანაწილებს მათი ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე.

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა,
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, გადახდილი იჯარის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული ნებისმიერი საიჯარო შეღავათით, ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით, და აქტივის საიჯარო ხელშეკრულებით სავალდებულო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯებით.
- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენის ხარჯი.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა, როგორც წესი, ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადები 1-დან 3 წლამდე მერყეობს.

(ლ) არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ და მათში, ძირითადად შედის, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება 1-დან 10 წლამდე სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(მ) გაუფასურება

(i) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებს აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ დამდგარ ზარალის შემთხვევაზე და იმაზე, რომ ეს შემთხვევა უარყოფითად მოქმედებს აქტივთან დაკავშირებით მოსალოდნელ იმ ფულად ნაკადებზე, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც სარწმუნოდ შეიძლება.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს:

- მსესხებლის მხრიდან გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ჯგუფის წინაშე ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია ისეთი პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ დათანხმდებოდა;
- მსესხებლის გაკოტრების ნიშნები;
- ეკონომიკური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ინდივიდუალური აქტივის, ისე კოლექტიურ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივის გაუფასურება ინდივიდუალურად ფასდება.

ის აქტივები, რომლებიც არ აღმოჩნდება გაუფასურებული, შემდეგ კოლექტიურად ფასდება გაუფასურებისთვის, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ გამოვლენილა. ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე აქტივების გაუფასურება კოლექტიურად ფასდება მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფებით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დეფოლტის ალბათობის, დავალიანების ამოღების ვადებისა და განცდილი ზარალის ოდენობის ისტორიულ ტენდენციებს, რომლებსაც შემდეგ აკორექტირებს მას შემდეგ, რაც განსჯის, ხომ არ არის არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ მოსალოდნელი ფაქტობრივი ზარალი ისტორიულ ტენდენციებზე უფრო მეტი ან ნაკლები იყოს.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება დებიტორული დავალიანების რეზერვის ანგარიშში. როდესაც ჯგუფი გადაწყვეტს, რომ აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, ჩამოწერს შესაბამის თანხებს. გაუფასურებულ აქტივზე კრძელდება პროცენტის აღიარება დისკონტის ამორტიზაციის გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა განაპირობებს გაუფასურების ზარალის შემცირებას და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ მოვლენას, გაუფასურების ზარალის შემცირება შემობრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვით.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში. ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკე ფულად ნაკადებს და გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ნაწილდება გონივრულობის და თანმიმდევრულობის პრინციპზე დაყრდნობით და მათი გაუფასურების ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ტესტირებასთან ერთად, რომელზეც ეს კორპორაციული აქტივია განაწილებული.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი შემობრუნდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

(ნ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი საიჯარო გადასახდელების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით,
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი გამოიყენებს ამ უფლებას, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია ჯგუფის მთელ რიგ საოფისე იჯარის ხელშეკრულებებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების გამოყენება შეუძლია მხოლოდ ჯგუფს და არა შესაბამის მეიჯარეს.

იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). საიჯარო გადახდები იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენების შემთხვევაში, რომელიც საკმარისად სარწმუნოა, ასევე მონაწილეობს ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არ შეიძლება, როგორც ეს ხშირად ხდება ჯგუფის იჯარების შემთხვევაში, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც ჯგუფი გადაიხდიდა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად ჯგუფი, როდესაც ეს შესაძლებელია, ამოსავალ წერტილად იყენებს ცალკეული მოიჯარის მიერ ბოლოს მიღებულ მესამე მხარის დაფინანსებას და აკორექტირებს ისე, რომ ასახოს ფინანსურ პირობებში მესამე მხარისგან დაფინანსების მიღების შემდეგ შესული ცვლილებები,

საიჯარო გადასახადები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

აღჭურვილობისა და ავტოტრანსპორტის მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივი მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები.

(ო) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

(iii) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი საგადასახადო დავალიანება საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთებისა, და წინა წლებთან მიმართებით საგადასახადო დავალიანების ნებისმიერი კორექტირების მიხედვით. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ასევე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებებს.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის.

ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გაცხადება.

(iv) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი ეხება დროებითი სხვაობებს აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრ ოდენობებს შორის. იგი არ ეხება შემდეგი სახის დროებით სხვაობებს: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მშობელ ბანკს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის შემობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შემობრუნდება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების რეალიზაციას ან დაფარვას 2023 წლის პირველ იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული, ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება 2023 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოქვითვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის შესაბამისი საგადასახადო სარგებლის გამოყენება.

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ უქნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოიქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

37 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ჯ) წილობრივი გადახდის ვალდებულება

2020 წელს სს „თიბისი დაზღვევამ“ დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლითაც ჩაანაცვლა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის 2019 წლის ანაზღაურების სქემა. ამ სქემის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად გადასცემს თავისი მშობელი კომპანიის (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“) აქციებს ხუთწლიანი ვადით (2019-2023).

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხება საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულების გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ვალდებულების დაფარვამდე.

თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებულია გარკვეული შედეგის მიღწევის და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავს ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად დააკორექტირებს ვალდებულებას.

ყოველი დარიცხვა ხდება დისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულების ამორტიზაცია ხდება საპროცენტო ხარჯის დარიცხვით (შესულია თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებში) ვალდებულების დაფარვის თარიღამდე. გამოიყენება ხუთწლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი.

38 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ – ცვლილება ფასს 16-ში (გამოშვებული 2020 წლის 28 მაისს და ძალაში შესული 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება ითვალისწინებს შეღავათს მოიჯარისთვის ნებაყოფლობითი გამონაკლისის სახით, იმის შეფასებისგან, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეს შეუძლია არჩიოს საიჯარო ქირის დათმობების აღრიცხვა ისე, თითქოს ისინი არ წარმოადგენს იჯარის მოდიფიკაციას. გამარტივებული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა: საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე; საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა; და იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

ჯგუფს არ მოულოდნელა საიჯარო ქირის დათმობაზე მეიჯარეებთან ქონების იჯარებთან დაკავშირებით და ცვლილების შემოღებას არ მოუხდენია რამე გავლენა აქტივის გამოყენების უფლებაზე.

38 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

2021 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა, მაგრამ ჯგუფზე რამე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

***საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის** (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი) ცვლილება - მეორე ფაზის ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში (გამოშვებული 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).* მეორე ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების გატარების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის შეცვლას ალტერნატიული კრიტერიუმით. ცვლილებები ეხება შემდეგ სფეროებს:

- ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში შესული ცვლილებების აღრიცხვა: იმ ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებსაც ეხება ამორტიზებადი ღირებულების შეფასება, ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს, რომ გამარტივებული მეთოდით აღრიცხონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის შეცვლა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად, ფასს 9-ის „ბ“ მუხლის 5.4.5. პუნქტის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით. ამასთან დაკავშირებით შემოსულობა ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს გამარტივებული მიდგომა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, როგორც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების პირდაპირი შედეგი, და თუ ახალი საფუძველი ეკონომიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურია წინა საფუძვლისა. ამავე გამარტივებული მიდგომის გამოყენება ევალებათ იმ დამზღვევებსაც, რომლებიც ფასს 9-დან დროებითი გამონაკლისით სარგებლობენ. ფასს 16-ში შესული ცვლილებაც მსგავსი გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მოითხოვს მოიჯარეებისგან, როდესაც აღრიცხავენ საიჯარო მოდიფიკაციებს, რომლებითაც იცვლება ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების შედეგად სამომავლო საიჯარო გადასახადების განსაზღვრის საფუძველი. ჰეჯირების ურთიერთობებში ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტებისთვის პირველი ფაზით გათვალისწინებული შეღავათის შეწყვეტის თარიღი: მეორე ფაზის ცვლილებების მიხედვით, საწარმო ვალდებულია, პერსპექტიულად შეწყვიტოს პირველი ფაზის შეღავათების გამოყენება ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტისთვის, როდესაც ხელშეკრულებაში დაუკონკრეტებელი რისკის კომპონენტში შედის ცვლილებები ან როდესაც წყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომლის თარიღიც უფრო ადრე დადგება. რისკის კომპონენტებისთვის პირველი ფაზის ცვლილებებში შეწყვეტის თარიღი არ იყო მოცემული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტული მოთხოვნების გამოყენებიდან: მეორე ფაზის ცვლილებები დამატებით შეღავათებს ითვალისწინებს, კერძოდ, დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების ურთიერთობების მიმართ ჰეჯირების აღრიცხვის ბასს 39-ისა და ფასს 9-ის მოთხოვნების შესრულებისგან, რომლებზეც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ცვლილებამ პირდაპირი გავლენა იქონია.
- ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის რეფორმასთან დაკავშირებით: ცვლილებები მოითხოვს განმარტებებს შემდეგზე: (i) როგორ ახერხებს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მისი გადასვლის პროგრესი და გადასვლასთან დაკავშირებული რისკები; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოებულ და არაწარმოებულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ჯერ არ გადასულა ამ განაკვეთებზე, ჩაშლილი მნიშვნელოვანი საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების მიხედვით და (iii) ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილების გამო რისკის მართვის სტრატეგიაში შესული ნებისმიერი ცვლილების აღწერა.

38 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის (IBOR) რეფორმის ეფექტი. სხვადასხვა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის რეფორმა და ჩანაცვლება პრიორიტეტად იქცა მარეგულირებელი ორგანოებისთვის. ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების უმეტესობა აღარ ქვეყნდებოდა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსები (ლიბორის ინდექსები) აშშ დოლარში აღარ ქვეყნდებოდა 2023 წლის 30 ივნისისთვის.

საანგარიშგებო თარიღისთვის, ასევე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ აქვს რისკი ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსებზე მიბმულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ვადაზე ადრე არ გამოუყენებია.

„აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“ - ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში (გამოვიდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან ამავე თარიღის შემდგომ). ეს ცვლილებები აწესრიგებს შეუსაბამობას ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, რომლებიც ეხება აქტივების გაყიდვას ან კაპიტალში შეტანას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის.

ამ ცვლილებების მთავარი ეფექტი ის არის, რომ ხდება სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, როცა გარიგება ეხება ბიზნესს. საკონტროლო შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ეხება აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, თუნდაც ამ აქტივებს ფლობდეს შვილობილი კომპანია.ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოშვებული 2018 წლის 18 მაისს და ძალაში შეყოფი 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ძალაში შესვლის თარიღი მოგვიანებით შეიცვალა 2023 წლის 1 იანვრით ფასს 17-ში შესული შესწორებების შედეგად, რაც ქვემოთ არის განხილული). ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება. ფასს 17 ეყრდნობა ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპს. სტანდარტით სავალდებულოა სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და შეფასება: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული დღევანდელი ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის დადებითი (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან უარყოფითი (თუ მიღებული რიცხვი აქტივია) მაჩვენებელი; (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე მიუღებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). დამზღვევები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ჯგუფი სტანდარტის გამოყენებას აპირებს მის მიერ გაცემულ ვალდებულების შესრულების გარანტიებზე და ამ ეტაპზე აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ასევე განიხილება პოტენციური გავლენა სესხებსა და მსგავს ინსტრუმენტებში ჩართულ სადაზღვევო პროდუქტებზე.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილებები ფასს 4-ში (გამოშვებული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს, რომელთა მიზანია ფასს 17-ის უფრო იოლად დანერგვა, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნისა და სტანდარტზე გადასვლის გამარტივება. ცვლილება შეეხო ფასს 17-ში ასახულ რვა საკითხს და მათი მიზანი არ არის სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლა. ფასს 17-ში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) ორი წლით გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის; ხოლო ფასს 9-ისა და ფასს 4-ის გამოყენებიდან დროებითი გამონაკლისების ვადის ამოწურვის ფიქსირებული თარიღი ასევე გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.
- აკვიზიციიდან ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ამოღება: საწარმო ვალდებულია აკვიზიციური ხარჯების ნაწილი გაანაწილოს შესაბამისი ხელშეკრულებების მოსალოდნელ განახლებებზე, და აღიაროს ეს დანახარჯები აქტივად, სანამ საწარმო აღიარებს ხელშეკრულებების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ აქტივის ამოღების შესაძლებლობის შეფასება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებებისთვის მიკუთვნებადი სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა: ცვალებადი გასამრჯელოს მეთოდით შედგენილი ხელშეკრულებებისა და ზოგადი მოდელის მიხედვით შედგენილი, „ინვესტიციაზე უკუგების მომსახურების“ შემცველი სხვა ხელშეკრულებებისთვის უნდა განისაზღვროს სადაზღვევო დაფარვის ერთეულები, ანაზღაურების რაოდენობისა და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ისე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი ვადის გათვალისწინებით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა აისახოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ საწარმო ამ საქმიანობას ეწევა დამზღვევისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ანაზღაურების გაზრდის მიზნით.
- გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის ამოღება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს წამგებიანი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, ან ჯგუფისთვის წამგებიანი ხელშეკრულებების დამატებისას, საწარმომ უნდა დააკორექტიროს გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა და აღიაროს შემოსულობა გაფორმებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებიდან ამოღებული ზარალის თანხა განისაზღვრება საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე სადაზღვევო მოთხოვნების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის ამოღებასაც საწარმო მოელის გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან აღიარების დროს.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

- სხვა ცვლილებები: სხვა ცვლილებებში შედის: ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) ხელშეკრულებისა და ზოგი სასესხო ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული გამონაკლისები; სადაზღვევო ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებად და არა ჯგუფებად; რისკის შემცირების ოფციონის გამოყენების შესაძლებლობა, როდესაც რისკების შემცირება ხდება გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებების და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით; ფასს 17-ის გამოყენების დროს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული პროგნოზების შესაცვლელად სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საშუალება; დამზღვევისთვის დაკისრებადი გადახდილი და მიღებული მოგების გადასახადის შეტანა სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებში, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ნაწილში; და სტანდარტზე გადასვლასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათები და სხვა წვრილ-წვრილი ცვლილებები.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.]

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. სტანდარტში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულების აღიარების და შეფასების მოთხოვნები. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება".

კლასიფიკაცია – ფინანსური აქტივები

ფასს 9-ში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის და შეფასების ახალი მიდგომა, რომელიც ასახავს აქტივების მართვის ბიზნესმოდელს და მათი ფულადი ნაკადების

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების სამ ძირითად კატეგორიას: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის არსებულ კატეგორიებს: დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული, სესხები და მისაღები ანგარიშები და გასაყიდად გამიზნული.

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია შეაფასებს ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც ფლობილია აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს ყველაზე კარგად ასახავს იმას, თუ როგორ იმართება ბიზნესი და როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას.

შეფასება იმისა, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები

ამ შეფასების მიზნით, ძირითადი თანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება საკრედიტო რისკისთვის, რომელიც უკავშირდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხას და დაკრედიტების სხვა ძირითადი რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები, კომპანიამ განიხილა ინსტრუმენტის ხელშეკრულების პირობები. ეს მოიცავს იმის შეფასებას, ფინანსური აქტივი შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობის დრო ან სიდიდე ისე, რომ მან ვერ დააკმაყოფილოს ეს პირობა.

<u>გაუფასურება – ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები</u>

ფასს 9 ჩაანაცვლებს „განცდილი ზარალი" მოდელს ბასს 39-ში საპროგნოზო „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" მოდელით. ამ მოდელს დასჭირდება დიდი დოზით განსჯის გამოყენება იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რაც განისაზღვრება ალბათობის შეწონის საფუძველზე.

ახალ გაუფასურების მოდელი გავრცელდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსურ აქტივებზე, გარდა ინვესტიციებისა წილობრივ ინსტრუმენტებში, და სახელშეკრულებო აქტივებზე. სადაზღვევო დებიტორული დავალიანება არ ექცევა ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების არეალში.

ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის რეზერვი შეფასდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის საფუძველზე:

- 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც არის საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დეფოლტის შესაძლო მოვლენების შედეგი; და

- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც არის ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგი ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოქმედებს თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და 12-თვიანი საკრედიტო ზარალის შეფასება მოქმედებს, თუ ეს არ მომხდარა. საწარმოს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის. თუმცა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის გარეშე.

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნა კომპლექსურია და მოითხოვს ხელმძღვანელობის განსჯას, შეფასებებს და დაშვებებს, კერძოდ, ქვემოთ განხილულ შემდეგ ასპექტებში:

- იმის შეფასება, ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ თუ არა; და

- საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

<u>კლასიფიკაცია – ფინანსური ვალდებულებები</u>

ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს არსებულ მოთხოვნებს ბასს 39-ში ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის თაობაზე.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

თუმცა ბასს 39-ის მიხედვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ყველა ცვლილების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როცა, ფასს 9-ის მიხედვით, სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების ოდენობა, რომელიც მიკუთვნებადია ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებისთვის, აისახება სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი ოდენობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადასვლა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ფასს 9-ის მიღების შედეგად, როგორც წესი, გამოიყენება რეტროსპექტიულად, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

- კომპანია ისარგებლებს გამონაკლისით, რომელიც მას საშუალებას აძლევს, არ გადაიანგარიშოს წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაცია კლასიფიკაცისა და შეფასების (გაუფასურების ჩათვლით) ცვლილებების გამო. სხვაობები ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში ფასს 9-ის მიღების შედეგად, ჩვეულებრივ, აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში და რეზერვებში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
- სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე შემდეგი შეფასებები უნდა გაკეთდეს.
    - ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ფლობილია ფინანსური აქტივი.
    - გარკვეული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, კლასიფიკაცია და წინა კლასიფიკაციების გაუქმება.

ჯგუფი ამჟამად აფასებს სტანდარტის შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ვიწრო მოქმედების სფეროს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აკმაყოფილებს ყველა შესაბამის პირობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია,

როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადაწევა - ცვლილებები ბასს 1-ში (გამოშვებული 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ბასს 1-ში, რომლებიც მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაციას ეხება, გამოიცა 2020 წლის იანვარში და მათი ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღი იყო 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ძალაში შესვლის თარიღმა ერთი წლით გადაიწია, რათა კომპანიებს კლასიფიკაციაში შესული ცვლილებების დანერგვისთვის მეტი დრო ჰქონოდათ. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე, წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები, კონცეპტუალური საფუძვლების მითითება - დამაზუსტებელი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2018-2020 წ.წ. - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოშვებული 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში შესული ცვლილება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ობიექტის თვითღირებულებიდან გამოქვითოს ამ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის მომზადების პროცესში წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი. ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, ახლა უკვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო ამ ერთეულების თვითღირებულების შესაფასებლად ბასს 2-ით იხელმძღვანელებს. თვითღირებულებაში არ შევა იმ აქტივის ცვეთა, რომელიც იტესტება, რადგან ჯერ არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ბასს 16-ში შესული ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ საწარმო „ამოწმებს, აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას.

აქტივის ფინანსური შედეგიანობა ამ შეფასებისთვის აქტუალური არ არის. ამიტომ აქტივი შეიძლება ასრულებდეს ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ ფუნქციას და ექვემდებარებოდეს ცვეთას, სანამ მიაღწევს ექსპლუატაციის იმ დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მისგან მოელის.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ცვლილება ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების“ მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს, და სხვა სხვა განაწილებულ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სანამ განისაზღვრება წამგებიანი კონტრაქტისთვის ცალკე ანარიცხები, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული აქტივების, და არა ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივების გაუფასურებით გამოწვეულ ყოველგვარ ზარალს.

ფასს 3-ში შევიდა ცვლილება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ, რათა განისაზღვროს რა წარმოადგენს აქტივს ან ვალდებულებას საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. გარდა ამისა, ფასს 3-ს დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისით ზუსტდება, რომ ზოგიერთი ტიპის ვალდებულებისა და პირობითი ვალდებულებების შემთხვევაში, საწარმომ, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ბასს 37-ს ან ფასიკ 21-ს,

და არა 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო საწარმოთა გაერთიანებაში აღიარებდა ზოგიერთ ისეთ ვალდებულებას, რომლებსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის მიხედვით. ამიტომ საწარმოს შესყიდვისთანავე მოუხდებოდა ასეთი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე დაზუსტდა, რომ მყიდველმა საწარმომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, ბასს 27-ის განმარტების შესაბამისად, შეძენის თარიღით.

ცვლილება ფასს 9-ში ეხება იმას, თუ რომელი საკომისიო გადასახდელები უნდა აისახოს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. მესამე მხარეებს ან კრედიტორს შეიძლება აუნაზღაურდეს დანახარჯები ან გადაეხადოს საკომისიოები. ამ ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი დანახარჯები თუ საკომისიოები არ აისახება 10%-იან ტესტში.

ფასს 16-ზე დართული საილუსტრაციო მაგალითი #13 შეიცვალა, კერძოდ ამოღებულია მეიჯარისთვის საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გადახდების ილუსტრაცია. ამ ცვლილების მიზანი არის საიჯარო შეღავათების ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის თავიდან არიდება.

ფასს 1 უშვებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია გამოიყენებს ფასს-ს თავის მშობელ კომპანიაზე უფრო გვიანი თარიღით. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება საბალანსო დირებულებებით, რომლებიც შევიდოდა მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ზე მშობელი კომპანიის გადასვლის თარიღისთვის, თუკი არ ასახულა კორექტირებები კონსოლიდირების პროცედურებისა და საწარმოთა გაერთიანების გამო, რომლის დროსაც მშობელმა კომპანიამ შეისყიდა შვილობილი კომპანია. ფასს 1-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც საწარმოებს, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან გამონაკლისი, ასევე უფლება მიეცათ, კუმულაციური საკურსო სხვაობა მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით შეაფასონ ფასს-ზე მშობელი კომპანიის გადასვლის თარიღის მიხედვით. ფასს 1-ში შესული ცვლილების მიხედვით, ზემოაღნიშნული გამონაკლისი კუმულაციურ საკურსო სხვაობასაც ეხება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს, ხარჯების შემცირების მიზნით. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან იგივე გამონაკლისი.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ამოღებულია მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ბასს 41-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, საწარმოებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ ფულადი ნაკადები გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომლის მიხედვითაც უკვე დაბეგრილი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში მყოფი 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შესული ცვლილების თანახმად, კომპანიებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა თავიანთი არსებითი და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ცვლილება შეიცავს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, სავარაუდოდ, არსებითია, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებდნენ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სხვა არსებითი ინფორმაციის გაგებას. ცვლილებაში მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომელიც, დიდი ალბათობით, ჩაითვლებოდა არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესული ცვლილება განმარტავს, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გაცხადება არ არის საჭირო. ამის მიუხედავად, მისი გაცხადების შემთხვევაში, იგი არ უნდა ჩრდილავდეს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას. ამ ცვლილების დანერგვის გასაადვილებლად ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული რეკომენდაცია 2 „არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება“, რომელშიც მოცემულია მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებითობის ცნების გამოყენება სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებში. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

*ცვლილებები ბასს (IAS) 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (**გამოშვებული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის**).* ბასს 8-ში შესული ცვლილება განმარტავს იმას, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში შესული ცვლილებებისგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ – ცვლილება ფასს 16-ში (გამოშვებული 2021 წლის 31 მარტს და ძალაში შესული 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წელს გამოვიდა ფასს 16-ში შესწორება, რომელმაც დაუშვა ნებაყოფლობითი გამარტივებული მიდგომა მოიჯარეებისთვის, რომ შეეფასებინათ კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რის შედეგადაც მცირდებოდა 2021 წლის 20 ივნისს ან ამ თარიღამდე გადასახდელი იჯარები, იყო თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოშვებული შესწორებით გამარტივებული მიდგომის გამოყენების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გახანგრძლივდა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

39 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში (გამოშვებული 2021 წლის 7 მაისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შესული ცვლილება აკონკრეტებს, როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. გარკვეულ შემთხვევებში საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე გარკვეული გაურკვევლობა არსებობდა იმის შესახებ, ეხებოდა თუ არა გამონაკლისი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები – გარიგებები, რომლებისთვისაც ხდება როგორც აქტივის, ისე ვალდებულების აღიარება. ცვლილება განმარტავს, რომ გამონაკლისი არ ეხება ამ შემთხვევებს და რომ საწარმოებს ევალებათ გადავადებული გადასახადის აღიარება ასეთ გარიგებებზე. ცვლილებები კომპანიებისგან მოითხოვს გადავადებული გადასახადის აღიარებას ისეთ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას

წარმოქმნის ერთნაირი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

40 ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2021 წლის 21 მარტს სამეთვალყურეო საბჭომ მოიწონა კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის შეთავაზება დივიდენდის გაცემის თაობაზე. ამჟამად კომპანია ელოდება სს „თიბისი ბანკი ჯგუფის“ გადაწყვეტილებას.

2022 წლის თებერვლიდან ფინანსურ ბაზრებზე მზარდი მერყეობა შეიმჩნევა უკრაინაში მიმდინარე ომის გამო. რუსეთის, მათ შორის რუსული იურიდიული პირებისა და რუსი ეროვნების ფიზიკური პირების მიმართ, უმკაცრესი სანქციები გამოცხადდა. რუსულ კომპანიებს შეეზღუდათ წვდომა ევროს და აშშ დოლარის ფინანსურ ბაზრებზე და რუსეთი გაითიშა SWIFT-ის სისტემიდან. ამის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს არ ჰყავს მნიშვნელოვანი პარტნიორები (მაგ. გადამზღვევლები) რუსეთში, ეს არ მოახდენს გავლენას ჯგუფის უნარზე, რუსეთთან აწარმოოს ფულადი გადარიცხვები. ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორისთვის დაწესებული შეზღუდვები და უკრაინაში, რუსეთში და საქართველოს სხვა ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური დაღმასვლა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკის მთავარ მაჩვენებლებზე, ლიკვიდურობასა და საკრედიტო რისკის მართვაზე. ამ ეტაპზე ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოობის მაღალი ხარისხით შეაფასოს ჯგუფის სამომავლო ოპერაციებზე ყველა ამ განუსაზღვრელობის ზემოქმედება. ამის მიუხედავად, ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უკრაინაში ომი არამაკორექტირებელი მოვლენაა და ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დააკორექტიროს ჯგუფის საქმიანობის შედეგები.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220386406
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.04.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	თეა კიკუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი,ლესელიძის ქ. #17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593235532
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83654390540122

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

რი ათას ოცდაორი წლის რვა აპრილს მე, ნოტარიუსი *თეა კიკუაშვილი*, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს სამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი ქეთევან ყანჩაშვილის (დაბ. 14.09.1982, გისტრირებული: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, პირადი # 01003009915, ბაკალავრის დიპლომი AB 01886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის ზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ როვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

n the 08.04.2022 I, Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the thenticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915, residing Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Ilia Chavchavadze ate University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. e confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.

დახდილია *228-00* ლარი, *თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) ე მუხლისა, ასევე დღგ* **41.04** *ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე ხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. **ერთი ეგზემპლარისთვის***

e paid *228-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the filment of notary activities, also VAT* **41.04** *GEL, according to Article 166th of Georgian Tax Code, also 2-00 GEL, according to Article 39th resolution (dated 29.12.2011).*

ტარიუსი ---------- თეა კიკუაშვილი